

# ლიტერატურული გაზეთი

№11 (315) 10 - 23 ივნისი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## პაატა ნაცვლიშვილი

### ისევ თანხმობ(ა)ნებანი

02.02.08.

აღარ ისმის სიმღერა იშხნელთა<sup>1</sup> და ბუბათა<sup>2</sup>...  
ჰა, ორმოცი ყაჩაღი თავის ალი ბაბათი!  
ბებუთოვიც<sup>3</sup> მოვარდა, ხელთ უპყრია ბებუთი,  
ძირს ბაბუო<sup>4</sup>, — ყვირიან, დაქოქილი ბაბუთი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> დები იშხნელები — ქალთა პოპულარული ვოკალური კვარტეტი: ნინო (1898-1967), თამარ (1900-1994), ზინაიდა (1902-1968) და ალექსანდრა (1904-1955).

<sup>2</sup> ბუბა — იგულისხმება ცნობილი მომღერალი და კინომსახიობი ბუბა კიკაბიძე (დ. 1938).

<sup>3</sup> ბებუთოვი — იგულისხმება ერთ-ერთი იოსებ ბებუთაშვილის შვილთაგან: ან ინფანტერიის გენერალი ვასილ ბებუთოვი (17??-1858) ან გენერალ-ლეიტენანტი, ვარშავის სამხედრო კომენდანტი დავით ბებუთოვი (1793-1867). ორივე მათგანი რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგა.

<sup>4,5</sup> მოფერებით ასე მოიხსენიებდნენ გასული საუკუნის ორ ქართველ დიდმოხელეს.

02.02.13.

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს მწვანე მინდვრის ბიბინი,  
თუნდაც თერთმეტმეტრიანს

ჩვენ გვირტყამდეს ბობანი<sup>1</sup>,  
როგორც ძველი არლანი, ტრიალებდეს ბობინა<sup>2</sup>,  
და შორიდან ისმოდეს სტადიონის ბუბუნი.

<sup>1</sup> ზვონიმი ბობანი — ჯერ იუგოსლავიელი და შემდეგ ხორვატი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

<sup>2</sup> მაგნიტოფონის გორგოლაჭი, რომელზეც ეხვევა ფირი.

02.03.13.

გინდა იყო ჰომლესი<sup>1</sup>, გინდა იყო ბომჟი<sup>2</sup> და  
გინდა იყო ბოგანო<sup>3</sup>,  
გინდა იყო ნერონი<sup>4</sup>, გინდა იყო სტალინი<sup>5</sup>,  
გინდა იყო ბეგინი<sup>6</sup>,  
ფეხებს მაინც გაფშოკავ,  
მაინც გაგიღურჯდება ბოლო-ბოლო ბაგენი,  
რაც არ უნდა ეცადო,  
ბოლოს მაინც მორჩება შენც ქვეყნად ბოგინი.


<sup>1,2,3</sup> ჰომლესი (homeless), ბომჟი (Бомж — აკრონიმი — „Без Определённого Места Жительства“), ბოგანო — უსახლკარო ინგლისურად, რუსულად და ქართულად.

<sup>4</sup> ნერონი — ტიბერიუს კლავდიუს დრუსუს ნერონ გერმანიკუს კეისარი (37-68), რომის იმპერატორი (54-68).

<sup>5</sup> სტალინი — იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი (1879-1953), 1922 წლიდან საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური და კომუნისტური პარტიის თავკაცი, ბელადი და დიქტატორი.

<sup>6</sup> მენახემ ბეგინი (1913-1992) — ისრაელის პრემიერ-მინისტრი (1977-1983), მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (1978).

IV-V



## ნიკოლოზ ცისკარიშვილი

### დეჟავიუ

რა მომენტიდან უნდა მოჰყვე ამბავი, რომელ-  
საც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული?..

საქმეს შეჰყვა, სამსახურიდან ჩვეულებრივზე  
გვიან გავიდა. პარასკევი იყო, წინ ორი თავისუფა-  
ლი დღე ჰქონდა, რომლებსაც ჩვეულებისამებრ გა-  
ატარებდა: ბევრს იძინებდა, შვილს პარკში გაასეი-  
რებდა, საუზმესა და ვახშამზე ცოლსა და მშობ-  
ლებს გაესაუბრებოდა, მეგობრებს მოინახულებ-  
და; ალბათ ცოტას დაღევდა, ორშაბათს კი კვლავ  
მიაშურებდა სამსახურს. აპირებდა, თუმცა აქედა-  
ნვე უნდა ვთქვათ, რომ ყოველივე სხვაგვარად მო-  
ხდა, თორემ მოსაყოლიც არაფერი იქნებოდა.

სახლისკენ მიმავალ გზაზე წიგნს კითხულობდა  
— ალბათ კავკასიანს ან პოს. მოსწონდა საშინელებე-  
ბით და ლაბირინთებით, აბსურდით სავსე სიუჟეტე-  
ბი. სამყარო აბსურდია, ოღონდ არა იმიტომ, რომ  
მისი ახსნა შეუძლებელია, არამედ იმიტომ, რომ  
თავად ადამიანის არსებობის ფორმაა აბსურდუ-  
ლი. აბსურდი ადამიანის ყოფიერების ფორმაა და  
მასში მნიშვნელობის ძებნა ამ ფორმის ნაწილია.

შინ დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მთელი  
ოჯახი ელოდა. შემოუსხდნენ მაგიდას და ერთად  
ყოფნით გახარებულები, დიდხანს ვახშობდნენ.  
მიმოიხილეს მამის ჯანმრთელობის ამბავი, რომე-  
ლიც, საბედნიეროდ, თავს უკეთ გრძნობდა; დედამ  
უკვე მიაღწია საპენსიო ასაკს, მაგრამ სამსახურს  
თავს არა და არ ანებებდა, რაც მის ჯანმრთეობა-  
ზე არც თუ ისე კარგად აისახებოდა — მთელი ოჯ-  
ახი ერთხმად ურჩევდა, ბოლოს და ბოლოს, დაეს-  
ვენა. მეუღლე თავს მშვენივრად გრძნობდა, უნივე-  
რსიტეტში მისი კვლევის საქმე წინ მიიწევდა. დიდხ-  
ანს ისმენდა შვილის მოყოლილ ამბებს, სკოლაში  
რომ გადახდა თავს. ბოლოს სამსახურის სიახლეე-  
ბიც მიმოიხილეს და ყველაფერი დალაგდა, ოჯახი  
კვლავ ერთ მუშტად შეიკრა. ახლა უკვე შეეძლოთ,  
უქმეები ბედნიერად, მშვიდად და აუღელვებლად  
გაეტარებინათ, თავ-თავიანთი საქმეები ეკეთები-  
ნათ და დანარჩენების კეთილდღეობაში დარწმუ-  
ნებულები ყოფილიყვნენ.

ადრინად დაწვა და გვიანობამდე იძინა, როგ-  
ორც სჩვეოდა ხოლმე. როდესაც თვალი გაახილა,  
საუზმე ყველას მოეთავებინა, შვილი უკვე სასეი-  
რნოდ მომზადებულიყო და მამის გაღვიძებას ელ-  
ოდა.

VI-VII



ბეგინი



ბეგინი

## დოდო ჭუმბურიძე


\*\*\*

ბედი ახტა და ამიტყდა,  
წინ დამილაგა დავთრებად  
კარგიც და ცუდიც, და მითხრა,  
რომ იმედივით გაქრება.  
ბევრჯერ გულიც ხომ გამიტყდა,  
მომიხდა ხელის  
ჩაქნევა,  
და მაინც: ყოფა გამიტკბა:  
სულ მივდივარ და აქვე ვარ...

\*\*\*

ცხოვრება, ცუდად მექცევი,  
ცუდად დამადგი თვალი,  
შენ გამო ვწერე ლექსები,  
შიგ ჩავიყოლე თავი,  
კაკალიც ბევრჯერ გიყარე,  
ბევრჯერ წავედი რისკზეც,  
ვისზე ნაკლები ვიყავი,  
ან მეტი ვიყავ ვისზე,  
სულ გზაკვალი რომ მინალმე,  
სულ მზაკვარით ზვაგობ,  
წყალს ჩვენ ორს შორის ვინ ამღვრევს,  
ხომ გაირკვევა, ძმაო...

VIII-IX



ბეგინი



საუბრები



შემაჯავებელი დაბრუნებას ჰგავს, უნდა დაბრუნდეს საკუთარ ბავშვობაში, ქვეყნისა და მსოფლიოს წარსულში, მეხსიერების ან-ალბებში, რაღაც რომ გაიხსენო — კარგად ნაცნობი და დაინახებელი; გაიგო, ვინ ხარ, რა გინდა და სად მიდიხარ. წარსულში დაბრუნების საუკეთესო გზა ბიბლიის გადაკითხვაა. წმინდა წიგნის მიხედვით არსებობს რამდენიმე არქეტიპი, გავიხსენოთ თუნდაც უძველესი შვილის ამბავი, რომელმაც შესცოდა, მერე კი მოინანი. პირველი უძველესი შვილი ადამი იყო. თავდაპირველად ის არც იხსენებდა არაფერს, საკუთარი დანაშაული ცოლს გადააბრალა, მეტიც, წინააღმდეგობა გაუწია: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც ვიგემო, შესჩვილა უფალს. არც ევას მიაჩნდა თავი დამნაშავედ, გველმა მაცდუნა და მეც შევჭამეო. ამრიგად, პირველი ადამიანებისთვის უცხო იყო სინანული. წმინდა მამების განმარტებით, ადამამ მხოლოდ სამყაროს შექმნიდან 600 წლის შემდეგ გააცნობიერა ჩადენილი და ღრმა სინანული შეიპყრო. მხოლოდ ამის შემდეგ ეუწყა მას მთავარანგელოზ ურილისგან „უფლის განხორციელება მარადისქალწულ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაგან... ქრისტეს ნებაყოფლობითი ვნება და სიკვდილი, ჯოჯოხეთში ჩასვლა და მართალთა გამოხსნა, მაცხოვრის სამი დღე საფლავში ყოფნა, აღდგომა და სხვა მრავალი საიდუმლო“ (დომიტრი როსტოველი, სენაკის მემბატია-ნე).

შეკვდილასა და მონანიების ამბავი შემდგომში მრავალჯერ განმეორდა ბიბლიაშიც და კაცობრიობის ისტორიაშიც სხვადასხვა ვარიანტით. იგავი უძველესი შვილის შესახებ, ზეპირი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, წარღვნამდე პატრიარქ იარედს უნდა ეხებოდეს, რომელმაც სიყმანის-ღვთისმღვდელის მემკვიდრეობა კაცის აგებულ ქალაქში გაანია და დროსტარებასა და მეძავებში, მერე კი სინანულმა შეიპყრო, მამას მუხლებში ჩაუფარდა და პატიება სთხოვა.

მონანიე პატრიარქებს მრავლად შევხვდებით ბიბლიაში, ისევე როგორც მართალ და უკეთურ ადამიანებს. მართალთა არქეტიპი აბელია, მისი ტოტემური ცხოველი (თომას მანის აზრით) კრავია. უკეთურთა არქეტიპი კი კაენია, ტოტემური ცხოველი — თხა. ადამის ძეთა შორის დაპირისპირება — სათავე დაუდო იმ მტრობას, საუკუნეების განმავლობაში რომ მიმდინარეობდა თხებსა და ცხვრებს შორის. კაენის სულიერმა შვილებმაც განაგრძეს მართალთა სისხლის ღვრა, რადგან ისინიც „უკეთურისგან იყვნენ“ და კლავდნენ თავიანთ ძმებს: და მერე რისთვის? იმისთვის, რომ ბოროტი იყო მათი საქმე, ხოლო ცხვრებისა — მართალი.

იოანეს სახარებაში „უკეთურისგან მობილად“ მოიხსენიება კაენი, მის საქმეთა გამგრძელებლებად კი — მნიგნობრები და ფარისევლები. უფალი მათ დაცემული ანგლოზის ნაშთებს უწოდებს: „გველნო, იქედნეს ნაშთიერო, როგორ გაექეციტ გეენის სასჯელს? ამიტომ, აჰა, გიგზავნიტ ნინასწარმეტყველო, ბრძენთა და მნიგნობართ: და ზოგს მოკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას: რათა მოაწიოს თქვენზე ამ ქვეყნად დათხეული ყოველი მართალი სისხლი, აბელ მართლის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ბარაქიას ძისა ზაქარიასი, რომელიც მოჰკალიტ ტაძარსა და საკურთხეველს შორის“ (მათე, 23, 33-35).

უფალი პირველ მართალ ადამიანად მოიხსენიებს აბელს, ასე რომ, ჩვენც გვაქვს სრული უფლება, ის მონამებრივად აღსრულებული ყოველი მართალი ადამიანის წინასახედ მივიჩნიოთ. აბელისგან განსხვავებით, კაენი მეთაბრებდა, მღერითან მებრძოლთა და მკვლელთა არქეტიპია, მათი, ვისაც უნდა მოეკითხოს „სამყაროს შექმნიდან დათხეული ყველა წინასწარმეტყველის სისხლი...“ (ლუკა, 11, 50). კაენი წინასახეა ცრუ მოძღვრების (მნიგნობრებისა და ფარისევლების), რომლებიც მალავენ ცოდნის გასაღებს, რათა არც თვითონ შევიდნენ ცოდნის ტაძარში და არც სხვას დაანებონ იქ შესვლა, ხოლო ის, ვინც თვითონაა გზა და ჭეშმარიტება, ჯვარს აცვან.

ამრიგად, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, არსებობს რამდენიმე ბიბლიური არქეტიპი: ადამი და იარედი — პირველი მონანიენი; აბელ მართალი და კაენი (ძმის-



მკვლელი და მემამბოხე); თუმცა არის რაღაც შუალედური გზაც შეთის (სეთის), რომელიც არც მკვლელია, არც წმინდანი და არც გმირი. ის უბრალოდ ცხოვრობს, შრომობს, მოვლენებს აკვირდება, დასკვნები გამოაქვს, მრავლდება (აბელისგან განსხვავებით, რომელმაც დაოჯახება ვერ მოასწრო). შეთის მსგავსები კაცობრიობის უმეტესობას წარმოადგენენ. თუმცა ამ, ერთი შეხედვით, ნეიტრალურ, ადამიანებსაც მოუწევთ სიკვდილის წინ არჩევანის გაკეთება. უფალმა ისინი ან სიცოცხლის წიგნში უნდა ჩაწეროს, ან სიკვდილის. პირველში ცხვრები (ღვთის მორჩილი ადამიანები) ხვდებიან, ხოლო მეორეში — თხები (ურჩები). უფამო ჟამში (და არა ასტრონომიულში) მათთვის გამაღებელია ორი სახეობა — უფლის და ლუციფერის. აბელი ახალი იერუსალიმის პოტენციური ბინადარია, კაენი კი — გეენის. ბიბლიის უმთავრესი მიზანი ღვთაებრივი გზის ჩვენებაა. უფლის ქალაქში მოხვედრა კაენის არქეტიპისთვის გადახრილთა ცეუძლია, მეტიც, თვით ადამის უფროს ვაჟსაც მიეცა მონანიების საშუალება. უფალმა მას შუბლზე ნიშანი დაადო, რათა ეცნოთ და არ მოეკლათ. ამით დრო მისცა, საკუთარი დანაშაულის გააზრებისა და მონანიებისთვის. თუმცა არიან ეშმაკისთვის წამებულნიც. თურმე არსებობს დამაბრმავებელი სინათლე, რომელიც ადამიანს ხელს უშლის საკუთარი თავის შეცნობაში. მერაბ მამარდაშვილი ერთ-ერთ თავის ლექციაზე საუბრობს ფრანგ რევოლუციონერზე, რომელიც დროულად მიხვდა, ლუციფერული სიკვამლით რომ ჰქონდა თვალის დაბინდული. მან აღიარა, მეგონა, ბედნიერება მომქონდა ადამიანებისთვის, სინამდვილეში კი ნგრევა მოუტანეო. ფრანგი რევოლუციონერი გამოჩინდა. ეშმაკისთვის წამებულნი ძირითადად არაფერს იხსენებენ. ისინი თვით ჯოჯოხეთშიც ერთგულნი რჩებიან ლუციფერის. მათგან განსხვავებით, არსებობენ მონანიე სულელები, ისინი (წმინდა იოანე კრონშტადტელის თქმით) უკანასკნელ შანსს გამოიყენებენ და მეორედ მოსვლის წინ მონანიებენ ჩადენილს.

დიდია ადამიანებზე მონადირის ხიბლი. გავიხსენოთ თუნდაც რევოლუციონერები, მათ უმეტესობას საკუთარი თავი კაცობრიობის მხსნელებად წარმოედგინა (სტალინისა და ლენინის მსგავსად). სტალინის მიაჩნდა, რომ ადამიანებისთვის ბედნიერება მოჰქონდა, სინამდვილეში კი ნგრევა და განადგურება მოუტანა მასობრივი რეპრესიების სახით.

მერაბ მამარდაშვილს ხიფათის შემცველად მიაჩნდა სიტყვები: „ხალხის მტერი, ქვეყნის მოლაღალე“, რადგან მსგავს გამოხატულებებს სულ ცოტა 10 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეენირა საბჭოთა კავშირში გაკულაკებისას. და ეს ყველაფერი სიკვითისთვის ბრძოლის ნიშნით მოხდა. რაკელით რევოლუციონერებს, თავიანთი თეორიებითა და საქმიანობით შეცდომადი რომ შეიყვანეს ხალხი? ამ კითხვაზე ერთი ამბავი მახსენდება ლენინზე, რომელიც თურმე სიზმარში დედა მატრონას გამოეცხადა და

სთხოვა: მიშველე რამე, თვით ჯოჯოხეთიც არ მიღებს, რადგან დაუშარხავი ვარო. ვილოცებ შენთვის, იქნებ რამე გეშველოსო, უპასუხია დედა მატრონას. სამი დღის გამუდმებული ლოცვის შემდეგ უფლის ხმა ჩავსმა თურმე: რამდენიმე საათით გავაცოცხლებ, სულს ჩაგებრავ მის მუმიას, ოღონდ ეს დრო სინანულისთვის უნდა გამოიყენოს, მსოფლიოს უნდა ამცნოს, რომ ცდებოდაო. ისევე გამოეცხადა ლენინის სული დედა მატრონას. როცა მოისმინა, რაც უფალმა განუჩინა, სატანურად გადაიხარხარა თურმე და გაუჩინარდა. ამ ამბავში ერთი რამაა საყურადღებო, ზოგიერთ ადამიანს სინანული არ შეუძლია... განსხვავებულია უფლის ქალაქის პოტენციური ბინადართა გზა, მართალთა ცოდვილებისგან გამოცალკეება სააქაო ცხოვრებაშივე ხდება. ეს აპოკალიფსური პროცესია, რომელიც წლიდან წლამდე ჩქარდება. თითქოს დროც უფრო სწრაფად გადის. თომას მანს კარგად აქვს გაშუქებული ეს თემა რომანში იოსები და მისი ძმები. მწერლის აზრით, იაკობის არქეტიპი აბელია, ევასისა კი — კაენი. უკანასკნელი ორი-სამი საუკუნეა, კაენის სულიერი შვილობილები აქტიურობენ. ისინი ვითომდაც ახალ, უკეთეს მსოფლიოს ქმნიან, თუმცა ეს ასე არაა, რადგან ცეცხლის სტიქიით შობილებს ქვეყნიერებისთვის მხოლოდ განადგურების მოტანა შეუძლიათ. კაენი მემამბოხე იყო, ისევე როგორც მისი შორეული მემკვიდრე ბოლშევიკები, რომლებიც ანგრევდნენ ეკლესიებს, ებრძოდნენ ღვთისმსახურებს, წერდნენ ათეისტურ თხზულებებსა და ტრაქტატებს, ეწეოდნენ უღმერთობის პროპაგანდას. მათი საქმის გამგრძელებლები არიან თანამედროვე ფსევდოლიბერალები. ისინი სულიერ ფასეულობებს ანგრევენ, მათი მთავარი სამიზნე რელიგიაა. დღეს ღმერთთან მებრძოლობამ თითქმის ყველა სფერო მოიცვა: კულტურა, ხელოვნება, ჟურნალისტიკა, შოუბიზნესი. მაინც რაში გამოიხატება ეს? დღეს საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ განათლებულ ადამიანს ეკლესია არ სჭირდება. მათი აზრით, ვითომდაც მხოლოდ შუასაუკუნეების სიბნელეში ჩარჩენილები დადიან მოძღვრებთან, ესწრებიან წირვა-ლოცვას, ემთხვევიან ხატებს...

კარგია, რომ ფსევდოლიბერალებმა ფართო მასების აყოლიება ვერ შეძლეს და ვერც შეძლებენ, რადგან ჩვენს ქვეყანას არ იცნობენ — მის ისტორიას, წარსულსა და აწმყოს. მხოლოდ თავისი ვიწრო წრე ჰგონიათ ელიტა, რაც დიდი შეცდომაა, რადგან საკუთარ ფეხებს მომწვიდარი კაცი ძნელია, დანიაურებულად მივიჩნიოთ, თუნდაც კარგი პროფესიონალი იყოს. დღეს, როგორც უკვე აღვნიშნე, მოვლენები დაჩქარებულია, შესაძლოა, საკუთარი ცხოვრების გადაფასებისთვის არც ფსევდოლიბერალებს ჰქონდეთ ბევრი დრო დარჩენილი და არც მათთან დაპირისპირებულ ულტრანაციონალისტებსა და კონსერვატორებს, რომლებიც არანაკლებ სამიზნი არიან ქვეყნისა და სულიერებისთვის, რადგან თავიანთი ოდიოზურობით კარგი იდეის დისკრედიტაციას ეწევიან. თანამედრო-

თემურ გაბუნია

# დაბრუნება

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ვე მსოფლიოში დიდი სისწრაფით იცვლება ყველაფერი, სწრაფად თენდება და ლამდება. თითქოს ვილაცას ხელში პულტი უჭირავს და სწრაფად ახვევს წინ ჩვენს ცხოვრებას. ხანდახან კი, პირიქით, უკანაც ახვევს. ასეთ ნუთებში ისე იშლება ზღვარი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, თითქოს სამყარომ ახალ, მეოთხე განზომილებაში შეაბიჯა. პულტის მკერდზელი დროდადრო შორეულ მოვლენებსაც მიჩვენებს, როცა ყველაფერი ახალი შექმნილი იყო: ცაც, მინაც, ზღვაც და ჰაერაც. მაშინ ადამიანი ცხოველთა სამყაროზე ბატონობდა. მშვიდად დასეირნობდნენ მდელზე ლომები და ირმები, მგლები და კრავები, არავინ არავის ერჩოდა... უცებ ჩემში პლაზმური მეხსიერების აფეთქებები იწყება. თვალწინ გამიჩვენებს კაცობრიობის მნიშვნელოვანი მოვლენები: ღვთისშვილებისა და ტიტანების ომის ფრაგმენტები; წარღვნის წინ დაწყებული ორმოცდღიანი წვიმა და დასაბრჩობად განწირულ ადამიანთა სახეები; აშკარად ვხედავ რომაული გალერების მენჩრბეთა გაოფლილი ზურგებსა და წარმართ ქურუმთა მიერ მსხვერპლშენიერვისას ხეებზე დაკიდებული ადამიანების გვამებს. მეხსიერებაში ცოცხლდება მიუდგომელი მთაც, სადაც დიდხანს ცხოვრობდა ყველასგან მივიწყებული განდევნილი (სავარაუდოდ, პრომეთე). მაგრამ მხოლოდ წამით, მერე ეს ყველაფერი ნისლში უჩინარდება და პირადი მოგონებები იწყება, მძივივით იკინძება ბავშვობაში ნანახი სურათები: აი, ვდგავარ ძველი სახლის ეზოში, ლოტკინს გორავ, სამიოდე წლის ვიქენე. მინდობს, ბებიისთვის მეთქვა, მაგრამ ვერ მოვასწარი, მოკლე შარვალი თბილმა სითხემ დამისველა, ფეხებს ჩაუყვავა და სანდლებიც აავსო. საკუთარ თავზე ვბრაზდები, რატომ ვერ მოვასწარი, მეთქვა, რატომ გამეპარა? ბებია კი ვიშვიშებს, ისევე ჩააფსაო... ახლა უკვე ხის მოგრძო სკამზე ვსხედვართ მე, ვანო ბაბუა და ჩემი უფროსი და მაგული. აი, მურაც ჩვენ გვერდითაა, სიხარულით კუდს აქიცინებს. ძალიან უყვარს ბაბუა. ჰგონია, თუკი რამეს ყრიან ძირს, აუცილებლად მისი საქმელი უნდა იყოს, ენდობა ადამიანებს, ერთხელ სტუმრის გადაგებული ანთიბული სივარეტის ნაწიციც კი შეჭამა. ბაბუა სათამაშო მშვიდლს მიკეთებს და ისრის სროლას მასწავლის. ხის სკამიდან მოჩანს სკოლის შენობა და საკვამური, რომლის თავზეც მერცხლები ტრიალებენ. „დაბლა დაფრინავენ, დღეს განვიმდება“, — ამბობს ბაბუა. ჩემი და მეთამაშება, მეუბნება „არას“, მე ვამბობ „ჰოს“. ასე გრძელდება დაუსრულებლად. რატომაც მგონია, ვინც ბოლო სიტყვას იტყვის, ის იქნება გამარჯვებული.

ზღვაზე მივყავართ დასასვენებლად, ლაპარაკი ჯერ წესიერად არც ვიცი, მაგულის გუფუნას ვეძახი, ზღვა კი სამიში მგონია, განსაკუთრებით, ღელვისას. „გუფუნა, არ შეხვიდე ზღვაში“, ვამბობ და ვტირი. მაგულის წყალში არ უშვებენ, ბრაზდება და მიბღვერს.

აი, ისევე ვხედავ საკუთარ თავს დიდ ეკრანზე — ახლა ხუთის ვიქნები. უკვე ვეძის-



ში ვცხოვრობთ, ვზივარ ჩემს ეზოში აუზთან, დედა კი ვეფხისტყალასანს მიკითხავს, მიკვირს, მეორე წაკითხვისას რატომ გამოტოვა ავთანდილისა და ასმათის გაცნობის ამბავი... უცებ გაიზინა წლებმა, ჩემი არლონოკით ვეშვები გაგარინის მოედნიდან დიღმის ტრასაზე, სახლიდან გავპარულვარ, უნებართვოდ მივდივარ ველოსიპედით ასე შორს, ამის უფლებას მამა არ მომცემდა. ისე მიფრთხილდებოდა, მაღაზიაშიც არ მაგზავნიდა, მანქანა არ დაეჯახოსო. თვითონ დადიოდა საყიდლებზე ნახევრად დაბრმავებული (დიაბეტს თვალზე ლაქები გაეჩინა, სათვალეც არ შევლოდა). ახლა რომ ვენახე, მანქანებს როგორ ვუქცევდი გვერდს, ალბათ გული გაუჩერდებოდა, მაგრამ როგორ გაიგებდა? არ ვეცყოდი. კი მეცოდებოდა, მაგრამ აკრძალული ხილიც გემრიელი იყო — თავისუფლების შეგრძნება...

ახლა უკვე უნივერსიტეტის I კორპუსთან ვდგავარ (მეგობრებით გარშემორტყმული) და უზრუნველად ვსაუბრობ. მგონია, სულ ასე მხიარულად გაგრძელდება ცხოვრება. აი, თვალწინ გამობრუნდა ჩემმა პატარ-პატარა გამარჯვებებმა და მარცხებმა: პროფესორი ნიკო ყიასაშვილი კითხულობს ჩემს სადიპლომო ნამუშევარს უილიამ ფოლკნერზე და მაქვს; წლების შემდეგ იგივე მეორდება, ოღონდ ამჯერად როსტომ ჩხეიძეს მოსწონს ჩემი წიგნი ჯერომ სელინჯერის შესახებ. ჟურნალ ჩვენი მწერლობის რედაქციაში ვართ, ახალი ესეი მიუტანე.

— წიგნი ასე რომ დაგვსრულებინა — „იდგა მოხუცი სელინჯერი კორნიში პატარა გორაკზე, სივრცეს გასცქეროდა და უნასთან უკანასკნელ მეხვედრას იხსენებდა ნიუ იორკის ცენტრალურ ტბასთან, თან ჰოლდენ კოლფილდით იმაზე დარდობდა, თუ სად უნდა გადარეწებოდა იხვეები ზამთარში“, მაშინ ესეისტიკა კი არა, ბიოგრაფიული რომანი გამოვიდოდა, თანაც მშვენიერი.

— გეთანხმები, ბატონო როსტომ, — ვპასუხობ, — იქნებ მართლაც უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ კომუნისტებმა ისე შემაძულეს ბიოგრაფიული რომანები, ისეთ საზიზღრობებს წერდნენ ისტორიულ პირებსა და წმინდანებზე, რომ საზუღამოდ ავითვალწუნე ეს ჟანრი.

მაშინ არ მითქვამს, ჟანრების შესახებ საკუთარი, ყველასგან განსხვავებული შეხედულება რომ მაქვს, მეტიც, ყველაზე აღმატებულად იმ მწერლების თხზულებები მიმანია, გასულნი რომ არიან ჟანრობრივი ჩარჩოებიდან. მაგალითად, დანტე ალიგიერის ახალი ცხოვრება რომელ ჟანრს განეკუთვნება? პოეტი თავისსავე სონეტებზე თვითონვე განგვიმარტავს. ნანარმოებში არის მოქმედება და სასიყვარულო ეპიზოდებიც. ერთ თხზულებაში თანაბრადაა პოეზიის, ესეისტიკისა და პროზის ელემენტები. ვინ მეტყვის, რომელი სწარმოებს? თუნდაც ლევ ტოლსტოისა და თომას მანის რომანები გავიხსენოთ, მათი მეოთხედი თუ მეხუთედი ესეისტიკაა. ვრცელი თავები ეძღვნება რელიგიას, ფილოსოფიასა და მისტიკას, ზოგიერთ მონაკვეთს კი ჩვეულებრივი ფილოსოფიურ-რელიგიური ტრაქტატისგან ვერც განასხვავებ. ასე რომ, ზოგიერთი მწერლის შემოქმედებას ჟანრებისა და მიმდინარეობების ჩარჩოებში ვერ გამოვკეტავთ, რადგან ჭეშმარიტი ხელოვანი მისთვის მორგებულ ჩარჩოზე ყოველთვის უფრო დიდია, ასე რომ, არ მესმის

რატომ ვანებებთ მწერლებს იარლიყებს? რად ყოფთ რომანტიკოსებად, რეალიზმის მიმდევრებად, მოდერნისტებად და პოსტმოდერნისტებად? ამგვარი დაყოფა, ცოტა არ იყოს, ხელოვნურად მეჩვენება. ადრე მეგონა, რომ მხოლოდ მე ვფიქრობდი ასე, მერიდებოდა კიდევ, ლიად გამომეხატა საკუთარი შეხედულებები ჟანრების შესახებ, თუმცა თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ პოეტთან, რიჩარდ ბერენგარტენტან, შეხვედრამ უფრო გაბედული გამხადა. ეს კი სწორედ იმ საღამოს მოხდა, როცა მწერალთა სახლში გამართულ საღამოზე საქართველოში სტუმრად ჩამოსულს ასეთი კითხვა დავუსვი:

— რა აზრის ხართ პოსტმოდერნიზმის შესახებ? რატომ აყენებს თავდაყირა ამ მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენელი ყველაფერს: ისტორიას, რელიგიას, მითოლოგიას?

— დავინწყით იმით, — მიპასუხა ბერენ-

გარტენმა, — რომ თვითონ ტერმინი პოსტმოდერნიზმი ნონსენსია. პოსტმოდერნიზმი ნიშნავს რალაცას, რაც მოდერნიზმის შემდეგ დაიწყო. მაგრამ რაა თვითონ მოდერნიზმი? ვინ მიაჩნიათ მოდერნისტად? ის, ვინც რალაც სიახლე შეიტანა ხელოვნებაში. მაგრამ განა ყველა დიდი მწერალი თავისებურად მოდერნისტი არაა? რას უწუნებენ, მაგალითად, ჰომეროსს, დანტეს, ვერგილიუსს, დოსტოევსკის? ისინი ხომ თავისი ეპოქისთვის ნოვატორები იყვნენ? თანაც ისეთ დონეს მიაღწიეს, როგორც ბევრ თანამედროვე მწერალს არც დასიზმრებია. ასე რომ, ტერმინი მოდერნიზმი ნონსენსია, ნული, მეტიც — მინუსი, აზროვნების მინუსი. თუკი ეს ასეა, მე კი ეჭვიც არ მეპარება ამაში, ორჯერ დიდი მინუსია პოსტმოდერნიზმი.

პასუხმა გამახარა, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ბედნიერი დღე, რადგან აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მე არ ვაზროვნებდი დისიდენტურად... თუმცა ყოველი დღე ნათელი ვერ იქნება, რადგან სინათლეს სიბნელეც მუდამ თან ახლავს, რაგინდ სამწუხაროც არ უნდა იყოს. „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელი“, — წერდა სინანულით რუსთაველი. და მართლაც, რამდენი უბედურება არ ხვედა ცხოვრებაში ადამიანს — მათ შორის, მეც. მახსოვს, სიყმანეში დიდი რაგორ ვიხსენებდი სიმთვრალეში ჩადენილ სისულელებსა და სისაძაგლებს, ვნაობი, ეს რა ემბაკი შემინდა, ასე რატომ მოვიქციე-მეთქი. ვინ იცის, რამდენჯერ დამინდო ღმერთმა, რამდენჯერ გადამარჩინა დაინვალიდებდასა და სიკვდილს, თითქოს სტიქიონები მცდიდნენ: ფათერაკი მინაზე, საფარის გორაკიდან ჩამოვარდნისას; განსაცდელი წყალში (მდინარე მოსკოვის გადაცურვისას); განსაცდელი საკუთარ ბუხრიან ოთახში — ცეცხლში დაიწვებოდი, დედა შემთხვევით რომ არ მოსულიყო. იატაკს მოდებული ალი ეზოდან ნათურის შუქად მიიჩნია, ავალ, შუქს ჩაეუქრობო, გაიფიქრა. დროზე რომ არ ამოსულიყო, ალბათ ვერც გადავრჩებოდი...


მინის, წყლისა და ცეცხლის სტიქიონებს ჰაერი მოსდევს, სამწუხაროდ, ფათერაკი ჰაერშიც შემემთხვა — გუდაურის საბაგიროზე. შემთხვევით გადავჩრი. მეგობრისგან იმ დღეს რომ არ მეთხოვა სლალომისტის ხელთათმანები; თოკი, რომლითაც ისინი იყო გადაბმული, სკამს არ გამოსდებოდა; საბაგირო დროზე რომ არ დაებრუნებინათ, დიდი სიმაღლიდან ჩამოვვარდებოდი... და აი, საბოლოო მეხუთე განსაცდელიც, რომელიც იმ სივრცეში შემემთხვა, რომელიც მხოლოდ ინდუიზმშია სტიქიონად მიჩნეული — ეთერი, ანუ ასტრალური სხეულების სამყარო. სიზმარში ადამიანი საკუთარ თავს თურმე ეთერულ სივრცეში ხედავს. არსებობენ ჰალუცინატორები, რომლებიც ასტრალურ შეგრძნებებს ამბადებენ, ერთხელ დამაინტერესდა აკრძალულ ხილს გემო გავუსინჯე. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ხუთი თუ ექვსი საათის განმავლობაში ზემოდან ვუყურებდი საკუთარ თავს, ჩემი ეთერული სხეული ფიზიკურს იყო დაცილებული. ცოტაც და აჩრდილების ქვეყანაში დავრჩებოდი სამუდამოდ, მაგრამ ისევ გადავჩრი...

როგორ არ უნდა ვიყო უფლის მაღლიერი, მით უმეტეს, რომ განსაცდელთან ერთად ბედნიერი დღეებიც მაჩუქა... აი, მერაბ კოსტავას სახლის წინ ვდგავარ და ვუსმენ დიდებულ ადამიანს — ეს პირველი მიტინგია, 1988 წლის 26 მაისს რომ გაიმართა. სულ რალაც ოცდაათი დღე ადამიანი ეს-

რება. რა ვაჟკაცურად და ომახიანად მოგემართავს საქართველოსთვის მრავალნაბაზი კაცი. უეცრად დეკორაციები იცვლება, თითქოს სცენა დაატრიალესო, ახლა აწყურები ვარ და ღვთისმშობლის ტაძარს ნანგრევებიდან ვწმენდ, სამუშაოს დასრულების შემდეგ კი მტკვარში ვბანაობ, მინდა, დინებას ცურვით აღმა ავუყვებ, მაგრამ არ გამომდის; უცებ თითქოს ვიღაცამ გარეჯში გადამსვა, ფერდობზე ვდგავარ და სახე მთვარეს ვუყურებ; იქვეა მუთაქა (მეცხვარე ძაღლი), რომელსაც ფილოსოფიურ კითხვას ვუსვამ: მუთაქ, რამდენი გზაა ცხოვრებაში? ძაღლი ყურადღებით მისმენს. თანდათანობით სინათლე ფერმკრთალდება, მეხსიერებაში ერთმანეთს ენაცვლებიან ბნელი დღეები. ჩემს თავს ბიჭვინთის სანატორიუმში ვხედავ, მაგული მირეკავს და მატყობინებს, სასწრაფოდ ჩამოდი, მამა ცუდად არისო — ხმაზე ვატყობ, მატყუებს, მამა ცოცხალი აღარაა.

უცებ დიდ ეკრანზე 9 აპრილის მოვლენები გამოჩნდა. ტანკები და რუსი სამხედროები. საჯარო ლოცვა. პატრიარქი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გვაფრთხილებს. ქვეყანაში გლოვია, ტრაგედია ორი ჩემი მეზობელი იმსხვერპლა — ნანა სამარგულიანი და მარინა ჭყონია-სამარგულიანი. ჯანიკოს ტანკების გამოჩენისას ცეკვა დაუნყია. არეულობაში და დაფხმძიმე მეუღლე დაკარგა, თუმცა მალე თვითონაც გარდაიცვალა ძვლის კიბოთი. უშიშარი იყო, შუალამისას კარს ისე გაგიღებდა, არც გადმოგხედავდა ფანჯრიდან, არ გკითხავდა, ამ შუალამისას რატომ გამაღვიძეო. ერთი-ორჯერ საქეიფოდ წავიყვანე, მას კი თურმე ეგონა, რამე ხომ არ უჭირსო — ხალათობურულმა ჩამოიბრინა კიბეზე.


დროის მანქანა ამჯერად 95 წლის გაზაფხულს მიუახლოვდა. დამეა, ნაქცეულ მოხუც დედას პირში ვასუნთქებ, იმ იმედით რომ გავაცოცხლებ. აი, ფეხმოტეხილი ვნეკარ საავადმყოფოში, გირი მკიდაია, უცებ ფეხის გულზე ტარაკანი მახობდება, მეღვინეობა და ვიცინი. პალატის ავადმყოფებს, ფეხბრუნებში მსოფლიო ჩემპიონატს რომ უყურებენ, გიჟი ვგონივარ. აფსუს, რა კარგი ბიჭი იყო და როგორ გაგიჟდა, ალბათ ტკივილს ვერ გაუძლო, ჩურჩულებენ; ვხედავ ექიმს, გირს რომ მხსნის და სახლში მწერს. თაბაშირი ბარძაყამდე მადევს, ვინცე მაჰაბჰარატას რვატორიულს კითხვას, თავიდან ვითომდაც დროის მოსაკლავად, თუმცა თანდათანობით ცხოველი ინტერესი მიჩნდება. არის რალაც ახლობელი ძველ ლეგენდებში. არიული ტომებისგან შევინროებული აბორიგენი ქალდეველები, ინდოეთში რომ სახლობდნენ, ევროპულ პროტოქართველებს მაგონებს. მეოთხე ტომი ახალი დასრულებული მაქვს, თაბაშირს რომ მიცვლიან, ამჯერად მუხლამდე მიმცირებენ. ვინცე რომანის წერას ქართულ-ბერძნულ მითოსამყაროს გმირ პრომეთე-ამირანზე, თანდათანობით მიჩნდება გრძნობა, რომ ის იგივე შივაა. უბრალოდ, სხვადასხვა სკოლის მიმდევარმა ქურუმებმა ერთი ამბავი სხვადასხვაგვარად გადმოსცეს. უცებ რომანის გმირი ჩემგან დამოუკიდებლად იწყებს მოქმედებას, თავდაპირველად კეთილ საქმეებს აკეთებს, თუმცა მოულოდნელად ბოროტდება, ყველაფერს ღრმად ანადგურებს. თაბაშირს მხსნიან, თავიდან ვინცე სიარულის სწავლას წლინახვერის ბავშვივით. მასაჟისტი ქალი კმაყოფილია. მე კი ეჭვი მიპყრობს, მართალია, რომანი წარღვნის წინ დავასრულე, თუმცა გამოქვეყნებას არ ვაპირებ, რადგან ისიც კი არ ვიცი, კეთილია თუ ბოროტი ჩემი თხზულების მთავარი პერსონაჟი.



აჟი. საშინლად ვარ გადაღლილი, უბრალო, მარტივ თემებზე გადასვლა მჭირდება. მატერიალისტურ სამყაროში დაბრუნება. მახსენდება, რას მიყვებოდა ჩემი მეგობარი კროლიკა მედიტაციით დაღლილ ერთ-ერთ გურუზე, რომელმაც თურმე მოწაფეებს სთხოვა, რაც შეიძლება მეტი ქათმის ხორცი მომიტანეთ, თორემ შეიძლება ასტრალური სამყაროს აჩრდილად ვიქცეო. ყველას გაუკვირდა, რადგან ვეგეტარიანელი იყო, თუმცა ხორცი მაინც მოუტანეს. შეჭამა და გადაღლილობისგან განიკურნა. მეც მიშველა ხორცის ჭამამ, ამ ქვეყანას დავუბრუნდი... ისევ არქარად კადრები. ამჯერად უკვე სვეტიცხოველში ვდგავარ ახლადგვარდანიერილი, ხელში სამი სანთელი მიჭირავს, მერე მივდივარ მაცხოვრის, წმინდა ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ხატებთან და ვთხოვ, რომ ჯანმრთელი და გონიერი ბავშვების მამა გამხადოს, ფიცს ვდებ ღვთისმშობლის ხატის წინაშე, რომ ცოლს არასდროს ვუღალატებ. სანთლები ინვის, სვეტიცხოველში საოცარი სიმშვიდეა, გვერდით ჩემი მეჯვარე ამირან მალუტაშვილი მიდგას, პატიოსანი, თბილი და ოჯახის მოყვარული ადამიანი, მუდამ საკუთარი შრომით რომ ირჩენდა თავს. დრო კვლავ უჩვეულოდ ჩქარდება, სამი წელი მე და ქეთის ისე შეგვეძინა და ისე წამოიზარდნენ, რომ გააზრებაც ვერ მოვასწარი. აი, უმცროსი (სამი წლის დიმიტრი) მხრებზე მაზის, ვეძისობაზე ვართ დოლის სანახავად. პერჩენია ჭამს და თავზე მაფხვინს, თან ყურებზე მექაჩება და ხელებს ლოყებზე მიტყაპუნებს. ჯერ გამართულად მამიკოსაც ვერ ამბობს — მაიკო, მაიკო, პუტუნაო, მეუბნება. რას ვერჩი, ხვედა ბავშვი, პუტუნა რომ ვარ. გადის ორიოდ წელი, ახლა ბაკურიანში ვსეირნობთ, უცებ მოყინულ თოვლზე ფეხი მისრიალდება და ვეცემი. ქეთი დიშის ეხუმრება, მამა რატომ არ დაიჭირეო. „ამხელა ვირი როგორ უნდა დამეჭირა?“ — უკვირს ბავშვს. მერე ხვედა, რალაც ცუდი რომ თქვა, რცხენია და იბუზება. უფრო ვაჟსაც ვხედავ, მინა შეიძინა თბილისის მახლობლად და საცხენოსნო სამყაროში ცენტრის მონყოფას გვემავს ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებისთვის. ნატალიაც აქვეა, საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლობს თავისუფალში. აი, დაფინანსებაც მოიპოვა და ჩინეთის სახელმწიფო სტიპენდია, ხანჭოუში სწავლობს, პირველ სემესტრს სურავს და პანდემიაც იწყება. ქვეყნები ახალი ბაზილიონის აშენებას რომ გვემავდნენ ერთმა პატარა ბაქტერიამ დააშინა, შეწყდა ავია-მიმოსვლები, ტურიზმი, დაიხურა სასტუმროები და რესტორნები, იტალიაში ტრაქტორებით დადი ორმოცს თხრიან და გარდაცვლილებს საერთო სასაფლაოებზე მარხავენ, ინდოეთში კი — ნევენ... ნატალია თბილისში ბრუნდება და დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში აგრძელებს სწავლას. აია სოფიაში მეჩეთი იხსნება. საბერძნეთის ეკლესიებში სამგლოვიარო ხარებს რეკავს. სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე კონფლიქტი მწვავდება, აზერბაიჯანი ტერიტორიების ნაწილს იბრუნებს. თურქეთი ლიბიაში შედის, რუსეთი კი უკრაინაში იჭრება. მიმდინარეობს სასტიკი ძმათამკველი ომი...

კვიპროსის გაყოფისა და 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ უნდა გვევარაუდა, რომ დაიწყებოდა დაპირისპირება ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროებს შორის, ხელახლა გაღვივდებოდა გაყინული რეგიონული კონფლიქტები, თუმცა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებამ მსოფლიოს ჰანდემიაც დააჩინა და ყველა მანამდე არსებული მცირე კონფლიქტებიც. ეს დაპირისპირება ყოველ წუთში შეიძლება იქცეს დიდ, დამანგრეველ III მსოფლიო ომად. რა ელის მსოფლიოს? ყველას ეს კითხვა აკერია პირზე, თუმცა საფრთხის მიუხედავად მაინც ვაგრძელებთ საქმიანობას: ბიზნესმენი ბიზნესმენობს, ექიმი ექიმობს, მასწავლებელი ასწავლის, მე ვწერ... მაგრამ რატომღაც არაფერი გამომდის, საქმეს გულს ვერ ვუდებ, აზრებსაც ვერ ვიკრებ. ჩაფიქრებული მაქვს, თავი მოვუყარო არა მხოლოდ ხელოვნებაზე, საქართველოზე დაწვრილ ენებსაც და წიგნად გამოვიყ, თუმცა ვერც ამ საქმეს ვაბამ თავს. იქნებ ყველაფერი ომის ბრალია?! ზოგი იმასაც ამბობს, ახლა რა დროს ლიტერატურაა, ქვეყანა ინგრევაო. მაშ, რისი დროა, ვეკითხები საკუთარ თავს, იქნებ სჯობს, ადამე სოფლად დავსახლდე და მეურნეობას მივყო ხელი?!





პაატა ნაცვლიშვილი

# ისევ თანხმოვ(ა)ნებანი

*„ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ პოსტმოდერნისტული ლექსების სათაურებში ყოველი რიცხვი თანხმოვანთა ადგილს შეესაბამება ქართული ანბანის 33-ასოიან რიგში.*

*ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითოეული სქოლიო ლექსის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი ნაკითხვა, ისევე როგორც თავად ლექსისა, სულაც არ არის სავალდებულო.*

*ლექსები ხშირად სტიქიურად ინერებოდა და ამა თუ იმ მოვლენის — საზოგადოებრივის, კულტურულის, სპორტულისა თუ ცხოვრებისეულის — ერთგვარი გამოძახილია. აქედან მოდის მათი დოკუმენტური ბუნებაც.*

*ყველა ეს ლექსი პირველად ქვეყნდება, თუმცა მათი უმეტესობა წინა ათასწლეულშია დაწერილი. რა თქმა უნდა, იმდროინდელია სქოლიოებიც. ამიტომ შესაძლოა, ბიოგრაფიული თუ ზოგიერთი სხვა სახის ცნობა სქოლიოებში რამდენადმე მოძველებული იყოს.*

02.11.10.

ბალაკს<sup>1</sup> რითმის გულისთვის ცოლად მოჰყავს ბალოკი<sup>2</sup>, კანში<sup>3</sup> წითელ ხალიჩის გაუშლიათ ბილიკი, ხალხს ეგონა ზუმრობა, ამ ზუმრობის ბოლო კი ქორნილია! ანთია გოჭის პირში ბოლოკი.

<sup>1</sup> მიხაელ ბალაკი (დ. 1976) — გერმანელი ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების კაპიტანი 2004-2010 წლებში.  
<sup>2</sup> სანდრა ბალოკი (დ. 1964) — ამერიკელი თეატრისა და კინოს მსახიობი.  
<sup>3</sup> კანი — კინოფესტივალების მასპინძელი ქალაქი საფრანგეთში; სხვაა ოლივერ კანი (დ. 1969) — მეკარე, მიხაელ ბალაკის თანაგუნდელი „ბაიერნსა“ თუ გერმანიის ნაკრებში.

02.25.02.

დუ-შაშებმა<sup>1</sup> გადაფარეს ჩარები<sup>2</sup> და ბეშები<sup>3</sup>, პილიგრიმნი როჭიკობენ, მკითხაობენ ბოშები, ერასყ თავზე ასხდებიან მამა-შვილი ბუშები<sup>4</sup>, დედა-შვილის ხატი ბრწყინავს: გვიახლოვდე-ბა შობა.

<sup>1,2,3</sup> დუ-შაში, ჩარი, ბეში — კამათლის სხვადასხვა გვერდი თუ კომბინაცია.  
<sup>4</sup> ჯორჯ ბუში (დ. 1924) და ჯორჯ ბუში-უმცროსი (დ. 1946) — აშშ პრეზიდენტები, მამა — 1989-1993 წწ., შვილი — 2001 წლიდან.

03.02.13.

არის ასეთი ქვეყანა, სახელად ჰქვია გაბონი<sup>1</sup>, ზოგან ჟირაფთა ჯოგია, ზოგან ბინადრობს გიბონი, აქ არც შანელი<sup>2</sup> იციან, არცა დოლჩე და გაბანა<sup>3</sup>, არც ჯინა ლოლობრიჯიდა<sup>4</sup>, ბრიჯიდ ბარდო<sup>5</sup> თუ გაბენი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> გაბონი — სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში.  
<sup>2</sup> გაბრიელ (კოკო) შანელი (1883-1971) — ფრანგი მოდის დიზაინერი და სუნამოების მწარმოებელი.  
<sup>3</sup> დოლჩე და გაბანა (Dolce & Gabbana) — იტალიელი დიზაინერების — დომენიკო დოლჩესა (დ. 1958) და სტეფანო გაბანას (დ. 1962) — მიერ შექმნილი მოდის სახლი; უმცროსი საკუთარ სუნამოებსაც.  
<sup>4</sup> ჯინა ლოლობრიჯიდა (დ. 1927) — იტალიელი კინოვარსკვლავი, ფოტოგრაფი და მოქანდაკე.  
<sup>5</sup> ბრიჯიდ ბარდო (დ. 1934) — ფრანგი კინოვარსკვლავი, ცხოველთა უფლებების დამცველი.  
<sup>6</sup> ჟან გაბენი (1904-1976) — დიდი ფრანგი მსახიობი.

03.17.11.

ავშენდებით, მოგვეცემა ძალა ნია-გარული<sup>1</sup>, თავს რომ ადებს, თუ იმ ფასად გაგვეყიდა გურული, თუ გურულმა ჩაანაცვლა ის უღვაშა გორელი<sup>2</sup>, თუ ოდესმე ხალხად იქცა ეს ამდენი გორილი!

<sup>1</sup> ნიაგარა — მსოფლიოს უდიდესი ჩანჩქერი ამერიკის შეერთებულ შტატებშია და კანადის საზღვარზე.  
<sup>2</sup> უღვაშა გორელი ალბათ სტალინი (1879-1953) უნდა იგულისხმებოდეს.

03.30.17.

ლორს არ ეპატიება საქციელი გოჭური, ლორის ინფანტილიზმი<sup>1</sup> მთელმა კოლტმა გაჭორა, შენ კი აფორიზმების ხელში წივნი გეჭირა: როცა ასჯერ გაზომავ, ერთხელ მეტე გაჭერი.

<sup>1</sup> ინფანტილიზმი — ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების დამუხრუჭება ბავშვობის საფეხურზე.

04.04.10.

თუმც პირველ წუთზე გადირკეს<sup>1</sup>, მატჩის გმირია დუდეკი<sup>2</sup>, მატჩის გმირია ჯერარდიც<sup>3</sup>. სტამი<sup>4</sup>, ნესტა<sup>5</sup> და დიდა<sup>6</sup> კი ვერ ირჯებოდნენ ჯეროვნად... მილანს მოეკლა<sup>7</sup> დედიკო. ლივერპულს დარჩა მოგება<sup>8</sup>: ლვინო, ქალები, დუდეკი.

<sup>1</sup> გადირკეს (რუსულიდან მომდინარე ფარგონი) — გახვიტეს, გოლი გაუტანეს.  
<sup>2,3,8</sup> ლექსში გადმოცემულია 2004-2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შთაბეჭდილება. ეს მატჩი სტამბულში გაიმართა და ფეხბურთის ისტორიაში „სტამბულის სასწაულის“ სახელით არის შესული. ფინალის წინ ფავორიტად „მილანი“ ითვლებოდა და გუნდმა ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნა პაოლო მალდინის გოლით. ტაიმი ბოლომდე ჰერნან კრესპომ კიდევ ორი გოლი გაიტანა ირფი დუდეკის კარში და იტალიელთა უპირატესობა გაასამშავა. მეორე ტაიმში „ლივერპულმა“ ძალიან სწრაფი ქმბეჭეტი გააკეთა და ანგარიშის გათანაბრება ნ-წუთიან მონაკვეთში შეძლო სტივენ ჯერარდის, ვლადიმირ შმიცერის და ჩაბი ალონსოს გოლებით. დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. პენალტების სერიაში „ლივერპული“ წინ იყო — 3:2, როცა ანდრეი შეჩენკოს პენალტი იერფი დუდეკმა მოიგერია და „ლივერპულს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.  
<sup>4,5,6</sup> სტამი, ნესტა და დიდა „მილანის“ ფეხბურთელები არიან. კალამქ რეზერვში იყო, მაგრამ კარლო ანჩელოტის მოედანზე არ გაუყვანია.  
<sup>7</sup> ლექსის თავდაპირველ ვარიანტში აქ სხვა სიტყვა წერია.

04.13.17.

დინარა<sup>1</sup> მოსწონს დენიროს<sup>2</sup>, დენიროს ფულს სთხოვს დინარა, თან უნდა არა დოლარი, — კუვეიტური დინარი, მსოფლიო ბანკი ყოფილა თურმე დენიროს დონორი, ლულა-ქაბაბი ვერა და, უყიდა ქაბაბ-დონერი.

<sup>1</sup> დინარა ალიევა (დ. 1980) — აზერბაიჯანელი საოპერო მომღერალი.  
<sup>2</sup> რობერტ დენირო (დ. 1943) — ამერიკელი კინოვარსკვლავი, „ოსკარებისა“ და „ოქროს გლობუსის“ ლაურეატი.

06.07.17.

იპონი!<sup>1</sup> გაცუდდა სუყველა: კოკა<sup>2</sup>, იუკო<sup>3</sup>, ვაზარი<sup>4</sup>... შენსკენ მომართეს ათასი ფოტოკამერის ვიზირი, ოქროს ხალათი ჩაგაცვეს, თითქოს შაჰის ხარ ვეზირი, ემაგ ხალათის აღწერას ჯორჯო სჭირდება ვაზარი<sup>5</sup>!

<sup>1</sup> იპონი — წმინდა გამარჯვება ძიუდოში.  
<sup>2,3,4</sup> კოკა, იუკო, ვაზარი — სხვადასხვა ხარისხის მომგებიანი ქულები (ნაკლებიდან მეტისკენ) ძიუდოში.  
<sup>5</sup> ჯორჯო ვაზარი (1511-1574) — იტალიელი მხატვარი და არქიტექტორი, აღორძინების ეპოქის მხატვართა ბიოგრაფოსი, თანამედროვე ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი.

06.13.02.

მოიარეთ ლონდონები, პარიზები, ვენები, დედქვერნენ ურთიერთას სხვისები და თქ-ვენები, დაგისკდათ და დაგებერთ ავადმყოფი ვენები... დღეს ინყება ვაჩოვსკების<sup>1</sup>, „მატრიცების“<sup>2</sup> ჩ-ვენება.

<sup>1,2</sup> ვაჩოვსკები — ამერიკელი რეჟისორები, ჯერ მშობი — ლორენს (დ. 1965) და ენდრიუ პოლ (1967), შემდეგ კი დები — ლანა და ლილი; ტრილოგია „მატრიცა“ (1999) მათი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია.

06.17.13.

ეიფელის კოშკს — პარიზი, აივანს შვენი ვერონა<sup>1</sup>, ვირენი<sup>2</sup> მორბენალია, ფეხბურთელია ვერონი<sup>3</sup>, დინოზავრთაგან პანანა ხვლიკი გადარჩა — ვარანი<sup>4</sup>, ეს გოთვერანი<sup>5</sup> ცხოვრება ვერაგია და ვერანი!

<sup>1</sup> ქალაქი ვერონა და ერთი იტალიური აივანი რემინისცენციაა უილიამ შექსპირის (1564-1616) პიესისა „რომეო და ჯულიეტა“.  
<sup>2</sup> ლასე ვირენი (დ. 1949) — ფინელი სტიქიერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი.  
<sup>3</sup> ხუან სებასტიან ვერონი (დ. 1975) — არგენტინელი ფეხბურთელი, არგენტინის ნაკრების კაპიტანი 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული.  
<sup>4</sup> ვარანი — ყველაზე დიდი (3 მეტრამდე) თანამედროვე ხვლიკი.  
<sup>5</sup> გოთვერანი — ამოსავარდნელი<sup>1</sup>, ИЗВЕР (დ. ჩუბინაშვილი); „პასიური პედერასტი“ (ი. გრიშაშვილი).

06.19.17.

კარებში იდგეს თუნდაც ბაია<sup>1</sup>, სახელად ჰქვია რომელს ვიტორი, დამარტყმევენეთ ერთი პენალტი, ცხარე ცრემლებით უნდა ვატირო! გამარჯვებულმა დროშით შევამკო ნინის სუძუკი ანუ ვიტარა<sup>2</sup>, მერე ვატარო უნდა ქალაქში და მასთან ერთად მეც დრო ვატარო.

<sup>1</sup> ვიტორ ბაია (1969) — პორტუგალიელი ფეხბურთელი, ერთი ორ მეკარეთაგან, რომელსაც მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი და თასების მფლობელთა თასი.  
<sup>2</sup> სუძუკი ვიტარა — იაპონური ავტომობილი, ავტორის მეუღლის პირველი ავტომობილი.

07.04.13.

სიზიფებმა<sup>1</sup> ზოდები ქვევიდან ზევით ზიდონო, ზევით აზიდონ არმაზი<sup>2</sup>, ზევით აზიდონ ზადენი<sup>3</sup>, ზემოთ მოექცნენ ქვედანი, ქვემ მოიყოლონ ზედანი<sup>4</sup>, მე მატერაცის<sup>5</sup> შევხედავ, მკერდს რომ შეუნგრევეს ზიდანინ<sup>6</sup>.

<sup>1</sup> სიზიფე — ძველი საბერძნეთის მითოური თუ ისტორიული გმირი; ღმერთებმა იგი მძიმე დანაშაულისთვის მკაცრად დასაჯეს და კლდის ლოდის მწვერვალზე აგორება მიუსაჯეს, რომელიც უკვე ბოლომდე აგორებული, ისევ ქვევით გორდება და ასე უსასრულოდ.  
<sup>2,3</sup> არმაზი და ზადენი — ქართული წარმართული პანთეონის კერპები.  
<sup>4</sup> „ზემოთ მოექცნენ ქვედანი, ქვემ მოიყოლონ ზედანი“ — პერიფრაზი სახარებისეული სიტყვებისა: „ესრეთ იყვნენ წინანი უკანა, და უკანანი წინა, რამეთუ მრავალი არიან ჩინებულ, და მცირენი რჩეულ“.  
<sup>5</sup> 2006 წლის 9 ივლისს ბერლინში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის 110-ე წუთზე მომხდარი ინციდენტი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სკანდალია ფეხბურთის ისტორიაში. ყველასთვის მოულოდნელად და მსაჯისთვისაც შეუმჩვენელად ზინედი ზიდანმა მარკო მატერაცის მკერდში თავი გლჯავა და ძირს გააგორა. გვერდითმა მსაჯმა მატჩის არბიტრს, არგენტინელ ორასიო ეპისონდოს უთხრა, რაც მოხდა და მანაც დაუფიქრებლად გაიძევა მოედნიდან საფრანგეთის გუნდის ლიდერი და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. იტალიამ პენალტების სერია 5:4 მოიგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო ზიდანის სახელოვანი საფეხბურთო კარიერა ამ წითელი ბარათით დასრულდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატერაცის შელაპარაკებისას უწოდ უზუმრია ზიდანის დის შესახებ და მისი საქციელიც ამას გამოუწვევია. ლექსში ეს სტრიქონი დაწერიდან რამდენიმე წლის შემდეგ გაჩნდა, რადგან იგი ამ შემთხვევამდე ადრეა დაწერილი. თავდაპირველ ვარიანტში ყველაფერი ნაკლებად ემოციური იყო: „მე კი შევხედავ, ჯარიმას როგორ დაარტყამს ზიდანინ!“

08.12.17.

მირჩევნია ამ წყობას წყობილება თემური<sup>1</sup>, სულ ამ წყობის ბრალია ურწმუნობა თომური, ტამარად და თამრიკოდ გადაიქცა თამარი, თეიმურაზ III<sup>2</sup> გახდა პროსტა<sup>3</sup> თემური!

<sup>1</sup> იგულისხმება პირველყოფილი თემური წყობილება.  
<sup>2</sup> აქ რალაც მეცდომან დაფარული აზრი უნდა იყოს — თეიმურაზ III ისტორიაში არ არსებულა.  
<sup>3</sup> პროსტა (ბარბ. რუსულიდან) — უბრალო(დ).

08.12.25.

თუმცა გაცვალე სარწმუნო წყარო ურწმუნო თომამი<sup>1</sup>, თუმც გამოიცან, პირველი ედუარდია თუ მიშა, ნიშანს მაინც ვერ დაგინერ ამ საგამოცდო თემამი, სათაურია რომლისაც „რეკოლუციის თამამი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ურწმუნო თომა — გამოთქმა უკავშირდება მოციქულ თომას, რომელმაც ქრისტეს აღდგომის სასწაული მოულოდნელობისგან ჯოუტად ვერა და ვერ დაიჯერა.  
<sup>2</sup> „რეკოლუციის თამამი“ — საუბარია ვირტუალურ კიბერსივრცეზე.

10.02.17.

სივრცე, მარა რა სივრცე! — ვირტუალურ-კიბერი<sup>1</sup>! უსასრულოდ მრავალი კილომეტრი კუბური, მაგრამ ამას სჯობია პანანინა კაბარე, ჩემი აფეთქებების იდუმალი კაბურა!

<sup>1</sup> საუბარია ვირტუალურ კიბერსივრცეზე.

10.04.11.

ზოგი თაროზე დადებულია, ზოგი კიდული, ჯინსებით არის გადატენილი მთელი კედელი:



ლევ სტრაუსი<sup>1</sup>, კიდე ვრანგლერი<sup>2</sup>, მერე კიდე ლი<sup>3</sup>, რომელს ვყიდულობთ?

ტვინს არჩევანის ხვრიტავს კოდალა!

<sup>1,2,3</sup> „ლევ სტრაუსი“, „ვრანგლერი“, „ლი“ — ჯინის ბრენდები.

10.04.17.

რა ჯანდაბამ გამახსენა დღეს იანომ კადარი<sup>1</sup>, კანადური ფოთოლი თუ ლიბანური კედარი, არ იფიქროთ ამ ხეობას მართლა ჰქვია კოდორი, გინდაც ერქვას, დღეს კოდორი სახელია კოდორი!

<sup>1</sup> იანომ კადარი (1912-1989) — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხან გენერალური და ხან პირველი მდივანი, უნგრეთის ფაქტობრივი ხელმძღვანელი მრავალი წლის მანძილზე; ამ ლექსში უბრალოდ რითმისთვის უნდა იყოს შემოპატოებული.

10.10.02.

შენ ვაზარები<sup>1</sup> აგროვე, იუკოები<sup>2</sup>, კოკები<sup>3</sup>, გულს გადაგიხსნის სალხენად სამშობლო — ვარდი-კოკობი, ათასი გოგო გინატრებს, ათასი გვრიტი, კაკაბი, კაცები გადღეგრძელბენ, დაიცლებიან კოკები.

<sup>1,2,3</sup> ვაზარი, იუკო, კოკა — სხვადასხვა ხარისხის ქულები (მეტიდან ნაკლებისკენ) ძიუდოში.

10.11.13.

ბარსელონაში ზღვის პირას არის კოლონის კოლონა (კოლუმბი ესპანელთათვის ყოფილა თურმე კოლონი!), კოლონს ხელს უპყრავს ჭოგრიტი, მკერდზე ჰკიდია კულონი... თვალით ნოუ-კამპზე<sup>1</sup> დავევლიპავთ, როგორც რო ყვლიპავს კოლინა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ქრისტეფორე კოლუმბი — ესპ. Cristóbal Colón (1452-1506) — დიდი იტალიელი ზღვაოსანი.  
<sup>2</sup> ნოუ-კამპი ანუ კამპ-ნოუ — ბარსელონის მთავარი სტადიონი (1957), კლუბ „ბარსელონის“ საკუთრება.  
<sup>3</sup> ჰიერლუიჯი კოლინა (დ. 1960) — ფეხბურთის იტალიელი მსაჯი, უაღრესად პოპულარული მთელ საფეხბურთო სამყაროში, ექვსჯერ აღიარეს პლანეტის საუკეთესო საფეხბურთო არბიტრად.

10.12.26.

კიმი ალექსანდროვიჩი და ალექსანდრ კიმიჩი<sup>1</sup> სტადიონზე მიდიოდნენ, რომ ენახათ კამაჩო<sup>2</sup>, სასიმღერო ტექსტი იყო ლებედევის (კუმაჩი)<sup>3</sup>, თავის ამინდს მისტიროდა ცოხნა-ცოხნით კამეჩი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> კიმი ალექსანდროვიჩი და ალექსანდრ კიმიჩი — ავტორის ნაცნობი მამა-შვილი, მადრიდში მცხოვრები რუსი ემიგრანტები.  
<sup>2</sup> ხოსე ანტონიო კამაჩო (დ. 1955) — ესპანელი ფეხბურთელი; თამაშობდა მადრიდის „რეალსა“ და ესპანეთის ნაკრებში.  
<sup>3</sup> ვასილი ლებედევი-კუმაჩი (1898-1949) — რუსი საბჭოთა პოეტი, არაერთი პოპულარული საბჭოთა სიმღერის ტექსტის ავტორი.  
<sup>4</sup> ეს სტრიქონი რემინისცენციაა ქართული ხალხური ლექსისა: „კამეჩი ნეეს და იცოხნის, / თავის ამინდი ჰგონია, / ლაფში ჩაფლული ურემი / შინ მიტანილი ჰგონია.“

10.17.04.

ნუხელ მესიზმრა, თითქოს კატანი ვიყავ კორადო<sup>1</sup> და გამემართა ესპანეთში უნდა კორიდა, რათა ხახულის მოპარული მეცნო კარედი, რომლითაც ვილაც მატადორმა მორთო კარადა.

<sup>1</sup> კორადო კატანი — დამიანო დამიანის, ფლორენსტანო ვანჩინისა და ლუიჯი პირელის სერიალის „რეაფეხას“ მთავარი პერსონაჟი, მაფიის წინააღმდეგ მებრძოლი სიცილიელი კომისარი (1946-1989), რომლის როლიც შეასრულა მიქელე პლაჩიდომ (დ. 1946).

10.31.08.

როგორ არ ვიამაყოთ ჯუმბერით<sup>1</sup> თუ კუხოთი<sup>2</sup>, მანუჩარით<sup>3</sup>, მიშაით<sup>4</sup>, სლავაით<sup>5</sup> და კახითა<sup>6</sup>... ალავერდის ყელით და ციგომბორის კეხითა, მართლა საამაყოა, რო ამაყოფს კახეთი.

<sup>1,2</sup> იგულისხმებიან ტიან-შანის მწვერვალ პოპედაზე დალუპული სახელოვანი ქართველი ალპინისტები ჯუმბერ მეშვარიაშვილი (1929-1961) და თეიმურაზ კუხიანიძე (1934-1961).  
<sup>3,4,5,6</sup> იგულისხმებიან სახელოვანი ქართველი ფეხბურთელები: მანუჩარ მაჩაიძე (დ. 1949), მიხეილ მესხი (1937-1991), სლავა მეტრეველი (1936-1998) და კახი ასათიანი (დ. 1947).

11.15.18.

სიბნელეში თავის თავს ველარა ცნობს ლაპასი<sup>1</sup>, ოვეხუნა ფუნტე<sup>2</sup>, დე ვეგასი, ლოპესი<sup>3</sup>. რა ვქნა, თუ მოვიწოდებ გადიდება ლუპისა?.. ჯენიფერი ამშვენებს ტელეეკრანს, ლოპესი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ლაპასი — ბოლივიის დედაქალაქი.  
<sup>2,3</sup> „ფუნტე ოვეხუნა“ („ცხვრის წყარო“) — ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას (1562-1635) პიესა, რომელიც 1922 წელს დადგა კოტე მარჯანიში-ლმა (1872-1933) და დღემდე ქართული თეატრის ერთ-ერთ მწვერვალად ითვლება.  
<sup>4</sup> ჯენიფერ ლოპესი (დ. 1969) — ამერიკელი კინოვარსკვლავი და მომღერალი.

12.07.13.

ერთაოზის<sup>1</sup>, ბრეგვაძისა, მამა იყო მიზანა<sup>2</sup>, როცა ქუხან ქვემეხები, მაშინ დუმან მუზანი, ომს სჭირდება მიზეზი და საბაბი და მიზანი, ხოლო კინოს — ფელინი<sup>3</sup> და ჯულიეტა მაზინა<sup>4</sup>.

<sup>1,2</sup> მიზანა და ერთაოზ ბრეგვაძეები — პერსონაჟები ელდარ შენგელაიას (დ. 1933) საკულტო ფილმისა „მერეკილები“ (1973).  
<sup>3</sup> ფედერიკო ფელინი (1920-1993) — დიდი იტალიელი კინორეჟისორი.  
<sup>4</sup> ჯულიეტა მაზინა (1921-1994) — დიდი იტალიელი კინომსახიობი, ფედერიკო ფელინის მეუღლე.

12.12.11.

ალან ჟირესი<sup>1</sup> ოდესლაც მკერდს ეხატა მამალი<sup>2</sup>, ახლა პირში ჩაუდევს კარამელის მამალი, ქართველი ჯვაროსნების ტრენერი<sup>3</sup> და მამილო ბიჭებს მოძღვრავს — უნდაო ვასახელოთ მამული!

<sup>1</sup> ალან ჟირესი (დ. 1952) — ფრანგი ფეხბურთელი და მწვრთნელი, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი 2004-2005 წლებში.  
<sup>2</sup> იგულისხმება ფრანგული ანუ გალური მამალი, როგორც საფრანგეთის ერთ-ერთი სიმბოლო; ფრანგ სპორტსმენებს მაისურებზე სწორედ გალური მამალი ახატაით სხვადასხვა სახით.  
<sup>3</sup> ტრენერი (ბარბ.) — მწვრთნელი.

12.17.03.

ჩვენ მოვრიგდით, შენ იყავი იმ დღეს ღამის მორიგე, ამოვწურეთ აზარტის და ინტელექტის მარაგი, ჯერ ჭადრაკი ვითამაშეთ, მერე ნარდი, მერე გო<sup>1</sup>, მერე კარტი... კარგად გახსოვს, რა კარტებიც მირიგე...

<sup>1</sup> გო — აღმოსავლური ლოგიკური სამაგიდო თამაში.

12.17.07.

შენ რომ გნახა, დამალულა, ჟანზე უთქვამთ მარეზე<sup>1</sup>, შენს ნახატებს მოუხიბლავთ თურმე ბერტა მორიზო<sup>2</sup>, ჰავლაბარი ჰაფრენს შენზე, ჰამაც ხუან მიროზე<sup>3</sup>, ბემურაზი კი არადა, შენ ხარ ნაღდი მურაზი<sup>4</sup>!

<sup>1</sup> ჟან მარე (1913-1998) — ცნობილი ფრანგი კინომსახიობი.  
<sup>2</sup> ბერტა მორიზო (1841-1895) — ფრანგი იმპრესიონისტი, ედუარ მანეს (1832-1883) რძალი.  
<sup>3</sup> ხუან მირო (1893-1983) — დიდი კატალონიელი მხატვარი.  
<sup>4</sup> მურაზი — იგულისხმება ცნობილი ქართველი მხატვარი, ავტორის მეგობარი (თეიმურაზ მურვანიძე) (დ. 1939).

12.18.13.

ამო სუნების სძლია მუსონი<sup>1</sup>, მას მიჰყვებიან ხალხთა მასანი, არ უნდა ამას დიდი მისანი, ეს ბიჭი არის ნაღდი მასონი.

<sup>1</sup> მუსონი — ჰაერის მასების სეზონური მოძრაობა. აქ ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით.

12.26.26.

გემი მეჩერზე? არა, პირიქით: გემზე შემჯდარა თურმე მეჩერი, აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, რომელმაც მარტო მიწა მოჩერა<sup>1</sup>,

ვისაც არ ხურავს მასხარის ჩაჩი, ამქვეყნად არის ოდენ მეჩაჩე, ახლა გვჭირდება გასაგრილებლად ბუენა<sup>2</sup> გოგო, კარგი მუჩაჩა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ეს სტრიქონი პერიფრაზია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტაეპისა ლექსიდან „გუთნისდედა“: „აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი, / რომე აჩეჩოს მარტო მიწანი, / და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს, / რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას“.  
<sup>2,3</sup> ბუენა მუჩაჩა (ესპ. Buena muchacha) — კარგი გოგონა.

12.27.12.

ალებ-მიცემობაა! ალება და მიცემა!<sup>1</sup> დაგვიძახეს თავისკენ შენ მიწამ და მე ცამა, eBay-მ<sup>2</sup> და დუბაიმ, შატილმა და მუტომა. ჯობდა, ბავშვი წყაროზე გაგზავნამდე მეცემა.

<sup>1</sup> ავტორს ძალიან არ უნდა, რომ წესიერმა მკითხველმა აქ ის ალება და ის მიცემა წარმოიდგინოს, რომლებიც გარყვნილმა და უზნეო მკითხველმა გაიფიქრა.  
<sup>2</sup> eBay — ყიდვა-გაყიდვის ამერიკული საერთაშორისო ელექტრონული კომერციული კომპანია.

12.31.08.

გაითვალე: პირველი, მესამე და მეხუთე... დაგაყარეს ქოქოლა, დაგამინეს მეხითა, მორჩა ანეკდოტები მართა და მიხითა ახლა უნდა ყვერებში გაიყარო მახათი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ანდაზისმიერი რჩევა ქრონიკულ უსაქმურთათვის.

13.11.18.

არ გეშინოდეს უნდა ნაგების, შენ შიში გქონდეს ნოლით ნოლისა, ფუკოს ქანქარის<sup>1</sup> კანონი სხვაა, სხვაა კანონი საქა-ნელასი, ეს რამოდენა ცხენს მკიდებენო, ასეთი არის ფიქრი ნალისა, ვერ წარმოიდგენ, რა პატარაა ნიგებში ასე დიდი ნილოსი!

<sup>1</sup> ფუკოს ქანქარა — ქანქარა, რომლის მიზანია დედამიწის 24-საათიანი ბრუნვის მოდელირება. საზოგადოებისთვის ქანქარის პირველი ლია დემონსტრაცია განახორციელა ფრანგმა ფიზიკოსმა და ასტრონომმა ლეონ ფუკომ (1819-1868) 1851 წელს პარიზის პანთეონში.

13.19.25.

მე შეგვივარ, მე შევედი, მე ვნეტარებ ნატოში<sup>1</sup>, ხოლო ნატოს, რა თქმა უნდა, სჯობს ტულელი ნატაშა<sup>2</sup>, ორივეს კი მირჩენია მადმუაზელ ნიტუში<sup>3</sup>, სწორედ ნიტუშს ვგულისხმობდი დილის ნატურა-ნეტაში.

<sup>1</sup> ნატო — (აქ) ქალის სახელი.  
<sup>2</sup> ნატაშა — ავტორის სტუდენტობისდროინდელი ნაცნობი.  
<sup>3</sup> მადმუაზელ ნიტუში — ფრანგი კომპოზიტორის ფლორიანო ერვეს (1825-1892) ოპერეტა, რომელიც ჩვენში უფრო ვახტანგოვის თეატრის სპექტაკლით (პრემიერა — 1944) და კიდევ უფრო მეტად ლეონიდ კვინიხიძის (დ. 1937) ფილმით „ციური მერცხლებით“ (1976) იყო ცნობილი, რომელშიც მთავარ როლს ია ნინიძე (დ. 1960) ასრულებს.





დასაწყისი პირველ გვერდზე

შაბათმა ჩვეულებრივად ჩაიარა — სალამომდე ისეირნეს, ითამაშეს, ზოოპარკი მონახულეს და უკან დაბრუნდნენ. სამნი ერთად ყოველთვის ძალიან კარგ დროს ატარებდნენ, ამიტომ ელოდნენ ასე მოუთმენლად უქმეების დადგომას. ვახშმად და მსხდარნი კვლავ ბევრს და გულთბილად საუბრობდნენ, თითქოს რაიმე დღესასწაულს აღნიშნავდნენ — ვთქვათ, შობას.

ყოველივე ეს ხომ ნამდვილად იყო მისი ცხოვრება?

იმ დღესაც ადრინადა დაიძინა და შუადღეს გაიღვიძა. სალამომდე დრო ჰქონდა, ამიტომ კვლავ გასეირნება გადაწყვიტეს. ამჯერად ოთხნი იყვნენ — ძალიან ნაიყვანეს.

სალამოს მეგობრები ეწვივნენ და შინ დაწყებულმა ნადიმმა მალევე გადაინაცვლა ბარებისკენ. გვიან ღამეზე დახეტებოდნენ, ადგილებს იცვლიდნენ და ბევრს სვამდნენ. საუბრობდნენ, კამათობდნენ, ალაგ-ალაგ მღეროდნენ და ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. როდესაც სახლებში წასვლა დააპირეს, მიხვდა, ქალაქს საკმაოდ ღრმად შეეტყუებინა და უკან დასაბრუნებლად დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ ამის გამო სინანული არ უგრძობია, პირიქით, უხაროდა, რომ გონების განწმენდას და ფიქრს შეძლებდა.

მარტო მოაბიჯებდა ღამეულ ქუჩებში და ფიქრობდა, ოღონდ თავადაც არ უნყოდა — რაზე. ფიქრი დაწყებული არ ჰქონდა, რომ ავიწყდებოდა. უკვირდა კიდეც, როგორ შეიძლებოდა, ამდენი სიცარიელე ჰქონოდა გონებას. ახლა მხოლოდ შინისკენ სწრაფვა დარჩენილიყო და ნაბიჯები, რომლებსაც უკვე აღარ ითვლიდა — სათვალავი აერია.

ღამეულ ქალაქებში დრო იკარგება, ჩერდება და აზრს კარგავს. ძველი ქალაქები უკუაგდებენ ხანიერებას და მარადისობაში იდებენ ნილს.

ძლიერი ქარი ქროდა, ჭადრები შრიალეზდნენ, ჩურჩულებდნენ და ღრიალებდნენ, შემზარავ ისტორიებს ჰყვებოდნენ. ის კი მიაბიჯებდა სახლისკენ, რომელიც მისი არ იყო — ქუჩაზე, რომელიც სხვას ეკუთვნოდა, რათა იმ ცხოვრებით ეცხოვრა, რომელსაც დიდი ხანია, გაუუცხოვდა.

სამყაროსთან გაუცხოებით საკუთარ თავს ვპოულობთ, საკუთარ თავთან გაუცხოებით კი — ღმერთს.

ფიქრობდა, როგორი შეგრძნება დაეუფლებოდა სახლში მისულს, საკუთარ ადგილზე ვიდაც სხვა რომ დახვედროდა, მისივე მსგავსი, მსგავსი კი არა, იდენტური. მის ადგილს დაიკავებენ, სამყაროდან გააძევენ, ჩანაცვლებენ. აკვირდებოდა თავისივე ჩრდილს, რომელიც ვერ პატარავდებოდა ლამპიონების შუქზე, შემდეგ იზრდებოდა, ბოლოს კი ქრებოდა. სახურავებზე კატები დახტოდნენ, ერთმანეთს მისდევდნენ, კბენდნენ და კანრავდნენ. ქარი ქროდა და ჭადრის ხეებს აღრიალებდა.

ქუჩები ცარიელი იყო, როგორც ეს კვირა დღის ღამეულ ქალაქებს ახასიათებს. როდესაც სახლისკენ მიმავალ აღმართს შეუყვავა, ყველაფერი უფრო მშვიდი ეჩვენა. აქ სრული მდუმარება გამეფებულიყო, მხოლოდ ქარის ქროლა არღვევდა სიჩუმეს, ბარები უკვე დაეკეტათ, სახლებიდანაც აღარ იფრქვეოდა სინათლე, ამიტომ მხოლოდ იშვიათად აღმართული ლამპიონების შუქზე უწევდა სიარული. აღმართის აველას ჩვეულებრივ დღეებში ათ წუთს ანდომებდა, მაგრამ ახლა უკვე დალილი იყო, მთვრალი და, ამიტომ, ნელა მიაბიჯებდა, ზოგჯერ ფეხიც ეროდა და ერთხელ მოსაწევდაც შეჩერდა. ასე რომ, გზა გაიწვია, მაგრამ მთელი იმ დროის განმავლობაში, აღმართს რომ ეჭიდებოდა, არავის შეხვედრია, გზად ერთი სულიერიც არ შეუმჩნევია. შინ მისასვლელად სულ ცოტა აკლდა, როდესაც ერთი ძველი სახლის წინ ადამიანის სილუეტი შენიშნა. იმ ადგილიდან ღამე-პიონი შორს იყო — თავდაპირველად მხოლოდ იმის შემჩნევა შეძლო, რომ ადამიანი კარის წინ იდგა და ხელებს ნელა ამოძრავებდა. იფიქრა, რომ, შესაძლოა, ქურდთან ჰქონოდა საქმე, მაგრამ ეს შენობა, რამდენადაც იცოდა, არავის ეკუთვნოდა, უფრო სწორად, მესაკუთრე, დიდი ხანია, არსად ჩანდა და მის შესახებ არავინ არაფერი უწყობდა. ქურდი ვერაფერს ნახავდა შიგნით აბლაბუდის, ნესტის, მტვრისა და ძველი კედლების გარდა. ეს მძარცველს, ცხადია, წინასწარ უნდა სცოდნოდა.

უცნობმა მისკენ მიატრიალა თავი, ნამით შეაჩერა მზერა, შემდეგ კი კვლავ კარისკენ მიტრიალდა და მშვიდად განაგრძო საქმიანობა. გარშემო რამდენიმე დიდი ჩემოდანი ედო. მისმა სიმშვიდემ და სავესე ჩემოდნებმა დაარწმუნა, რომ საქმე ქურდთან არ ჰქონდა. გზაზე გადასვლა გადაიფიქრა და არჩეული მიმართულებისთვის არ გადაუხვევია.

როდესაც მიუახლოვდა, დაინახა, რომ უცნობი მოხუცი იყო, დაუძლურებული ხელები უკანკალებდა და ამაოდ ცდილობდა, კარისთვის გასაღები მოერგო. მაშინ კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქურდი არ იყო და გადაწყვიტა, გამოლაპარაკებოდა. ნაბიჯი შეანელა, რომ კარგად დაჰკვირვებოდა.

— სიგარეტი ხომ არ გაქვთ? — ჰკითხა ამ დროს მოხუცმა.



— სიგარეტი? — საკუთარ თავს ჰკითხა, — მაქვს, დიახ. ცხადია, მაქვს, — დაბნეულმა უპასუხა და ჯიბეების მოსინჯვას შეუდგა.

სანამ ხელებს შარვალსა და ქურთუკზე იფათურებდა, მოხუცი ახსნა-განმარტებას შეუდგა:

— თამბაქოს დიდი ხანია შეევევი, ჩემი ასაკის ადამიანისთვის სიგარეტი უკვე მეტისმეტად მაგნებელია. თუმცა ხანდახან მაინც გამოერევა ხოლმე ისეთი დღეები, ძალ-ღონეს რომ მაცლის და მეც იძულებული ვარ, მოვნიო.

— აიღეთ, — გაუნოდა სიგარეტის კოლოფი და ასანთიც შეაშველა.

მოხუცმა კარს თავი მიახებდა, გასაღები ქურთუკის ჯიბეში დააბრუნა და მადლობა გადაუხადა.

— სიმართლე გითხრათ, ქურდი მეგონეთ. ვფიქრობდი კიდეც, თქვენთვის თავი ამერიდებინა და პოლიციაში დამერეკა.

— კიდეც კარგი, ასე არ მოიქეცით, თორემ კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი. ამ შენობის მფლობელი ვარ.

— მიხარია, რომ დროულად შევნიშნე თქვენი ჩემოდნები. თანაც, აბა, რომელი მძარცველი გადაწყვეტდა ასეთ ძველ შენობაში შესვლას, რომელიც დიდი ხნის წინ მიატოვეს? ის ხომ ცარიელია.

— სულაც არა, ახალგაზრდავ, სულაც არ გახლავთ ცარიელი. პირიქით, მეტისმეტად სავესეა, პირთამდე სავესე. მხოლოდ ეგ არის, ვერა და ვერ ვახერხებ კარის გაღებას.

— დარწმუნებული ხართ, რომ სწორად არგებთ გასაღებს?

— ჩემი ასაკის ადამიანი დარწმუნებული აღარაფერში უნდა იყოს. სიმართლე გითხრათ, ცოტა დავიბენი კიდეც, გასაღებების სათვალავი ამერია.

— თუ გნებავთ, შემოძლია, დაგეხმაროთ.

— მგონი, სახლში უნდა მიგეჩქარებოდეთ, ჩემს გამო ნუ შენუხდებით.

— არ შევწუხდები, პირიქით, მოხარული ვიქნები, თუ დაგეხმარებით.

— როგორც გინებოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამას თქვენ მთავაზობთ და არა — მე.

— ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

— კეთილი. მაშ, ინებეთ გასაღები.

მოხუცმა ქურთუკის ჯიბიდან გასაღები ამოიღო და გაუნოდა. მოეჩვენა, რომ ასხმაზე ყველა გასაღები იდენტური იყო,

მაგრამ იფიქრა, რომ მხოლოდ მოეჩვენა. რამდენიმე მცდელობის შემდეგ კარმა გაიჩხაკუნა და ჭრილით გაიღო.

— დიდად მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი! — მეტისმეტად ხმამაღლა გამოუვიდა მოხუცს, მისმა მჭახე ხმამ ღამის სიჩუმე გააპო, — თქვენ რომ არა, უკან მომინევდა დაბრუნება. გახსოვდეთ, კარი თქვენ გააღეთ და არა — მე. ჰო, მართლა, სიგარეტისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.

— რას ამბობთ! სამადლობელი არაფერია, მე, უბრალოდ, კარი გაგიღეთ.

— დიახ, მაგრამ არაჩვეულებრივი კარი.

— უნდა გამოგიტყდეთ, ამ შენობაზე ბავშვობაში ათასგვარ ისტორიებს ვიგონებდით. ჩემი სკოლა აქვეა, ოდნავ მოშორებით. ასე რომ, იქ მიმავალი ან შინ დაბრუნებ-

ული, მუდამ ჩავეუვლიდი ხოლმე ამ ადგილს და ვოცნებობდი, ცოტა ხნით მაინც შემეჭვრიტა შიგნით.

— შეგიძლიათ, ახლავე აისრულოთ სურვილი.

— ნუთუ მართლა?

— ცხადია.

— მხოლოდ ორ წუთს ნაგართმევთ, სწრაფად მოვავლეთ თვალს.

— სიმართლე გითხრათ, დავალებული ამ შემთხვევაშიც მე დაგრჩებით, რადგან მარტოს ამ ჩემოდნების შინ შეტანა გამიჭირდება.

— მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა — თქვენ ჩემოდნებს დააბინავებთ, მე კი ბავშვობის ოცნებას ავისრულებ და ამის შესახებ ჩემი სკოლის ამხანაგებს ვუამბობ.

— იმედი მაქვს, ისტორია მოუნონებათ.

— ეს იმაზე დამოკიდებულია, შენობის შიგნით რა დამხვდება.

— ნუთუ მართლა უამბობთ ყველაფერს მეგობრებს?

— აუცილებლად, აუცილებლად ვუამბობ!

მოხუცი უცნაურად ქირქილებდა და სისინებდა.

— თქვენ, აი, ის აიღეთ, ყველაზე მძიმეა, — მიუთითა ერთ-ერთ ჩემოდანზე, — მე კი შედარებით მსუბუქს ავიღებ.

შენობას ძლივს ანათებდა გარედან შემომავალი მკრთალი შუქი. ვერაფერს ამჩნევდა და მხოლოდ მოხუცის დახმარებით შეეძლო გადაადგილება:

— ფრთხილად, მანდ კიბეა. აი, ასე. ნუ დარდობთ, არც ისე გრძელია, რომ ამ ჩემოდნების ატანა გაგიჭირდეს. კიდეც ოცი საფეხურიც და ადგილზე ვიქნებით. მხოლოდ ორი ჩანთა დაგვრჩება ამოსატანი.

— კიდეც ოცი? — გაუკვირდა მას, — აქამდე, სულ ცოტა, ოცდაათი საფეხური ავიარეთ.

— დიახ, ოცდაათზე მეტიც.

— შესაძლებელია ორსართულიან სახლში ორმოცდაათი საფეხურიანი კიბის დატევა?

— სიბნელე გაბნევთ, ახალგაზრდავ. ეს კიბე ხვეულია.

— ნუთუ ამას მნიშვნელობა აქვს? — გაუკვირდა და იქვე დაამატა, — აქაურობა მშვენივრად გცოდნიათ, ასეთ წყვდიადშიც კი იკვლევთ გზას.

— ცხადია, ასეა. მე ხომ აქ დავიბადე და გარდავიცვალე.

— ნამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა თქვით?

— ხომ არ შეგამინეთ? — გაეპასუხა მოხუცის ხმა, — ვისუმრე.

— ცხადია, ისუმრეთ. რალაც სხვა ხდება.

— მაინც რა?

— დეჟავიუ. თითქოს აქ უკვე ვყოფილვარ და ეს სიტყვებიც გითქვამთ ჩემთვის.

— ნუთუ მართლა?

— არა, ცხადია, აქ არასდროს შემოვსულვარ. ალბათ რალაც სხვა გამახსენდა.

— შესაძლოა.

— მაგრამ ესეც კი, ეს დიალოგიც, ჩემს მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ვიცო!

— თქვენც ადევით და ყველაფერი სხვაგვარად თქვით, ვიდრე წარმოგიდგინათ! დეჟავიუც მაშინვე გაქრება.

— ვიცოდი! ვიცოდი, რომ ამას მეტყოდით. აღარაფერი თქვათ, გთხოვთ, ნურაფერს იტყვით.

როგორც იქნა, დარჩენილი ოცი საფეხურიც მიიღია და კიბის თავზე აღმოჩნდნენ. ბოლო საფეხურზე ჩამოსხდნენ.

— აი, ჩვენც მოვედით, — თქვა მოხუცმა, — მოდი, ცოტა ხნით დავისვენოთ.

— სიმართლე გითხრათ, დავილაღე.

— მესმის. კიბე საკმაოდ რთული ამოსაველია. თქვენი დეჟავიუ როგორ გრძობს თავს?

— დამტოვა.

— როგორ, სულ დაგტოვათ?

— მგონი, ჰო. გაქრა, აორთქლდა. ყველაფერი, ალბათ, დალილობის და სიმთვრალის ბრალია.

— არ მგონია.

— მაშ, რისი?

— არ ვიცი. იქ, კიბეზე, მომეჩვენა, რომ გეშინოდათ.

— უნდა გამოგიტყდეთ, ცოტათი შევშინდი.

— მერედა, რატომ? განა დეჟავიუ საშინაა?

— ვერაფერს გეტყვით.

— მგონი, ახლაც გეშინიათ.

— ვერაფრით ვიშორებ დაძაბულობას.

— თუ გნებავთ, სინათლეს ავანთებ.

— მართლა? — გაუხარდა, — თუ შეიძლება, ძალიან დამეხმარებით.

მოხუცი კიბის საფეხურიდან წამოდგა და სიბნელეში გაუჩინარდა. მისი ფეხის ხმა ჯერ შესუსტდა, მერე კი სულ მიწყდა შენობის წყვდიადში.

„ესეც კი, ეს მომენტიც, მეცნობა. თითქოს ყოველივე უკვე მოხდა. ის გაქრება, გაუჩინარდება, მე კი სამუდამოდ დავიკარგები ამ სახლში. ჰო, ყველაფერი სწორედ ასე მოხდება, ამას ვგრძნობ, მთელი არსებით ვგრძნობ.“

მაგრამ მალე შენიშნა შენობის სიღრმეში გაჩენილი მცირე ნათება და რამდენიმე წამში მოხუციც დაბრუნდა.

— ვწუხვარ, — თქვა მან, — სულ ეს არის, რაც მაქვს. ამ დერეფანში ერთადერთი ჩირაღდანია, ამას უნდა დაგვჯერდეთ.

— წყვდიადში სინათლის მცირე ნერტილის გამოჩენაც მეტისმეტად სასიხარულოა.

— ასე მხოლოდ მათ ჰგონიათ, ვინც არც სიბნელის უწყის რამე და არც სინათლის გარწმუნებთ, სინათლის მბჟუტავი ალი ერთადერთია, რაც წყვდიადში გვანამებს. ეს ყველაფერი ვიცი, რადგან აქ დავიბადე და გარდავიცვალე.

— აი, ისევე! კვლავ იმავეს ამბობთ.

— მიუტევეთ მოხუცს უკბილო ხუმრობა.

— საქმე ხუმრობა კი არ არის, არამედ ის, რომ მე წინასწარ ვიცოდი, რასაც იტყოდით.

— განა ისიც არ გეგონათ, რომ უკან აღარ დაგვბრუნდებოდა?

— დიახ, ასე მეგონა. საიდან იცით?

— როგორ გითხრათ, განზრახ დავყოვნი დერეფანში, რადგან ვიცოდი, უეჭველად იფიქრებდით რაიმე მსგავსს. ახლა მაინც შეგიძლიათ, მოეშვათ დეჟავიუზე ფიქრს?

— დიახ, ვეცდები.

— მოდი, უკან დაგვბრუნდით.

— სად?

— გარეთ, ცხადია. სხვაგან სად?

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა. დაგვბრუნდით. თითქოს გაუკვირდა, გარეთ გასვლა რომ შეეძლო.

კიბე ჩაირბინა და გარეთ გასულს ესიამოვნა გრილი ნიაფის შეხება სახეზე.

— აი, ჰაერი, ნამდვილი ჰაერი! — აღმოხდა მოხუცის გამოჩენისთანავე, — ახლა



კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შენობაში არასდროს შევსულვარ.

— ჯოჯოხეთის ყველაზე საზარელი თვისებაც სწორედ ეს არის, საკუთარ თავს გვაგინებს. მომიტევეთ, ისე ვიხუმრე.

— აქ, გარეთ მყოფს, თქვენი ხუმრობები უცნაურად აღარ მეჩვენება. თქვით, რაც გსურს.

— მგონი, სჯობს, სახლში ნახვიდეთ. დარჩენილ ჩემოდნებს თავად შეეცადე. ისედაც მეტიმეტად შეგანუხეთ.

— არა, არავითარ შემთხვევაში! — გაჯიუტდა ლამეული მგზავრი, — რადგან შეგპირდით, დაგეხმარებით კიდევ. მხოლოდ ორიოდ წუთი მომეცით, რომ ჰაერი ღრმად ჩავისუნთქო.

— ისუნთქეთ, ისუნთქეთ ღამის ცივი ჰაერი, ვინ იცის, იქნებ ეს უკანასკნელი ღამეა ჩვენთვის.

— რა ბრძანეთ?  
— არაფერი, არაფერი. მომანევიანეთ კიდევ ერთი ღერი.

იდგნენ და ენოდნენ. ქარმა სწრაფად ჩაწვა თამბაქო, გემო ვერ ჩაატანეს.

— ნავიდეთ?  
— ნავიდეთ, — უპასუხა მოხუცმა და ჩემოდნები მოიმარჯვეს.

სიბნელეში შეაბიჯეს, მაგრამ შორს, კიბის თავზე, მოხუცის მიერ დერეფანში დატოვებული მკრთალი ნათება ბუუტავდა.

— ხომ გახსოვთ, აქ კიბეა.  
— დიახ, დიახ, მახსოვს.

მიაბიჯებდა და ჩემოდანი წონას კარგავდა.  
— დეჟავიუს საქმე როგორ არის?

— როგორც ჩანს, საბოლოოდ დავაფრთხეთ.  
— კარგია, კარგია! — თითქმის იყვირა მოხუცმა, — კიდევ ორმოცი საფეხური და ადგილზე ვიქნებით.

— ორმოცი?  
— დიახ.

— მე კი მეგონა, გზის ნახევარი უკვე გამოვიარეთ.  
— ასევე არის. ორმოცი საფეხური ავიარეთ, ორმოცი დარჩა.

— მაგრამ წელან კიბე გაცილებით უფრო მოკლე იყო.  
— წელან ასე იყო, ახლა — სხვაგვარად. გიკვირთ?

— მიკვირს, ძალიან მიკვირს. ეს ჩანთაც რაღაც უცნაურად მსუბუქდება.

— არა უშავს, საშიში არაფერია. ხომ გახსოვთ, შეგიძლიათ მენდოთ, მე ხომ აქ დავიბადე და გარდავიცვალე.

— ჩემი სიტყვები, თქვენი ფრაზები, ყოველი ჩასუნთქვა, ხელის მოძრაობა, ყოველი საფეხური მეცნობა! ეს მხოლოდ დეჟავიუ კი არ არის, არამედ რაღაც სხვა. თითქოს აქ, სწორედ ამ მომენტში, უკვე ვიყავი. ეს უკვე ვთქვი და ვიცი, შემდეგ რას ვიტყვი, — ამ დროს უკან მიიხედა, რომ წამით მაინც მოეკრა თვალი კარისთვის, შემომავალი სინათლისთვის, მაგრამ წყვილიანი განურჩეველი იყო და სრულყოფილი, — სად გაქრა კარი? რატომ ვერ ვხედავ მას?

— ჰკითხა მოხუცს ისე, რომ სვლა არ შეუნელებია და საკუთარ თავს თვითონვე უპასუხა, — კიბე ხომ ხვეულია, ალბათ კარს საფეხურები ეფარება. რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები და როგორ მაშინებს ეგ თქვენი დუმილი. გთხოვთ, ერთი წინადადება მაინც თქვით, ხმა გამეცით, თუნდაც ისევე ის თქვენი ხუმრობა გაიმეორეთ, რომ აქ დაიბადეთ და აქვე მოკვდით. რატომ არაფერს ამბობთ? თქვენი სუნთქვაც კი აღარ მესმის. წუთუ ისევე იმას ცდილობთ, შემაშინოთ, როგორც მაშინ, დერეფნის გასანათებლად რომ ნახვედით? ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი, ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი, ორმოცი, ორმოცდაერთი, ორმოცდაორი... მე უკვე კიბის თავზე უნდა ვიყო, მაგრამ სინათლე ვერ კიდევ შორს ბუუტავს, თითქოს საფეხურები გამრავლდა. სად ხართ, რატომ მიმატოვეთ ამ წყვილიდში? მოხუცო, რაისათვის მიმატოვე მე? ეს ყოველივე ხომ უკვე იყო, სიტყვები ხომ უკვე წარმოვთქვი, კიბეები ხომ უკვე ავიარე, ხომ უკვე შეგხვდი? საფეხურები არა და არ სრულდება. ახლა უკვე ყოველი შემდეგი მომენტი მახსენებს წინა მომენტს, თითქოს დანაყვანილ დროში გავიქნებო, სადაც მუდამ ერთი და იგივე მეორდება, დაუსრულებლად...

როგორც იქნა, ბოლომდე აიარა კიბე და წყვილად ჩახედა. ჩემოდანი თან აღარ ჰქონდა. ეგონა, რომ შეშინებულმა სადმე დატოვა, მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, რომ არც არასდროს სჭერია ხელში.

საფეხურზე ჩამოჯდა და ხან კიბეს ჩასცქეროდა — ხან დერეფანს, ზურგს უკან რომ ბუუტავდა მკრთალად. ეს მომენტიც კი, ეს საზარელი მომენტი, იცოდა. ვერაფრით იშორებდა დეჟავიუს გრძნობას, თითქოს არაფერი იყო ქვეყნად ახალი, თითქოს ყველა მომენტი, რომლის წარმოდგენაც შეეძლო, უკვე განვლო. მხოლოდ დიდხანს ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ არ არსებობდა დეჟავიუ — არც არავითარი ჩემოდნები, მოხუცი, კარი, ქუჩა, ქარი, ჭადრების შრიალი, ლამეული ქალაქი, ბარები, სასმელი, მეგობრები, გრძელი ვახშმები შინ; მიხვდა, რომ მხოლოდ ზმანებაში განიცდიდა სინამდვილის დეჟავიუს. მუდამ აქ იყო, ზნელით მოცულ ამ ადგილას — ხვეულ, უგრძეს კიბეს, გრძელ, მბუუტავ დერეფნებს, სარდაფებს, ზმანებებს შორის. არასდროს დაუტოვებია ეს ლაბირინთი, რომლის სიღრმე ულესაც მისი უსასრულოება ქმნის. ყოველივე ისე ესიზმრა, როგორც ბავშვს ეზმანება საჩუქარი, რომელსაც ვერასდროს მიიღებს. როგორც შეშლილი წარმოიდგენს არარსებულ ცხოვრებას და პერსონაჟებს — მაგრამ ის არც ბავშვი იყო და არც შეშლილი.

ეს უგრძესი ლაბირინთი იყო მისი ცნობიერების ჯოჯოხეთი.



**გაპირკვაპული კაცის რობაი**  
*ელგუჯა მარლიას*

ჩემო კოლხელო,  
ჩემო ძმაო, ჩემო მარლია,  
ამ წუთისოფლის  
ნარ-ეკალი თავზე მაყრია,  
ბევრი გამდიდრდა,  
მე კი ისევე უარაფრო ვარ,  
მარქვი, ძამიკო,  
ძაღლის თავი თუ სად მარხია!..

**გურული გოგო**  
**იუმორესკა**

წყალწმინდის თემში ვყიდულობ კეფალს, მართალი გითხრათ, არც ისე ეფად, გურული გოგო მილიმის ცალყუბად და უხურს... კეფა.

პალიასტომის თევზია, ნენა, ფაშვამა ქალი ილესავს ენას, ცალყუბად მილიმის გურული გოგო და იღვიძებენ გრძნობები ქვენა...

ჭანგზე ჰკიდია უღვამა ლოქო, კასრში სქელშუბლა მიარღვევს ბოკონს, მაყვლის ბუჩქივით მსუსხავს და მკანრავს, ისე მიყურებს გურული გოგო...

ღმუილით ვქოქავ დანჯღრეულ „ჰონდას“, კაი ხანია არ მივდეგ მოდას, გზაში იმ გოგოს სახეზე მომკლავს, რაცხა, იმფერი ღიმილი ჰქონდა...

**ეს რა მოგდის ანუ საყვილური მარტს**

რომ გგონია, ჩამოთბა და ციცქნა წუკრი ნატრობს შევლს, ფიფქები არ ჩამოთავდა, ეს რა მოგდის, მარტო, შენ!..

უსახლკარო კიეველი, ებრძვის რუსულ „მატრიოშკებს“, კვირობს თვით მაკიაველი, ეს რა მოგდის, მარტო, შენ!..

გახსოვს გალა? „დოვენ, დოვლი“, უპალტოოდ გათოშე, თოვლი, თოვლი, თოვლი, თოვლი, ეს რა მოგდის, მარტო, შენ!..

**ზოგჯერ**

არც მინას ჩემობს, არც ზეცას, გინდ წვენი ასვი იელის, მომხდურს ქორივით განწნავს ჩემი ძმა ასირიელი.

ღირსება რომ არ გათელოს, თავსაც კი დახრის ჭადარას, ზოგჯერ ის უფრო ქართველობს, ვინც არის ნაყვილდარი...

**თ ო ვ ს...**

თოვს ოდესაში, თოვს კიევეში, ხარკოვშიც თოვდა,

გმირი მებრძოლი იბრძოდა და, ქალაქს არ თმობდა!..

ცელავდა ბომბი, ელვა, ცეცხლი, მომსკდარი ლავად,

თოვდა და, ცრემლად ადნებოდა, პეჩორის ლავრას.

თოვდა და თოვდა, ფანტელეები ირიბად ცრიდა,

მარიუპოლში და ხერსონში, ტყვიები წვიმდა

ბავშვებს ნუ მოვკლავთ, თუკი რამე შემოგვრჩა წმინდა!..

ურანს მსოფლიოს დახეული წალი და წინდა.

თოვს ოდესაში, თოვს კიევეში, ხარკოვშიც თოვდა...

**მარგი სიტყვები**

„რომელმაც შექმნა სამყარო“ განგებითა და ღვთის ნებით, მანვე აავსო ქართული რუსთველის აფორიზმებით;

ავსო: ოდა, დასახლე, ბუხრისპირი თუ კერია: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“;

ყოველი სიტყვა მარგია, მსგავსი წყართა დინების: „ვარდა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“;

სიტყვები ჰგვანან ალუბლებს, ჩიტებს და პეპლებს ჭრელ-ჭრელსა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“;

იბადებიან სიტყვები და არასოდეს კვდებიან: „დღისით ვერ ნათობს სათელი, ღამით კი შუქნი კრთებიან“;

ბევრმა არ იცის ეს მცნება (არც მხედრული, არც მრგვლოვანი): „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

\*\*\*

მალე ვნახავ (შორს ვარ თუმცა), ისე მენატრება მუცო!..

მელის მთვარე გაღუნული, მომდევს ჰანგი არღუნული...

მთებში სიო დაქრის ჩქარი, გულში მიკრავს დათვისჯვარი...

ვით ნანატრი ქალის სახე, ისე მიყვარს ბარისახო...

აქ არაგვი თვალებს კაჟავს, აქ ყველაფერს ქვია ვაჟა!..

**ღამე სანაპიროზე**

„ბათუმი არის წვიმა და არაფერი სხვა“.  
ვახტანგ ლლონტი

მთვარე მინათებს ბილიკს, დავემშვიდობე ძილს, დავემშვიდობე ბინას, ზღვისკენ მივდივარ, წვიმს...


ვარსკვლავებს ვითვლი ცაზე, ერთურთს სწამებენ ცილს, ფეხით გავივლი წყალზე, მაგრამ ზღვაშია წვიმს...

გოგო მიერთმევს ტაროს, არ ჩანს მთლად კაი ზნის, აქ რას გაუგებ ტაროსს, ბათუშია და წვიმს...

ნაპირზე ვიხილ წინდებს, თან უძილობა მცლის, წესით, არ უნდა წვიმდეს, მაგრამ, რატომღაც წვიმს...

ენკენისთვეში გვლუმპავს ნალექი მთელი წლის, ნისლეში მოვდივარ უკან, ზღვიდან ვბრუნდები, წვიმს...





დოდო ჭუმბურიძე

სიღვიპი, აპოლონის ტაპარტან

მხურვალე მზე ადნობს სიდეს, თითქოს რამე აღარ მწყინდეს, თითქოს აპოლონი მცდიდეს, ოქროს მტვერში მატრიალებს;

ეულ დარდებს ზღვაში ვყრიდე, ან უდარდო ხალხზე ვყიდდე, ცაში გაბზულ ნისლის ხიდებს, ცხელი ქარი აფრიალებს...

თითქოს ცრემლში ოქროს ცვლიდეს, მამალელებდეს ცამდე — სიდე, მშვიდი აპოლონი მცდიდეს, — მიშიშვლებდეს ნატყვიარებს...

\*\*\*

რას მიათრევს ქორი ცაში, ქარს ცარიელს თუ მკვდარ იმედს, ვგავარ ლაქას, ცრემლით ნაშლილს, უადგილოდ დასმულ მძიმეს, საზღვარს, მტრისგან გადმონეულს, თუ მოყვრისგან გაჭრილ დილეგს... რა ჟინი აქვს ამ ბრონეულს, ამდენ ცეცხლს რომ მიწაწილებს...

ჭუბარპი

აქ ბევრი ძველი მონეტაა, მაკედონელის და ლისიმაქეს, სვანები უმღერიან ლილეს და ფერხულში ანთებენ მზის სინათლეს, დევები კლდის ძირებში ხეწევიან...

ჭინკები ჭრაქებს დაანთებენ, ძველ ამბებს მიყვება ბასილევსი, მესტიის ქარები მთვარეს დაათრევენ და ჩემი, მთვარიანში დაწერილი ასი ლექსიც — ქარების ხელშია...

\*\*\*

მდინარე ისპირი, ფართო და ცისფერი და ძველი ქალაქი მთაზე, — ბაიბურთი, ისპირიც, შორეულ იმ წარსულს მისტირის, რომ მალაეს უამრავ მითსა და საიდუმლოს. იმ წარსულს, ჩვენი ხმა რომ ვერ მიწვდენია, უხდება ოცნება, ლექსი და მისტიერია, უხდება ეს მდინარე, ფართო და ცისფერი და გვერდით ჩავლილი მრავალი იმპერია...

\*\*\*

ზევის თავიდან დაბადებულ ათენას მსგავსად, მშვენიერება და სიმშვიდე სამყაროს არსად შეიგრძნო სულმა და მითიურ დროში განზავდა,

ამ ქალაქიდან თუ მომინევს ოდესმე წასვლა, ჟამს არ დავუთმობ ბედნიერი განცდების წამსაც, ზევის თავიდან ქმნილ ათენა პალადას მსგავსად...

\*\*\*

ძილისმომგვრელ სიჩუმეში მთვარიანი ღამის იმერეთი — მთის მკლავებში მოქცეული ქალი — ჩემთან ერთად ტიროდა და ჩემთან ერთად თრთოდა,

ვარსკვლავების თვლაში ჩუმად გადიოდა დრო და მთებიც თითქო მალღებოდნენ, ახლღებოდნენ ეშხით, სიყვარულით ლაღებოდნენ, სახლღებოდნენ ლექსში, პოეტები ცრემლსაც ღვრიდნენ, ან აფრქვევდნენ ხალისს, ძილისმომგვრელ სიჩუმეში მთვარიანი ღამის...

ტალღოვანი: ელი გორდელიანი  
ღაა სასახლელს, პარიზიდან გულანშაროში

— „ჩემი ქმარი, ხომ გესმის, ერთი უსაქმური მდინარეა, მისი სიყვარული, ვინ იცის, რამდენჯერ კიდეც მიწაწია“, — მიამბობს ელი, დარდიანად, ტელეფონით, პარიზიდან, მეც ვუსმენ ლიმილით, თუმცა ეს ამბავი არ მიზიდავს. „ჩემი შვილებიო, — მეუბნება, — სუფთა ნაკადულებია, უჩემოდ გუბებდა ქცევასაც რომ დაყაბულდებიან, პარიზიდან გულანშარო ისევ ისევ მტკიავო და მენატრება, რაც მეტი დრო მიდის, ტკივილი კი არ იკლებს, მემატება...“ მოსალამოვდა და გულანშარო უკვე მდინარეა, ვინ მკვდარი ზღვაა და, ვინ მართლა უსაქმური მდინარეა...

\*\*\*

ბედისწერაა თითქოს ეს წყავი, თითქმის ასი წლის ლამაზი წყავი, ისე დამჩხავის იქიდან ყვავი.

წყავმა არ იცის, ვისი მორჩია, დიდი ხნის წინათ დედას მოწყვიტეს, თითქოსდა ჩემი სულიც ხორცია, მწიწკნის, სიცოცხლე რომ არ მომწყინდეს,

რომ არ შემძულდეს უაზრო ყოფა, სასონარკვეთამ არ მძლიოს ყარიბს, რომ ჩემს შემდგომად ორიოდ სტროფად დარჩეს ჩხავილი წყავიდან ყვავის...

\*\*\*

სულ თვალი რჩებათ ცისაკენ, ჩიტები კენკენ ტკბილ საკენკს, მიხაკებს ფერი მოსვლიათ, ჩასჩერებიან მზის სარკეს, ყელყელაობენ გედები, აფროდიტე კი ზის ცალკე, ხან პოსეიდონს უყურებს, ხან ქაფებს უშვებს ზღვისაკენ, ყველა ჩვენ საქმეს ვაკეთებთ, ღმერთი აკეთებს სხვის საქმეს...

\*\*\*

ზევის ვთხოვე, იქნებ მოეცა დედოფლის თეთრი მანტია, მითხრა, — რად უნდა პოეტსო, უფრო მოიხდენ ნატყვიარს... აღარაფერი ესმოდა, სულ ბოროტება ანთხია, საცდელად ერთიც მესროლა, ამ სტრიქონსაც რომ ატყვიო...

\*\*\*

იყო სიცოცხლე ლალი და იმგვარი, დღეებს რომ არ თვლი, ჰესპერიდების ბალიდან ვარდებიც ბევრჯერ მომართვი, არ ვთვალეთ, სითბოც რა ღირდა, ან გულის ნალღერდალია, ეზოში ავი ძალი და ბებერი სახედარია. ღმერთი გვიყურებს მალღიდან, — მან იცის ჩვენი ჯახირის, მას ესმის ჩვენი სიჩუმეც და ჩვენი სულის ძახილიც...

ოთარ ჭილაძის გარდაცვალება

გზაზე კაცი მიდიოდა, გადავიდა კაცი გზიდან, ის, ვინც საქართველოს ზრდიდა, ზამთარი რომ ვერ დაზვრიდა, ზურმუხტი და მარგალიტი, გამოთლილი ლალი მზიდან — ყველაფერი აქ დატოვა, ხორცი იქით გადაზიდა...

2008-ის გახსენება 2022-ში

ოქროს ფასად შემასალეს ჰუნე ავი ბედისწერის, ქართლის კალთა დავასველე ერთგულ დის და დედის ცრემლით, ვერაფერი გავაკეთე, გული იქცა ნაფლეთებად, მტერი შავი ყორანია და არასდროს გათეთრდება.

\*\*\*

შურდათ და უყვარდათ, იბრძოდნენ წინათ, წინათაც ბევრ რამეს უმზერდნენ ეჭვით, მოთიბულ ბალახზე ჩამორბის წვიმა, გაბმულა ქალაქზე ხიდები ბენვის. ესაა, რაც არის, მყობადზე რა ვთქვა, გულზე დაგვიკიდა ცხოვრებამ ლოდი, უცილოდ გადავალთ ამ ხიდზე, რადგან კაცი რომ ეცემა, უფალი მოდის...

\*\*\*

„არის ყველაფერი, მაგრამ ეს არ არის საქართველო“. გალაკტიონი

ჩარჩოში სვამს მზერა მდელს, სათიბებს და დაღლილ მცელავს, ანანურის თავზე წეროს მიაქანებს ქარი ცერად, მთვარეც არის, საქართველოც, ციდან ვარსკვლავების ცვენაც, ყალბი მეგობარიც გვმტერობს, მართლა მტერიც არც ზვერაგს, ლექსი როგორ არ ვუნერო, როგორ მოვაშორო მზერა, ჩემო მიწავ, დაუცველო, ღმერთს დიდება, გიდგას მცველად.

\*\*\*

ვერ შემადრწუნებენ უკუღმართ ნაკადებად მოსული დღეები და დაე, იცადონ,



სიკვდილის ხვიარებმა და მტრების დაქადნებამ, და უფსკრულებისკენ ჩაშვებულმა ციცაბომ.

ჯოჯოხეთის ბორკილით ვერ შემკრავს მამონა, ხაფანგს ვერ დამიგებს სურვილი მგლის, რადგან სულ მინდოდა — სამყაროს ჩამოვლა და ყველას მოფერება, — სიკვდილისაც კი...

\*\*\*

ბოროტთა კარავში ყოფნას ვერ ავირჩევ, უფლის სახლის ზღურბლთან დგომას ვამჯობინებ, ჯიქურად აქ ფლოქვებს ტატოს მერანი სცემს და თავგანწირვისას ჟინს ის მაგრძობინებს.

ბოროტთა კარავში ვერ დავიბინადრებ, მიჯობს, უსახლკაროდ გზებზე ვინანნალო, ო, როგორც ბავშვობაში, სხვა შუქით მინათებ, მკვებავ სხვა იმედით, ჩემო მინა-წყალო!..

**ქალღმერთი კიპაელსთან შეხვედრა ანატოლიაში**

მწვანედ განოლილ მდინარეს რომ გადმოცილდები, ჩელტის ხიდზე რომ თხის ჯოგები გამოცვივდება, ჯადო-ჩიტების გალობა რომ არ მოგცილდება, ბინდი იმატებს, მზე ინურვის, შუქი მცირდება... კლდეებმხოზურულ ხეობაში, ძიებით დაღლილს, შეგეგებება ზეციური ქალღმერთის სახლი, ირგვლივ ყოველი ხმას იკმენდს და სიოც დინჯდება... ხედავ კიბელეს, მზერაში აქვს თითქო სხვა ჟინი, კლდეს მიყრდნობია ბედისწერით ჩუმად დასჯილი და მის სევდიან სამყაროში გეპატიჟება...

\*\*\*

ახლაც, როდესაც გესაუბრები, დრო გადის ჩვენი ამქვეყნად ყოფნის... საზღაურს როგორ და რით მივიღებთ, მსაჯულთან როგორ უნდა მივიდეთ... როგორ ავუხსნათ ცოდვები სოფლის...

\*\*\*

არა ვიეტმე ვითომ მოყვასი, ორი ტკივილი პენელოპასი: მშვენიერ ვარდის ორი ეკალი — ქმარი და შვილი, ვითა სპეკალი, სული დიადი, ზევსის ნაკვესი — ოდისევსის და ტელემაქისი...

\*\*\*

მდინარის გაღმა ეკლიანი ბორცვების წყება, სირინოზები, სიმღერით რომ გულს იჯერებენ, მერე მსაჯული და სამსჯავრო, ბედი აქ წყდება, ვინ იცის, როგორ დაგიჯერებენ... სულის იარებს თუ აჩვენებ, ან დაჭრილ კეფას, იქნებ გადიდდეს მადლი უფლის, სამართლის კრება.

**მარიამ მაგდალინელი**

დიღეგში ვიყავ კარგა ხნით, იყო ცხოვრების დიღემა, ვიფიქრე: ჟამი, საჩემო, რა უსიამოდ იღევა, ოცნების მდელო გადახმა,

გაქრა სიზმრული ქმნილება, უეცრად, შემომანათა მარიამ მაგდალინელმა.

მაჯებზე მარჯნის რგოლები, ყელზე იასპი მჭვირვალი, კბილები — მარგალიტები, ბრონეულს ბაგე უგავდა, პოეტი ვერ უმღერებდა, ვერ დახატავდა მწერალი, სიყვარულს უხმოდ აფრქვევდა,

ჯოჯოხეთს მზერით ბუგავდა. ვუთხარი: დაო, მეც მიყვარს იესო და სულ დავეძებ, შენ მონახე და მე ვერა, სულის ნეტარით ამვსებო, ვერ ვჩერდები და ვერ ვფიქრობ

სხვა ვინმეზე და რამეზე, იმედს მე თვითონ ვიმზადებ და ამ იმედით ვარსებობ... გამიცინა და წავიდა, ოქროს ქოშები იყარა, ქალმა ლალმა და ლამაზმა, უფალმა რომ შეიყვარა... ხან წვიმს, ხან თოვს და

ქარებში დარიალებენ ჩრდილები, დარიალიდან შემოდის ნისლი, ნამყინვარწვერალი, სიცოცხლე მიაქვს და მიდის მარიამ მაგდალინელი, პოეტი რომ ვერ შეამკობს, რომ ვერ დახატავს მწერალი...

**მარტვილში**

ღვთისმშობლის ხატის წინ ვლოცულობ და მეტირება, იმდენი ცუდი რამ ხდება, ვიცი — უფლის დედასაც გული ეტკინება. ხან წვიმს, მონასტერს მარტილისას ავარაყებს ხან მზე, უბრწყინავს გულნატკენ მამაოს ცრემლები თვალზე.

ლოცულობს ჩემ გვერდით სხვა ქალიც გულიანად, შორს მოჩანს ჯუმათი, სუფსა და გურიანთა...

**რიკოთულა**

კიდევ კარგი, რომ კასპიისკენ არ ჰქენი პირი, შენც ჩემთან ერთად შავი ზღვისკენ მოემართები, ათასი ფესვი, ყვავილები, ტირიფის ჩრდილი, მერე დუმალას და ძირულას წყლებში გაქრები, თითქოს არც იყავ და არასდროს გემღერ-გეცინოს, აგერ ყვირილა და ფაზისიც, ტკივილი, შიში, მე ვიგრძნობ —

შენს შხეფს რომ მომახლის პონტოს ევქსინოს, სულ ერთი შხეფით გიცნობ, შენი სიგიჟის ნიშნით. მე მესმის, რისი გეშინია და რატომ ტირი, არაფერია, მოვერევი გაქრობის ტკივილს... ო, რიკოთულავ, კიდევ კარგი, ერთად მივდივართ, კასპიისკენ არ ჰქენი პირი!..

**პასუხი არაპის გაუცია**

მინდა და, ვერ ვახერხებ სიმშვიდის მოპოვებას, ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ქაოსია, — მამა რას ფიქრობდა, მარტო რომ გვტოვებდა?.. კითხვაზე პასუხი არასდროს გაუციათ.

მისმენენ, მოსწონთ თუ არა, რაც ვუთხარი, — ქველებს რატომ სჯიან, თუკი აურჩიათ უფალმა ეს როლი, როგორც საჩუქარი... პასუხი არასდროს, არავის გაუცია...

გვერდი ავუქციე ბედის აუქციონს, ეშმაკმა ფასი ყველაფერს აუნია, ზიზღსა და მტრობაში ქვეყანა დაგვექცა, და რატომ, — პასუხი არავის გაუცია...

**მალაკი, აგვისტო, მწყარაზე ნადიროზა**

სიო გაქრა ვერხვებში, შუადღეა ხეხეში, მზე მედება ფეხებში, მწყრებს დასდევენ თოფით, ორცეცხლშუა დამდგარი, დაჭრილ ჩიტის ფართხალით — ჩემი მკაცრად ნათქვამი სასაცილოდ გყოფნის.

მსხალს გადაჰკრავს სიმლაშე, როგორც ცრემლებს, ვილაშქრებ მათზე, ვისი სილაჩრეც არის ნგრევა ყოფის, ფიქრი ეძებს სანუკვარს, სალამური არ უკრავს, თოფი ისვრის, ანუ კლავს, ცეცხლისმფრქვევი თოფი...

\*\*\*

ტოტმა თუ იცის ნეტავ, რას გრძნობს მინაში ფესვი, ან ფოთოლი რას ფიქრობს, ტოტის ხმა როცა ესმის... მიხტის ბელტიდან ბელტზე ზამთარს დახსნილი ჩიტი და ველარ ვფიქრობ მეტზე, ოდენ უფლის თქმულ სიტყვის. დაბნეული ვარ მეტად, ყველა გულის ხმა მესმის. ტოტმა თუ იცის ნეტავ — რას გრძნობს მინაში ფესვი!..

\*\*\*

რამდენჯერ შევხვდი მლიქვნელს და პირფერს, რამდენჯერ დამცეს ამაყი პირქვე, რამდენი შხამის ლუკმა მაჭამეს და დამამსგავსეს მითიურ კირკეს. ვერ გავარკვიე კარგი და ავი და ახლა მარცხი ჭეშმარიტს მირკვევს...

**გვანიშნებს რაღაც საჭიროს**

ჩვენი დარდი და მიზანი მალალ ღმერთს მუდამ ესმის, ხან წვიმას გამოგვიგზავნის, ხან ცისარტყელას გვესვრის, ხან მეხის აგრუხუნებით, ხანაც ჭრიალით მესრის — გვანიშნებს რაღაც საჭიროს, მაგრამ... ჩვენ როდი გვესმის...

\*\*\*

კავკასიონის ქედებმა ცას აუნვდინეს წვერონი, გადაიფრინეს გედებმა, მას მიედევნენ წერონი, ბედისწერაა მწერალი, რა რჩება დაუნერული, მაძიებლები სულ ვეძებთ, სურვილით განურჩეველით, მზე მოჩანს გადაწვერილი, ნამსვლელი — დაურჩენელი...

\*\*\*

ხელში მიჭირავს სულის ყავარჯენი, ამოწმებს გზის სისწორეს სურვილი გამარჯვების, — სწორად განსაჯე-თქო, — გუმანს ვეუბნები, სუნთქვას ვიმორჩილებ და თავს ვეუფლები, მინდა, საბოლოოდ იმ არსს შევუერთდე, სამყაროს რომ განაგებს ყოვლის მეუფებით...

\*\*\*

ალბათ რაღაც ეწყინა, ისეთ ელვებს მიეღვებს, გაზაფხულის ეს წვიმა ფესვს მეც გამიძლიერებს... დამავინყებს, რაც მოხდა, თავს შემიმკობს კესანით, ნუთუ მეც გამაცოცხლებს ბაღში თუთის ხესავით!.. ისეთ ქუხილს დამაყრის — მაშინებს და მამწარებს, გაზაფხული ამაყი ნუთუ მეც ამამწვანებს?..

\*\*\*

გაიხარა ეზო-ყურემ, როგორ შემხვდეს, რას არ ცდილობს,

იგავეებს თხზავს ეზოპურებს, — სოფლის ამბებს სასაცილოს,

მიჩურჩულებს ათას ამბავს, ვინ თესა და ვინ მოიმკო, ვინ წააგო თუ მოიგო, რა იყო და რა არ იყო. ეფერება დაბლა მინას, ზოგჯერ მაღალ ცასაც ცილობს, ილოცეო: რაც შენ გავნებს, ღმერთმა სხვასაც ააცილოს...

\*\*\*

ანგელოზის ხმა მესმის ქარის ზუზუნში ახლა, სამყაროსეულ წესრიგს შავი აჩრდილი ახლავს, გადმოფრქვეულა გესლი, რომ შეგვაშინონ, იმად, ლელი აჩქამდა ველზე, სითბო ჩაიკრა თივამ, ქარის ზუზუნში ნასმენ ანგელოზის ხმას მივსდევ, და შიშს იმედი ასწრებს, რომ არ ჩამქრალა კიდევ...

\*\*\*

სიტყვა მოვიდა ბაგეზე ჩუმად და გულის ტკენითა, თქმა მისი, არცთუ ადვილი ვერ შევიძელი ენითა. „გააპო ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა, მუნით წყარონი გამოხდნენ“, ამავსეს ციურ ბგერითა, თურმე ყოფილა სიზმარი, ნანახი ღამე-ბნელითა, ახლაც ცვილობ და ვერ ვამბობ, მიჭირავს ენის წვერითა...

\*\*\*

ელვარე ნაკვერჩხლებიდან ჩემი თვალების სარკეში, ნისლი შემორჩა, ქარისგან წლებსი კვალდაკვალ ნაკეცი, სად გაქრა ცეცხლი ნაკვესი — ვკითხე ანგელოზს ფარფატას, თქვა: რა უნდაო ყოფისგან წლების მტვერივით გაფანტვას...

\*\*\*

შორს, ჩემგან შორს გამიხმია შური, გესლი სიხარბისო, თვალი როგორ ავიხვიო, წყევლა-კრულვით ვით ავივსო, ძეძვმა კაბა გამიხიოს, ამით როგორ ვიხალისო, უკან როგორ დავიხიო, თუ წინ წასვლა მიხარისო...

\*\*\*

ჩემი ნილი ნუთისოფლის ავიცა და კარგიც მე მაქვს, დავილაღე ცუდის ცოდნით, აზრში შესწორება შემაქვს, იხურება აკლდამები, ვაკვირდები ციურ ეკრანს, მოციმციმე ვარსკვლავები მბრწყინავ შუქით მინას რეკლავს,

ვხედავ სილამაზეს ნამდვილს, ციურ აჩრდილების ცეკვას, სულ ამაოდ ჩნდება დარდი, ცდილობს, მომკლას, მაგრამ ვერ მკლავს...

\*\*\*

ვილაც იტყვის უდარდელი: რაა გრძნობა ჭეშმარიტი, ლომს ხახაში უვარდები, უფსკრულის პირს ფეხს არ იცვლი, რაღაც დიდი გედარდება, რატომ კვდები, შენც არ იცი...

\*\*\*

ბალახია ყველა წელი, — ჭკნება, შეერევა მინას, უფალს მივწერ მე რა წერილს, გულს რა ცეცხლი გადამიწვავს, სანამდღეა ჩემი ჭერი... ვინმემ როგორ გადამიჭრას, ანდა როგორ გამაჩუმოს, თუ მეძახის ცა და მინა...



ალარც მახსოვდა

— შამოდგომის გაყვითლებული ფოთლებივით იმალებიან გოგონები — კარგი გოგონები გათხოვებისთვის.

— ოჰ, რატომ ვითომ... აბა, რომელი დაიტევდა ასეთ გოგონებს ჩვენიდან, მითხარი ერთი. შეურაცხმყოფი, იცი? გინდა თქვა, რომ ცარიელი ვიპოვე ბოლოს და ის შევირთე ცოლად?

— არა, ბოლოს გაგიმართლა უბრალოდ.

— და რატომ იმალებიან გოგონები? კარგი გოგონები.

— მთლად იმალებიან არა. იცი, სხვანი არიან, ფაქიზნი, სალნი, წრფელნი. ჩვენგან, კაცებისგან, კი იმას ვერ იღებენ, რაც მათ სულს არ შეუცვლის, არ დაასახიჩრებს... ჩვენ ყველა ქალში ერთს ქალს ვხედავთ და მორჩა...

— აბა, რა უნდა დავინახო — იმას ვხედავ, რაც არიან.

— სწორედ ეგაა, რომ ვერ ვხედავთ. ზედპირულად ვკითხულობთ მათ და სხვა ქალებივით ვაუბრდებით.

— უბრალონი არ არიან?..

— არა, მე სხვა ქალებზე ვესაუბრები, მაგათზე — არა.

— კარგი რა, აქამდე მე არავინ შემხვედრია ეგეთი, ერთნაირები იყვნენ ყველანი — კოცნაზე რომ პასიურობდნენ და მერე მკლავებში დნებოდნენ.

— ესეც ღირსებაა, იცი?! გულწრფელნი იყვნენ და ამიტომ დნებოდნენ... აბა, მე რომ მკოცნიდნენ, იმდენად მშრალნი იყვნენ, შეეძლოთ იმ დღეს ცხრისთვის ეკოცნათ.

— ვერ დავიჯერებ, რომ ერთხელ მაინც არ შეგხვედრია კარგი გოგო... სხვა გოგო..

— ბიჭო, ვერ გავიგე, როგორია ეს სხვა გოგო?!

— არ ვიცი, მე არც შემხვედრია, მაგრამ მგონია, რომ არსებობენ სხვანაირი გოგონები... წრფელნი, უბრალონი და უბრალოებზე მეტად სევდიანნი, რაღაცნაირნი, გვირილის მსგავსნი, რომ დადიან და ციცი-ნათელივით ანათებენ ამ ბინძურ სამყაროს, სულით რომ რაღაც არაამქვეყნიურს დაატარებენ და არამარტო დაატარებენ, აფრქვევენ კიდეც. რაღაც ნათელს, სხვანაირს, არაამქვეყნიურ სევდასაც კი, განსაკუთრებით სევდიანი და უბინონი მგონია ასეთი გოგონები. ძალიან, ძალიან სევდიანნი, იმიტომ, რომ ეძებენ იმას იქ, სადაც ვერ პოულობენ და დადიან მუდმივად იქ, სადაც არ უნდა დადიოდნენ. უნეთ, თავი გაუყადრონ მათ, ვისაც არც კი უნდა გაეკარონ და ასეთი გოგონების ხელი უბედურად იქცევა ბოლოს... შემდეგ მარტონი არიან, მზესავით მარტონი, ცალად რომ ანათებენ ზეცაში, ასეთები მგონია კარგი გოგონები... საესენი წიგნით, ფანტაზიით, იმ სამყაროს სწავლით, რომელსაც ჩვენ აინუნშიაც არ ვაგდებთ და ზოგჯერ ასეთები ხვალისდელი დღის საზრისს ვერ პოულობენ, ცხოვრობენ მუქი ფერებით, სულში კი, თავისსავე ქოხის მსგავსად, ჭიამაიები უფარვატებთ.

— შენ, მეგობარო, გატყობ, დალილხ-არ ერთფეროვნებით, ცვალებადი ფლირტებით და გამოგიგონებია ქალი, რომელიც მხოლოდ წიგნის პერსონაჟად უნდა აქციო.

— მე მჯერა, რომ არსებობენ... უბრალოდ ასეთებს ვერ ვხედავთ, ვერ ვამჩნევთ... — გადამაყოლე დღეს ზღაპრის გოგონებს — თუ შევამჩნიე, ცოლს ვეყრები, იცოდე.

— არა, ასეთი გოგო მხოლოდ ჩემთვის მინდა.

— კარგი, მოვრჩეთ. დამალე ამ უსხეულო ქალებით.

— შენ დამალე. სწორად მართე, ასე მგონია, საჭეს მთვრალივით ატარებ.

— შენმა ქალებმა დამათრო, — და ისე გადახარხარა, გეგონებოდათ, მზად იყო, ასეთი ქალი გაცნო.

გზა იყო ცუდი და გაუყალი... — სად მიგყავარ, ვიცოდე მაინც.

— იქ, სადაც ჩემი ოცნების გოგონები მარტოდ დადიან.

— ოჰ, რატომ მარტო? ვერ ნახეს თავიანთი პრინცი, ქალისგან წრფელ სიყვარულს რომ ითხოვენ მხოლოდ?!

— არა, არც ეძებენ, რადგან ასეთ გოგონებს გულს სტკენენ მარტო მშრალ ვნებას ვერდაძლეული მამაკაცები.


— ჩუ, მოიცა... ვინაა იქ, ნელა ატარე.

გთხოვ. აი, იქ იმ ხეს მიეფარა... შენი მოფარვატე ფანტაზიური ქალია ალბათ... — ისევე გულიანად გადახარხარა.

— გააჩერე, გთხოვ. ვინააა, მოკლე გზით მიდის, წინ დაგხვდებით.

და მართლაც, გოგონა თითქოს იქიდან დაიბადაო, ასკილის ბუჩქებიდან გამოფარვატდა. და, აი, მანქანის წინ ნაჩქარევად ისე გადახტა, რომ არც უგრძნია... უცებ შეხტა და ნამებში დაიხია უკან...

— ფრთხილად, ბიჭო... ვაიმე, რა ფაქიზი ვინმეა... რა სიფრიფანაა, ბავშვია ალბათ, მაგრამ, ამავდროულად, მისი პანანინა წერილი ტანისა და მომცრო სახის მიღმა მასში ქალი ჩანს... პატარა და სუფთა. რა თვალები აქვს და, საერთოდ, რა აცვია, ზღაპრიდან გადმოსხმულ ფერიას ჰგავს. თვალებს მეხედე. დიდი შავი თვალები, ყველაზე სუფთა ნაკადულებით რომ აუვსია



მადონა გვეხიძე

და წყურვილის მოკვლას მიპირებს თითქოს. შეხედე, ბიჭო, აი, ესაა ის განსაკუთრებული სხვა სულის გოგო, დიდი ზურგჩანთითა და სხვა სხივებით. აი, დაინახე — ასეთია ჩემი ნაამბობი ენძელა, დედამინაზე მათსავით სათუთი და სათნო... შეხედე, შე სულელო, რა ლამაზია...

გოგონას კაბა დასველებოდა და ცვრიან ბალახზე ჭიამაიებიანი კაბა ისე დამძიმებოდა, თითქოს სიფრიფანა სხეულზე მძიმე კაბა ჩამოაცვესო...

— შეხედე, ბიჭო, რა დალენჩებულებით იყურები...

— ვიცნობ ამ გოგოს, ვაჟა, შენ რომ სხვანაირი გოგოს ეძახი... ვიცნობდი. და მე ვიყავი ის კაცი, ვინც ვამბობდი, ეგეთი ქალი არ შემხვედრია-მეთქი — ნაკადულებით ციმციმა და სუფთა.

— იცნობ?! აკი თქვი, კარგ გოგოებს არ შევხვედრივარო...

— აღმოჩნდა, შევხვედრივარ, მაგრამ ხორციელების გარდა ვერაფერი მინახია მათში. ამ გოგოს წლების წინ სიგიჟემდე ვუყვარდი, ალარც მახსოვდა, მალევე მივატოვე. რატომღაც ის ვერ მივიღე, რაც ყველასგან, ამიტომაც უინტერესო გახდა, ასე რომ, მისი შინაგანი არც შემიცნია, ზედაპირულად აღვიქვი, თითქოს შევმინდი კიდეც, რაღაც მეტისმეტად სუსტი და ფაქიზი ჩანდა. გამოგიტყდები და, ბავშვადაც კი მივიჩნიე მაშინ. გასაოცარია, სულ არ შეცვლილა და ამაზე მეტად გასაოცარია, ერთხელაც არ გამხსენებია... გართობას აყოლილმა ისე მივატოვე, არც კი მომიკითხავს, თუმცა ვიცოდი, როგორ ვატყობდი გული და ცხადია, კარგად არც იქნებოდა, მაგრამ არ მაინტერესებდა, როგორც ახლა არ მაინტერესებს.

— სიმარტოვე ქალებისა. ასეთი გოგო როგორ მიატოვე, ბიჭო, ან სხვა ფერნასულებს როგორ შეადარე... ფიქრობ, ახსოვხარ კიდეც? ამ გოგოს მერე ის გოგო როგორ მოიყვანე, ბიჭო.

— რაღი, აბა?! ალბათ იმიტომ, რომ ოჯახამდეც არ ვიყავი მასთან არაფერში შეზღუდული... და მერე ხომ იცი... ერთს კი გეტყვი, მაშინ ამ გოგოსგან მშობარა კაცუნასავით გავიქეცი. რა გითხრა... არც მაინტე-

რესებდა თითქოს... ახლა... ოჰ, ახლა იმაზე მეტად დახვეწილი და ქალურია, ვიდრე ოდესმე. დახვეწილი და ისევე სუფთა, ისევე ისეთი შეურყენელი თვალები აქვს თითქოს... ნამდვილი პატარა ქალია, ერთდროულად ბავშვიცაა და ქალიც, სულითაც და სხეულითაც, რაღაც გაუფურჩქნელ შემოდგომის ვარდს ჰგავს, გაშლა რომ სურს და დილის სუსხი არ აძლევს ნებას.

— რა გითხრა, რომ მიატოვე?

— რასაც ნაგავი კაცი იმსახურებდა ის... ალარ ღირს, და საერთოდ, სჯობს, ნავიდეო, უკან გავბრუნდე. ეს, მგონი, ტაძრამდე ავა, არ მინდა პირისპირ შეხვედე... — მოიცა რა, მე მაინც გავიცნო.

— როგორ გგონია, შენთვის გავიმეტებ?!

— შენ მანსიც ალარ გაქვს, ცოლი გყავს უკვე.

— მთაზე დიდი ტაძარი დგას, საზრის-დაკარგული... ის იმ მინაზე დგას, რომელსაც დღეს თუ ხვალ გულს გამოაცლიან, გაუყიდიან. იქ პატარა წიგნია...

— ჰო, ვიცი, თვალისთვის უხილავი სიბრძნეებით... მას მღვდელი კითხულობს, ყოველ დღე კითხულობს... კითხულობს მრევლისთვის... მაგრამ ცარიელია. ერთი შეხედვით, ვარდის ფურცლებით მოფენილი სახე სკივრია, მაგრამ უსუნოა, უსუნოა იმიტომ, რომ მისი ნუგეში მყარი საძირკველია, ისევე, როგორც ტაძრისთვის მინა... ამ შემთხვევაში კი იქ ფუტურო სიტყვებია... სიტყვები, რომლებიც გვერდებს შეიცავენ და ყოველ გვერდზე დაბურული, მგლოვიარე სამშობლოა, რომელზეც აბდაუბდა ოქროს სიტყვებზე გადაფარებულ შავ მანტიანზე ანერია: „მიშველეთ, ლოცვასთან ერთად ჯერ მიშველეთ, ვცარიელდები“.

— ვერაფერი გავიგე, — თავი მომძვრა-ლი ქანქარასავით გაუქეჩი მერცხალს, — კიდევი მიაბზე...

— ჩემს ქვეშ სამშობლოს ყიდიან. მისი სიყვარული ამ განძით სახე წიგნში ყოველ გვერდზეა მიმობნეული... ჩემს ქვეშ, ჩემს წინ, ჩემს უკან ყველაფერი მეფლითება. მე კი ვდგავარ და ველოდები, ველოდები ფრთამოტეხილი ლოცვის დანყებას და ერთ დღესაც ამ ლოცვიანად ნიადგამოცლილი ჩაქვესკენლდები. ჩემს ქვეშ ჩემი ბუდიდან გადმოსული მუმიები სხედან და დაობლებულ მერცხალს მეტად აობლებენ... და მე გული მენვის, რომ ერთ დროს ჩემს ბუდეში გაზრდილი ახლა თავადვე ყიდიან მას..

— მიხვდი... — და გავხედე შორს მთებისკენ.

იქ კიდევი დიდი ტაძრები იდგა, ფერადი მხატვრობებით. იმ მხატვრობებზე ღმერთი ეხატა — მიტოვებული... უმწეო, დაობლებული. მინდოდა, ავსულიყავი ღმერთთან, მაგრამ იქ ჩემი მერცხლის ბუდეში გაზრდილი ჯალათები იდგნენ, დაობლებულ ღმერთთან ცრემლების მოსანმენდადაც არ მიშვებდნენ.

მერე მერცხალმა ნყალი მთხოვა, კიდევი უფრო შორს გავიხედე და იქ ოქროსფერი ხეობა დავინახე მარგალიტების მსგავსი წყლით, მაგრამ იქაც მრავალმხრივ ჯალათები დამხვდნენ, ესენიც მერცხლის ბუდეში დაზრდილიყვნენ...

და ახლა ამ კუზინ მერცხალს ვუსაყველურე, რამდენი გაგომრდია-მეთქი.

მიპასუხა, მაგრამ ლოდინამდე მეც და მერცხალსაც სუნთქვა გვინდოდა, ნუგეში ხვალისდელი დღისა და ამ ნუგეშისთვის ნახევრად ძირგამოცლილ ტაძარში შევედი. იქ ის წიგნი ისე ვადაშლილი იყო.

მიშველე, მიშველე-მეთქი, დავიღრიალე, მერცხალი კვდება-მეთქი. ნადითო, მითხრა. მეც იმ მტკივნეულ ადგილებზე წამიყვანეთ და იქ გადამშალეთ ფართოდ... ნადითო, ყველანი ნადითო... აქ ეს საძირკველიც იფლითება და აქ რას უდგახართო, მითხრა...

ზღმარტლი

ერთადერთი ბავშვობის ფოტოში ვარ მსუქანი და იქაც გაუხეხნავი ჯორივით ცემისგან.

სკოლა პატარა იყო და ბნელი, მრავალმხრივ ბნელი, მაგრამ ამ მრავალმხრივის მნიშვნელობას მაშინ მიხვდი, როცა გავიზარდე, მანამდე კი უბრალოდ ეშმაკების სახლი მეგონა, სადაც, რომ გაიზრდებოდი, გტოვებდნენ ტომის ბელადად, სხვების სამწყვდენად.

ფრიალ დიდი წარმოდგენა მქონია ხომ სკოლაზე?!

დაიხ, რატომაც არა, ის ხომ ის ადგილი იყო, სადაც გაუხეხნავ ჯორებს ისევე გაუხეხნავად გვტოვებდნენ, ან უარეს ვირებად თავად გვატყვევდნენ და თუ ჩვენში ღვთის ხელი არ გაერეოდა, ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენგან კაცი ან ქალი გამოსულიყო.

— დასხედით! — დაიღრიალა მასწავლებელმა, და ყველანი დასხდნენ, — დაჯექი, ბიჭო, რა დალენჩებულებით იყურები!..

ბიჭი არ ინძრეოდა.

— არ მიკარებენ, — დაიმორცხვა ბიჭმა ხმაშიც.

— აი, იქ იჯექი! — იყო პასუხი და მასწავლებელმა ძალით დააგდო კუთხეში დამპალ მერხზე გაუხეხნავ ჯორთან გახედნის სურვილის მქონე ბიჭი.

დაიობლებული მერცხალი

— მინჯის. ისე მენვის, რომ წვას შიში ფარავს და ვეღარ ვგრძნობ.

— გადავქნდები...

— რით გიშველო?

— მე შენ ვეღარ მიშველი, ერთმანეთი თავად უნდა გამოვალეძოთ...

მაგრამ ეს ისეთივე შეუძლებელია, როგორც ჩემთვის ახლა ჰაერში ფრენა...

— გამახსენდა, რით გიშველო. მთაზე დიდი ტაძარი დგას, იქ პატარა, მაგრამ სიბრძნეებით დაუტყვეველი წიგნია. თურმე იმ წიგნს გულზე რომ დაიდებ, გამოთლდები...

— შენ არ იცი, რომ ის წიგნიც სუნთქავს და ჩემზე ცუდადაა ახლა, მრავალმხრივ დაობლებული, ვიდრე — მე. ის წიგნი ახლა ისეთივე დაგლეჯილია, როგორც ქრისტეს პერანგი და ისეთივე უმწეო, როგორც ჩემი ფრთები...

— რა გიშველო, მერცხალო?! გეუბნები, წიგნს მოგიტან-მეთქი, მაგრამ ის ისეთივე უმწეოა, როგორც მეო და, აბა, მე რა შემძლია შენ ფრთებზე უმწეოს...



დამძრახავთ ახლა... სად აღზრდა და სად გახედნაო, მაგრამ ქვემოთ თქმული ყბას ისე დააღებთ, მის დასახურად პროფესორიც კი დაგჭირდებათ.

მრავალმხრივ საზარელი სკოლა-მეთქი და იმისვე შესაფერისად ყარდა კლასი. კლასიც, სკოლაც და ჩვენც — გაუხედნავი მოსწავლეები — დამაყვებელი, ამყარებული მასწავლებლების ხელში.

რის ვაი-ვაგლახით მიიწურა კედლებიანი-იატაკიანად დამპალი კლასის ძალღერი გაკვეთილი და უდამპლესი პედაგოგიც გადამაღდა კლასიდან.

— ხომ გითხარი, მე ვირო, კლასში არ შემოხვიდე-მეთქი, — დასცხო კლასის ხუთ კიკინიანმა გოგომ ბიჭს, ჩვენში რომ აქლემისებრი სიმაღლით იწონებდა თავს და იმ დიდ ცხვირს ისე დაატანტარებდა, თვალი რომ არ ჰქონოდა, სუნზე იგრძნობდა კლასისთვის არასასურველ სტუმარს ოთახში.

— რას მერჩით, მე ხომ თქვენთან არ დავმჯდარვარ?!

აქ მე წამოვენთე უდღეური, აყროლებული პომიდორივით:

— და ჩემთან რატომ დაჯექი? — მასწავლებელმა მიმითითა, — აღმოხდა ბიჭს და გაოცებულმა მზერა შემაყინა. არ მოელოდა, მეც თუ ასე მოვიქცეოდი, მაგრამ განა რით განვსხვავდებოდი იმ კლასელებისგან? არაფრით! ამიტომაც დასვა ჩემთან.

ხმა ამიკანკალდა შე ბიჭს მივუთითე, ჩემთან აღარ დამჯდარიყო.

ასე აყროლებულ გარემოში ვყროლდებოდით უმნიშვნელო სულის მქონე ბავშვები „უმნიშვნელო“ მასწავლებლებისგან.

გაკვეთილი დამთავრდებოდა და ეზოში გავეფინებოდით ნეხვის გასაპრობად. ვისაც ფული ჰქონდა, ისინი იქვე მდგარ ჯიხურებში მიდიოდნენ, ვისაც არ გვექონდა — ვეყარეთ ასე.

და ერთ დღესაც, სანამ გაკვეთილი დაიწყებოდა, ვეგდე მერხზე მშვიდ-მწყურვალ, წყალიც არ გვექონდა და ისედაც მეგონა, წყალიც ყარდა.

კლასის დიდცხვირა და მეორე, მუდამ სხვის ქილიკში მყოფი, პირველად დაპურებულიყვენ და რალაცაზე გულიანად ხარხარებდნენ.

მე რალაც მანუხებდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდა, რა, ალბათ უფრო მშვიდი კუჭი და მასწავლებლებისგან ნაცემი სხეული. და უცებ ხმაზე მეც გამოვერკვიე... შეხედე იმ ღეროებს, და შევნიშნე ჩემ გვერდზე დამპალი მერხი ცარიელი იყო. ყველამ ერთი მიმართულებით გაიხივდეთ.

ღეროანი, რის გამოც ის ყველამ ავითვალწუნეთ, სკოლის განაპირას ზღმარტლზე ასულნიყვნ.

— როგორ გაბედე! — დაულრიალა დიდცხვირამ და ბიჭს ეცა, თითქმის ნააქცია და რაც ზღმარტლი ჰქონდა, სულ წყალში ჩაუბნია.

— არ დაუბნო, გთხოვ, — ნავილულულედე ბიჭისკენ გავემურე. ის თავდახრილი იდგა და ცრემლებს იკავებდა. ფუ, რას ვგავდით ან იმ დღეს, ან საერთოდ, იმ წლებების განმავლობაში.

— გშია? — აღმომხდა მეც დამშეულს.

— არა, ბებოსთან მიმქონდა ზღმარტლი, — და ბიჭუნამ მეორე, უფრო ფართო, ჯიბიდან კვერცხიანი პური ამოიღო, გამინანილა და ორივემ ხარბად ჩავბღუჯეთ ხელი.

— მე ღერი არ მაქვს, მასწავლებელმა ტყუილი თქვა ჩემზე, ტყუილად გეზიზღებთ, უბრალოდ, ბებოს მალად ნენვა აქვს და ხშირად ვერ მბანს. იცი, ჭიდავი წყალს რომ იღებდა, ლამის შიგ ჩაქანდა, მას მერე ველარ მბანს თქვენი დედიკოებივით ხშირად. ჩემი დედიკო მალე მოვა და წამიყვანს აქედან, მე ველოდები, სულ ველოდები... ცრემლები მომერია, თუმცა სად მქონდა გაუხედნავ ჯორს ცრემლი... ცრემლი სიბრაულელის...

იმ დღიდან ბიჭთან ერთად მეც ორმაგად ამითვალწუნეს... მაგრამ ვიტანდით. ბოლოს და ბოლოს ნეხვი მდებარეც კვდება და არც ეს იქნება სამუდამო...

ასე ოთხ კედელს შუა ვყალიბდებოდით და ვერც ვყალიბდებოდით უსახური ჯორები უსახური აღმზრდელის ხელში და რომ იტყვიან, თუ ღმერთი არ ჩაერია, ჯოგს გადაშენებაც კი დაემუქრებო, ჩვენზე იყო. მე და ის ბიჭი კი მაგრად დავმეგობრდით და არა მარტო ჩვენ, ნეხვებმა, სხვებს რომ გადაგვაბარეს, ახალ მინდვრებს აღ-

საზრდელად და ღმერთმაც წყალობა მოილო ჩვენზე. მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ ვერა, ბიჭი ყველას შეგვიყვარდა, მაგრამ ეს მაშინ, როცა მისი ნატვრა ახდა და იგი დედამ ძალიან შორს, დიდ ქალაქში წაიყვანა. მახსოვს, როგორ თვალცრემლიანებმა გავაცილეთ თვეების დამეგობრებული ბიჭი.

მას მერე დრო გავიდა და მასწავლებლის სახელმწიფო „ღეროანი ბიჭი“ ყველას მიგვივიწყდა. და ალბათ მძიმე ცოდვების ჟამსაც არ გავიხსენებდით მას.

მხოლოდ ერთხელ გამახსენდა და მოვიძიე. დამტვრეული ქართულით მესაუბრებოდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კლასიდან ვერცერთი გავიხსენა, და მიუხედავად მისდამი კეთილგანწყობისა, გამიხარდა, კიდევ კარგი, არ ვახსოვართ-მეთქი, არადა, რა დასამახსოვრებლები ჩვენ ვიყავით?!

საუბარი რახზე შუალამისას

— რატომ ხარ მარტო?

— რავი, მარტოობის ფერებს ვსწავლობ, თანაც ხომ იცი, ღმერთთან მარტოობას ვერც გრძნობ.

— შენი მითხარი, რატომ მიგატოვებ?

— მე ორმაგად მარტო აღმოვჩნდი, ღმერთსაც რომ ტოვებ და ქმართან ისე რჩები, როგორც ზეცაში გადმოკიდებული ძვრა, დღეს თუ ხვალ უინტერესოდ რომ დაასრულებს თავის ყოფას.

— სად ვცხოვრობ?

— ჰა, ჰა, ჰა, არ იცი, სად ვცხოვრობ?

— მე კი, მაგრამ მთლიანობაში სად ვცხოვრობ ჩვენ? აბსურდში, ფორმალობაში, სანაგვეში, სამყაროში, სადაც ერთგულად ვიყავი და პატიოსნებას ხავსი დაელო, სადაც ვერ გწვდებიან და მხოლოდ შენი სხეულით სურთ ტკობა, სადაც შეხვდებით ორმოცი-ოთხმოცი წლის ჯერ კიდევ შეუმდგარ მამაკაცებს, მთელი ცხოვრება რომ ფლირტში გალიეს და საშოვარს დახარბებულები ღორბივით კიდევ ვერ გაძლენ.

სამყაროში, სადაც ასეთებიც კი პატიოსნებს ეტმასნებიან და მათგანაც იმავს ითხოვენ, რასაც თუნდაც მეძავებისგან. სამყაროში, სადაც ქრისტიანობა დაავადების ერთ-ერთ სახედ იქცა და სიტყვები „მადლობა ღმერთს“, „უფლის წყალობით“ გოგოს მოსახიბლი ერთ-ერთი ოქროს სიტყვათაგანია... სამყაროში, სადაც ქალწულებს გათხოვება არ სურთ, ვინაიდან, თუ სექსი არ გასინჯეს, მამ ოჯახი რა ოჯახია, როგორ შეინარჩუნებს იმ მდგრადობას, ამით მყარი საფუძვლის გარეშე. სამყაროში, სადაც ვერ გწვდებიან და ჩრდილში მალულად ყოფნას არჩევენ, სადაც თავს გაცოდებენ, რომ რალაცებს ვერ გაუძღეს და ამიტომ. სადაც სიყვარული აბსტრაქციაა... სინამდვილე — ბოდევა, სიფაქიზე — სისუსტე და გულწრფელობა — დანაშაული. სადაც გოგონებს ლანძღვენ გაუთხოვრობის გამო და ბიჭებს ადიდებენ, ერთი ნესიერი გოგო ვერ ნახაო. სამყაროში, სადაც ქალი ბოლო პლანზეა. აქ ხომ მშობარა კაცია მთავარი. ის კაცი, ის ეკლესიური, მუსლმანური კაცი, ოჯახზე წინ სექსს რომ აყენებს და ცოლის შემდეგ საყვარლისკენ გაურბის თვალი. სადაც რელიგიური რიტუალები ფორმალობაა და მხოლოდ იმისთვის უნდა ათ, რომ ცარიელ ავხორცობაში ნებადართულნი იყვნენ. სხვაგვარად სიცარიელეა, მხოლოდ მათი სხეულები ცნობენ ერთმანეთს. გულები, გულები კი, ეჰ, სადაა გულები, რომელთაც ღმერთი ხედავს გულწრფელსა და სუფთას. სამყაროში, სადაც ქალს ჩაქოლავენ, თუკი სიყვარულისთვის იბრძოლებს და გულწრფელი გრძნობით ღვთის წესებს დაარღვევს. როგორ შეიძლება, პრინციპებს გასცდე, თურმე ფორმალურად დამინდველი მეტად სუფთაა, ვიდრე ის, ვინც თუნდაც ერთხელ სიყვარულის გამო ცდუნდება...

გულწრფელობა ყველაზე მეტი სინამდვილე და სიდადე სულისა — ასე მგონია — და უიშვიათესზე იშვიათია, რომ იპოვო იგი. — მომეწონა, და შენ რატომ ხარ მარტო?

— მე მიყვარდა, მიყვარდა და მორჩა... და ესაა ბედნიერება, მე რომ მიყვარდა. მას რომ არ მიყვარდა, ეს არაა მთავარი, ახლა — მითუმეტეს. თან ხდება ხოლმე, იცი, სულთან ვერ უშვებ ყველას, და თუ მოხდა და მივუშვი, იდიოტიც რომ იყოს, შემიყვარდება, ან ისე ძლიერ მომეწონება, თავ-ბედს

ვინყველი... მაქვს ახლა მე ამის დრო? — და ისე გადაიკისკისა, გეგონებოდათ, ჯანდაბაში გაუშვია ყველა, — და კაცი, რომელიც ქალის სიყვარულს ვერ დააფასებს, და სიყვარულს სხვაგვარად აჭუჭყიანებს, სწორედ რომ ჯანდაბაში გასაშვებია, მაგრამ რომ გიყვარს, გინდა რომ შენც ამ ჯანდაბაში გაჰყვე თან, ოღონდ მასთან იყო.

დიდი ხანია, მარტოდ ვზიდავ ჩემს სიმძიმეს და ვერავინ შემიმსუბუქებს მას, სათრევად კი ქალმა კაცი აიკიო, კატასტროფაა, თან უსიყვარულო ურთიერთობა ყველაფრის ემხს შლის... ანდა შეიძლება, კაცი შენთან მხოლოდ ნელს ქვემოთ აზროვნებდეს და სხვა არაფერი მოდობდეს მისგან — მაგალითად, რა გიყვარს, რა გახარებს, ან სულ მცირე — ერთხელ მაინც დაგპატივოს წვიმაში მარტოდ... — ეჰ, ჩემი გამოუსწორებელი რომანტიკოსი, ერთხელაც ისე ძლიერ შეგიყვარებენ, ყოველ წვიმას შეხვდებით გარეთ... — არა, აღარასდროს! თითქოს დავიღალე ყალბი ადამიანებით. შენი გული შენ უნდა გეკუთვნოდეს და მორჩა. მარტოდ-მყოფსაც და სხვასთანაც.

— ეგ მართალია, მაგრამ ოჯახი მაინც დიდი რამეა, შვილი თუნდაც.

— კაცო, რას ჩაიხვიეთ ეს შვილი, ანგარების მსგავსია თითქოს, იგივე ფორმალობა, ჯვარს იწერ იმიტომ, რომ შვილი გინდა და ხვდება ერთმანეთს ორი სრულიად გაუთვითცნობიერებელი გომბიო ერთადერთი მიზეზით — შვილი უნდათ. ვაი, ჩვენი უბედურო ყოფავ, ბავშვი — მონა, ცოლი — მონა, ქმარი — ჯალათი, ანდა მონაპოვარი, ან პირიქით, თუ შეუმდგარია... — ძალიან გათანამედროვებულხარ შენ.

— არა, ღმერთს ვუსმენ უბრალოდ ხშირად, რომელიც ჩემს შებილულ სულს უფრო ამჩნევს, ვიდრე იმას, რასაც ზედაპირულად ვაკეთებთ თითქოს და კანონების დაცვით.

— ისე, ჩვენ თავიდანვე განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან, ყოველთვის შორს მყოფი, ბავშვებისგან და ოჯახისგან.

— ჰოო, ჩვენ კი მათგან განვსხვავდებით, გემოვნებადაქვეითებულ, რამ მოგანონა ის ხართვალა... — რავი, აბა, თავს რომ გაუცვლი, მერე მარტივია... — ჰა, ჰა, ჰა, დამალა შენმა მშრალმა პაემნებმა, შეეშვი, შენს თავს მიხედე და ყავის მოდუღება ისწავლე, არ მიყვარს მე თავი. არა, უფრო სწორად, მე მოვადუღებ ხოლმე, როცა მოვალ.

— ჰოო, ნავსაყუდელი რომ მექნება, — და გადაიკისკისა.

— მოვრჩეთ, თორემ ძვალ-რბილში გამიჯდა ეს არაყი და შეცდომებსაც ავიკიდებ მემთვრალეობის ჟამს.

ადგნენ და ბარბაცით გასწიეს ოთახებ-ისკენ. მუსიკა ისევ უკრავდა, მელოდია იყო ძველი და მათ მეგობრობას შეჩვეული... — ფაუსტი მომიხდებოდა ახლა უდღეურობის ასამაღლებლად.

— ჰო არა?! მძინარეს თუ ნავიკითხავს კაცი, კი... — და ისე დაიძინა, დილით გაღვიძებულ-მაც ერთი კვირა მთვრალმა იარა.

— არა, ღმერთს ვუსმენ უბრალოდ ხშირად, რომელიც ჩემს შებილულ სულს უფრო ამჩნევს, ვიდრე იმას, რასაც ზედაპირულად ვაკეთებთ თითქოს და კანონების დაცვით.

— ისე, ჩვენ თავიდანვე განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან, ყოველთვის შორს მყოფი, ბავშვებისგან და ოჯახისგან.

— ჰოო, ჩვენ კი მათგან განვსხვავდებით, გემოვნებადაქვეითებულ, რამ მოგანონა ის ხართვალა... — რავი, აბა, თავს რომ გაუცვლი, მერე მარტივია... — ჰა, ჰა, ჰა, დამალა შენმა მშრალმა პაემნებმა, შეეშვი, შენს თავს მიხედე და ყავის მოდუღება ისწავლე, არ მიყვარს მე თავი. არა, უფრო სწორად, მე მოვადუღებ ხოლმე, როცა მოვალ.

— ჰოო, ნავსაყუდელი რომ მექნება, — და გადაიკისკისა.

— მოვრჩეთ, თორემ ძვალ-რბილში გამიჯდა ეს არაყი და შეცდომებსაც ავიკიდებ მემთვრალეობის ჟამს.

ადგნენ და ბარბაცით გასწიეს ოთახებ-ისკენ. მუსიკა ისევ უკრავდა, მელოდია იყო ძველი და მათ მეგობრობას შეჩვეული... — ფაუსტი მომიხდებოდა ახლა უდღეურობის ასამაღლებლად.

— ჰო არა?! მძინარეს თუ ნავიკითხავს კაცი, კი... — და ისე დაიძინა, დილით გაღვიძებულ-მაც ერთი კვირა მთვრალმა იარა.

ხე, რომელიც ერთხელ აყვავდა

ჩემს ფესვებში მოქცეული გული ნამცეცაა, მაგრამ ღრმაა, შემოიღია, შიგ შენც დაგატოვ და მთელი სამყაროც... მაგრამ შენ უფრო...

— მითხარი, ხომ აღარ მიმატოვებ, ხომ აღარ მოგებრდება ჩემი ყოფა, ჩემი მარადიული შემოდგომა.

— მე, მე მეუცხვოვ, იცით, როცა გნახეთ, შემოდგომა იყო, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი რომ სხვა იყავით, თითქოს ყველასნაირი, მაგრამ უცხო, სხვა ფერი, ისედაც ამ სევდიანი შემოდგომისა, მაგრამ ვერ მივხვდი, ვერ ჩავნვდი და მალევე გადავივიწყე... ახლა კი, როცა ისევ გნახეთ, შევიცხადე, დღეს გაზაფხულია, გვერდით ვამოგვიყვავეთ, ყოველი კვირის ისე მოუკაზმავს ფერი-უმარადილით, თითქოს ლხინი აქვს და გოგონებს გასათხოვრად ამზადებსო. თქვენ კი დგახართ ისევ საუცხოოდ შემოდგომის გაუხდელი სამოსით. ნუთუ გამიშვლებს გემინიათ, ან გრცხვენიათ, მაგრამ რატომ? თქვენ ხომ ასეთი ლამაზი ხართ.

— მე მარადიული შემოდგომა ვარ, —

მომიგო წიფელმა, — შემოდგომაზე დავიზადე, შემოდგომით ვიგრძენი ყოველივე პირველი ქვეყნად — სევდაც, ტკივილიც, სიხარულიც და განშორებაც, უფრო — სიყვარული.

ერთხელ ჩემთან თხუნელა მოვიდა, შემომიჩნდა და ჩემს სოროში დაიღო ბინა. სორო რომ არ იკმარა, გულზე შემოხობდა, გული სავეს დახვდა, შეუცნობელი, ვერ გაუგო და ტანზე ამოხობდა. ვიცოდი, გულს ვინც ვერ სწვდებოდა, ახლოს არ უნდა გამეკარებინა, მაგრამ ჩვენი, ხეების, სული ხომ უმწეოა. ვდგავართ უმწეოდ და გვაფურთხებენ. მერე, როცა მუდოს მოგებურდი, წავიდა და სულზე ის გამხმარი ყვავილები დამიტოვა, ჩემი მარადიული წყევლა, ჩემი დილის თრთვილივით ხანმოკლე პაემანი.

— მან რატომ მიგატოვებ? წინ ერთფეროვანი, მაგრამ სპეტაკი ზამთარი გელოდებოდა, ჰოდა, ჩაგეცვათ თეთრი კაბა და გეფრინათ მტრედებთან, მეფეებთან, დედოფლებთან, დანინდულიყავით არა ცარიელ, არამედ სავეს თხუნელაზე. რატომ არ შეიმოსეთ ზამთრის ფიფქით?!

— აზრი? ის არ მელიოდა, მე კი სხვასთან სიყვარული არ მიშვებდა. წყევლა იყო, სიყვარულიც, მონატრებაც, მონატრება უფრო ორმაგიც კი, დგახარ და იმზირები, მოვა-არ მოვა, და თავს ამით ირთობ... ახლა თუ ყვავი ჩამომიჯდება ფრთებზე — მოვა, თუ ჩიტი — არ მოვა, და ასე მონაცვლეობით.

— ნუთუ თქვენი გრძნობები ძლიერია ბუნებაზე, როგორ არ შეუძლია, დაუტყვენელ გაზაფხულს გაგტყვით, ან თუნდაც ზამთარს? რომ არ გიყინავთ ამ ცოდვიან ფოთლებს, რომ ისევ იყავილოთ, ან თუნდაც ზაფხულს, გვალვისგან რომ კვდება ყოველივე, როგორ არ კლავს, წავს ამ ფოთლებს?!

— სიყვარული, მონატრება, ეს იმდენად ძლიერია, რომ შენი დროები ვერაფერს ხდება. მოდის გაზაფხული, ფეთქავს, ბორგავს, იკვირდება და ვერც იკვირდება, ბოლოს იღლებს და მიდის. მოდის ზამთარი, შემომხვევს ვნებაშლილი აფთარივით მკლავებს, უნდა დამეუფლოს, მაგრამ — ამოდ. ჩემი სიყვარული მის გახუნებულ ვნებაზე ზემდგომია. მოდის ზაფხული, მასანყლებს თავს, მცხელაო და ამ დახრუკულ ფოთლებში შემოიფარეთ. თითქოს მეცოდება, ვიფარებ, მაგრამ მტერი ჩემი. მთელი დამე სხივებს მისვამს, გულამდე რომ დამხრუკოს, დილით მეღვიძება და ვაგდება... უსუსურია, მას ვერევი მარტო. და შემოდგომა... შემოდგომა ჩემია, ჩემი და მისი.

— ღმერთო, მე დავგრძელებთ ახლა, რას უცდით, რას ელით, იყვავილეთ, დაიშალებთ და ისევ იყვავილეთ.

— ჯანდაბა, განა არ მინდა — უბრალოდ, იმ დღეს მოვეკვი სხეულით, მარტო ვარ. ტანზე ხავსი მედებდა და ამით ვგრძნობ, სხეულით ვარ მარტო. ის იყო ჩემი მარადიული შემოდგომა და მის მერე დღე გაიყინა ჩემთვის. განა ასე რთულია, მიხვდეთ ერთგულებას...

— ერთგულებას? ჰა ჰა ჰა, განა რაში სჭირდება მუდოს თქვენი ერთგულება, თქვენს მერე ალბათ ასი ჰყავდა... — რამდენი უყვარდა მერე, ან რამდენს უყვარდა თავად...

— ეგ მე არ ვიცი... მისთვის არც მიერთგულია... აბა, გაიხედე, ყველა ხე ერთმანეთშია და ამათგან ასიდან ხუთს თუ უყვარს ალბათ გულწრფელად. მე მიყვარდა და ცალად ვარ, ამას ვუფრთხილდები, იცი, რა უიშვიათესია სამყაროში ახლა ეს ალბათ თქვენთან უფრო იშვიათზე იშვიათია.

— ვიცი, — აღმომხდა გონდაკარგულს. რალა მეთქვა ამ ტრაგიზმით სავსე ხისთვის, რომლის სული, გრძნობა გაცილებით დიდი იყო ადამიანებზე. და სიყვარული, ჩემი, მისით გატანჯული ხე.

და ადამიანები, ჩემი გასაცოდავებული ადამიანები.

და სამყარო ჩემი, ტყუილით, ვნებაშლილობით, სიბნძურით, სხვისი ცხოვრებით გაუბედურებული სავეს სამყარო, მძიმე, როგორც ამ ხის მომაკვდავი ხელი და მაინც მებრძოლი, როგორც მისი გრძნობა წელიწადის დროებთან.

და ბოლოს... მუდო უდღეური, უქამრო, ყველაზე უშნო, უსულო ხე. ყვავი რომ დასასკინტლად ეტანება მხოლოდ. და ცხოვრება — ერთი დიდი გაუგებრობა, და მე, მე შეცდომით აღმოცენებული ამ სამყაროში, აქ, ქვემოთ.



ზოგჯერ თავად აკეთებ არჩევანს, ზოგჯერ კი არჩევანი ჩერდება შენზე. გვიღო ფორმანი — „თუ დავრჩები“.

ცხმპრეპა მდინარეს ჰგავს, მიდის მიუყვება კალაპოტს. არ გეკითხება, არ გელოდება. არ გიტოვებს არჩევანს. უნდა გაჰყვებ... უნდა მიინებდე და მიჰყვებ. ვერ იცურებ ალმა, ვერ შეენიხნაღმდეგები ცხოვრების მდინარეებს. ვერ აჯობებ, გადაგივლის, გადაგთელავს. ნაგებებს და გადაგკარგავს. ამიტომ ჰგავს ცხოვრება მდინარეს — ხან მშვიდია, ხან — მჩქეფარე, ხან კალაპოტში მიედინება, ხან კი არღვევს საზღვრებს, ანგრევს ჯებირებს და გადმოედინება. უნესრიგოდ და ყოვლის ნამლეკავად მიედინება. მერე გზადაგზა მშვიდდება, შენაკადებად ნაწევრდება, მიედინება წერილ-წერილ ნაკადულებად. ბოლოს კი, სადღაც ქვემოთ, გზის დასასრულში, ისევ ერთ მდინარედ ერთიანდება.

ცხოვრება მოგონებების ერთობლიობაა.

კარგი და ცუდი მოგონებების სიმრავლე განსაზღვრავს ჩვენს ბედს და უბედობას. კარგ მოგონებებს ადამიანები გულში ვინახავთ, ცუდს კი მხრებზე ტვირთივით მივათრევთ მთელი ცხოვრება. თავს გადახდენილი ამბები იმ მდინარეებივითაა, კალაპოტებიდან რომ გადმოდის, ყველაფერს ანადგურებს და დანაწევრებულს, შენაკადებად მიმავალს, სიცოცხლის ბოლოს ისევ ერთ მთლიანობად გვაერთიანებს.

დრო ყველაფრის მკურნალია. დრო ვერაგია — დაუნდობელი და უკანმოუხედავი. ტკივილს ვეჩვევით, მაგრამ იარები არ შუშდება. იმ მიმე ნუთებს დანაწევრებული მდინარის შენაკადების ნაპირებზე ვინახავთ. აღარ გვტკივა, მაგრამ მაინც მძიმე ტვირთად გვანებს. არ შუშდება იარები... არ იშლება მოგონებები... მდინარეა ჩვენი ცხოვრება, არჩევანს არ გვიტოვებს...

\*\*\*

მე და დათო ხუთი თვის დაქორწინებულები ვიყავით. დათის ვეძახდი. ძალიან მიყვარდა. ახლაც მიყვარს. სადაც უნდა იყოს, მაინც მეყვარება...

ახალი ნაყიდი მანქანა გყავდა. მართვას მასწავლიდა...

ვაკეში ვცხოვრობდით — აბაშიძეზე... უნდოდა მანქანის მართვა მცოდნოდა.

მხოლოდ მისი ხათრით ვიჯექი საქესთან. მეგონა, მძღოლობა არ იყო ჩემი საქმე, მაგრამ ხათრს ვერ ვუტეხდი. ხშირად გამოვყავდი ღამ-ღამობით ქალაქში, მასწავლიდა გზებს, ქუჩების დასახელებებს... დიდი მოთმინებითა და მოწოდებით ეკიდებოდა ამ საქმეს. მე უფრო სხვა რამ მეგონა — ჩემთან ახლოს ყოფნა უნდოდა. სამსახურიდან მოსული ივანშემბდა და სასეირნოდ გავყავდი. თან ძალიან ბევრს ვსაუბრობდით. მუსიკასაც კი არ ვრთავდით. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით... არა, ოთხნი ვიყავით — ჩვენ ორი და თბილისი და ღამე...

ვერაგი ღამე...

ერთ ჩვეულებრივ საღამოს, საათნახევრიანი სეირნობის შემდეგ, სახლში ვარაზისხვევით ვაპირებდი დაბრუნებას. ხელით მანიშნა, ვერის ახალ გზაზე ჩადიო.

— შორი გზა მოვიაროთ და შინ მშვიდობით მივიდეთ, — ბოლო წამს შევცვალე განწყობილება და მის არჩეულ გზაზე გადავუხვიე.

შუალამე იყო და მანქანები თითქმის არ მოძრაობდნენ. სიჩქარეს მოვუმატე. სწრაფად მივდიოდი, მაგრამ არ ვადამიჭარბებია დანჯესებული ზღერისთვის. მერე ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, გააზრება გამიჭირდა. წინ წყალი იყო, საბურავები მსუილით შევარდა ნიაღვარში.

— რა ხდება, დათი?  
— არ ვიცი, დიდი წყალი ყოფილა. დაამუხრუჭე, — იყვირა. დავამუხრუჭე, მაგრამ დავაგვიანე. მანქანა ღრმა წყალში იყო შესული და მართვას აღარ ემორჩილებოდა.

— საქე არ გაგექცეს, იქნებ მოვზრუნდეთ, — თავადაც მოკიდა საქეს ხელი. მომეშველა. მაგრამ ვერ შევძელი მანქანის გამოყვანა. ვერ მოვასწარი... ვერაფერი მოვასწარი. წყალი იმატებდა.

— ფანჯრებს ავუნოთ, — იყვირა დათომ, მაგრამ ესეც ვერ მოასწრო.

ჩემს მხარეს შუშა სანახევროდ აინია, წყალი კი ზემოთ იწვედა. თან უკან მიგვაქანებდა. მანქანა გზის ჯებირებს აქეთ-იქით ებთებებოდა.

— რა ხდება, დათი?  
— მაშველი გამოვიძახოთ, სანამ სულ გავივსეთ წყლით.  
— 112-ში დარეკე.  
— სახურავზე უნდა ახვიდე.  
— ვერა, დათი, ვერ შევიძაგრებ თავს.  
— დამიჯერე, უნდა ახვიდე! ძალიან გთხოვ! ადი და სახურავს მოეჭიდები, კარის ჭრილს მაგრად მოკიდე ხელი და რაც უნდა მოხდეს, არ გაუშვა.

— შენ?  
— შენ რომ ახვალ, მეც ამოვალ. მეშინოდა. ძალიან მეშინოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, უნდა ავსულიყავი. წყალი უფრო და უფრო იმატებდა, მოგლეჯილ ხეებსა და დამტვრულ ტოტებს მოათრევდა. მანქანა გზის საფარს სრულად იყო მოშორებული და ნიაღვარი მიათრევდა.

— მეშინია, დათი.



— ნუ გეშინია, ჩემო გოგო, შეძლებ! თმებში ჩამაფრინდა. მაკოცა. მაგრად ჩამიხუტა და მითხრა:

— შენ უნდა შეძლო, — ხელით მიბიძგა. მომეშველა. ფანჯრიდან სახურავზე ავძვეერი, — ხელი არ გაუშვა, — წყლის სმაურის ფონზე მისი ღრიალიც კი ძლივს გასაგონი იყო.

ერთი ხელით მანქანის სახურავის შიდა სახელურს მოვეჭიდე, მეორე ხელი კარის ჭრილს ნამოვდე. მანქანა წრეზე ტრიალუბდა და მოგლეჯილ ხეებს ეხეთქებოდა. თანდათან წყლით ივსებოდა. დათი ამოსვლა შეძლო, მაგრამ სანამ სახურავზე ამოძრომას მოახერხებდა, მანქანა ფერდობს შეაკადა და ძლიერად შეირყა. „ხელი არ გაუშვა“ — გამუდმებით ეს მესმოდა ყურში... უფრო გულში მესმოდა, ვიდრე — ყურში... მისი ბოლო სიტყვებიც ხომ ეს იყო — „ხელი არ გაუშვა“... არ გაუშვა... არ გაუშვა! არ გამიშვია. ვეჭიდებოდი მთელი ძალით, მაგრამ... თვალი რომ გავახილე, ჩემ გვერდით აღარ იყო... ნიაღვარმა გაიტაცა... ღამის ხელიდან გამომგლიჯა და გაიტაცა...

— დათიიი... — დავუძახე. ძებნა დავინწყე, — დათიიი... არსად იყო... ვერსად მოვკარი თვალი... ჩემთან აღარ იყო... კალაპოტიდან გადმოვარდნილმა მდინარემ მომტაცა... ვეძებდი... ვეძახდი... ვიცოდი, არ მიმატოვებდა... მანქანა შლამში გაიჭედა და ცურვა შეწყვიტა. მე ისევ დათის ვეძახდი. ვყვიროდი... — დათიიი... მერე — არ ვიცი, რამდენ ხანში, ნამები საუკუნეებად მეჩვენებოდა — ორი მაშველი მოვიდა მანქანასთან.

— მე კარგად ვარ. ჩემს დათის უშველეთ. წყალმა წაიღო, — ვუყვიროდი მაშველებს. ისინი ჩემკენ მოიხვედნენ.

— ხელი მომეცით, ქალბატონო, გამოვიყვანო.  
— მე კარგად ვარ, დათის უშველეთ...  
— კიდევ არის ვინმე?  
— წყალმა წაიღო...  
— სადაა? ხედავთ სადმე?  
— ვერა, ვერ ვხედავ.  
— ხელი მომეცით, ქალბატონო!  
— ჩემს დათის უშველეთ, ძალიან გთხოვთ.  
— ჯერ თქვენ გამოვიყვანო. მომეჭიდეთ.  
— უშველეთ რა, გთხოვთ... გადამირჩინეთ ჩემი დათი...

არ მინდოდა მე გადარჩენა. უიმისოდ სიცოცხლე არ მინდოდა. რატომ მეც არ წამიღო წყალმა?!

„ხელი არ გაუშვა“... თითქოს იცოდა, რომ მარტოს მომიხვედა ბრძოლის გაგრძელება...



„რაც უნდა მოხდეს, ხელი არ გაუშვა“... „ხელი არ გაუშვა“...

\*\*\*

რატომ, დათი, რატომ?! მე ხომ უშენოდ სიცოცხლე არ მინდოდა. არც გადარჩენა მინდოდა უშენოდ. მე არაფერი მინდოდა უშენოდ...

— იპოვეთ რა ჩემი დათი... უშველეთ, გთხოვთ... გადამირჩინეთ...  
— დაინახეთ საით წაიღო დინება?  
— არ დამინახავს, არაფერი დამინახავს... როგორ მომტაცა, არც ეგ დამინახავს...

ვყვიროდი გაუჩერებლად. თან ვტიროდი, თან ვყვიროდი... დათიიი... ვერ ვიპოვე. ვერ გადავარჩინე. არც მე მინდოდა გადარჩენა... არ მითხოვია გადარჩენა...

ისე უცებ მოხდა ყველაფერი, ვერ გავიანზრე. თვალი რომ გავახილე, საავადმყოფოს პალატაში ვიყავი. თავთან შუახნის ქალი მედგა. ჩემი გამოღვიძება რომ შენიშნა, თვალბეჭე ცრემლი შეიმშრალა. მომიახლოვდა და დამაჩერდა.

— დათი აქ არის?  
— არა...  
— ჩემი დათი ვერ იპოვეს?  
— არ ვიცი, ვერ გეტყვი, — ტუჩებთან ჭიქა მომიტანა და წყალი პირში ჩამასხა.  
— შეუძლებელია, ვერ ეპოვათ... არ შეიძლება...

— დათი ვინაა, შვილო?  
— ჩემი ცხოვრებაა...  
— შვილია?  
— ქმარია.  
— არ ვიცი, დედი. აქ სხვებიც მოიყვანეს და მოვიკითხავ შენს დათის. არ ინერვიულო, — გავიდა და მალევე შემობრუნდა, — არავინ არაა აქ ასეთი სახელით.

— არა, შეუძლებელია, — ნამოვიხიე. ხელზე წვეთოვანი მედგა, — მომხსენით ეს რაღაც, უნდა ნავიდე.  
— ახლა ვერ ნახვალ, შვილო.  
— გამიშვით, უნდა ნავიდე. დათი უნდა მოვძებნო.

საეჭიპო კომოდის უჯრიდან რაღაც წამალი ამოიღო.  
— ახლა გარეთ გასვლა საშიშია, ყველგან ზოოპარკიდან გამოქცეულ ცხოველებს ეძებენ. საშინელი ამბავი ხდება. საშიწელებია...

— ჩემი დათი უნდა მოვძებნო.  
— დილას, დედი, დილას. ნუ გეშინია, შენი დათი კარგად იქნება.

ეს ბოლო სამი სიტყვა იმხელა იმედი და შვება იყო ჩემთვის, ვერ წარმოიდგენთ. ვენამი შემაველ მიღს თავი მოხსნა და რაღაც წამალი ჩაუშვა შიგ.

— კარგად იქნება?  
— ხო, დედი, კარგად იქნება, დაიძინე.  
— ხომ კარგად იქნება. იპოვიან ხო?..

— ხო, დედი, იპოვიან, აუცილებლად იპოვიან. მითხარი, შენს ახლობლებს რა ნომერზე დავუჩეროთ?

ნახევრად მიძინებულმა ჩემი დის ნომერი ვუკარნახე.

— უთხარით, დედას ნურაფერს ეტყვის. ჯერ დათი იპოვონ, — მეტი არაფერი მახსოვს. ჩამეძინა.

ჩუმი ქვითინი აღწევდა ჩემამდე. თვალი რომ გავახილე, დავინახე, დედა ტიროდა. უკვე გათენებულიყო.

— დათი იპოვეს?  
— არ ვიცი...  
— უნდა მოვძებნო, — ნამოვდექი. ვერაზინ დამაკავებდა. გადასხმის მილი თვითონ მოვიგლიჯე ხელიდან.

— ტანსაცმელი მოგიტანე, — მითხრა ჩემმა დამ. ჩაცმაში მომეხმარა და გვერდით ამომიდგა. ერთად გავედით შენობიდან.

2015 წლის 13 ივნისის საშინელი დილა გათენდა. საშინელი ღამე იყო და კიდევ უფრო საშინელი დღე დადგა.

დღე დათის გარეშე... სად უნდა მომეძებნა, ან საიდან დამენყო, არ ვიცოდი. უამრავი ხალხი გამოვიდა — მაშველები, მეხანძრეები, ექიმები, უბრალო მაცხოვრებლები, უცხოელები. ყველა ცდილობდა, ერთიანი ძალებით ტერიტორია გაესუფთავებინა. ცდილობდნენ. დაშავებულებს პოულობდნენ.

ზოოპარკთან ახლოს ბუკემოთი დასეირნობდა...

ყველასთან მივდიოდი და ვეკითხებოდი:

— ჩემი დათი ხომ არ გიპოვიათ?  
— არ იცნობდნენ — არ იცოდნენ, როგორ იყო.

— ქერა ბიჭია, ხუჭუჭი თმით და ცისფერი თვალბეჭით. ძალიან ლამაზია. შეუძლებელია, ვერ იცნოთ.

— აქ ისეთი დაშავებულები ამოიყვანეს, ვერ გაარჩევდით, გოგონა.

დავდიოდი და ყველგან ვეძებდი, ყველას ვეკითხებოდი. ვხედავდი, როგორ თავდაუზოგავად მუშაობდნენ ბიჭები, გოგონები, ქალები და კაცები. მეხმარებოდნენ დათის მოძებნაში. ასე მეგონა, ყველა მეხმარებოდა, მაგრამ...

ვერ ვიპოვეთ... ვერსად ვიპოვეთ... დღემდე ვეძებ და ვერ ვპოულობ...

ჩემი დათი დამეკარგა. მდინარემ მომტაცა. იმ მდინარემ, რომელიც ურჩად გადმოვიდა ნაპირებიდან და წალეკა ჩემი ცხოვრება, ჩემი მომავალი...

მე გადარჩენა არ მინდოდა... მე უიმისოდ ცხოვრება არ მინდოდა... მაგრამ ჩემთვის არ უკითხავთ, რა მინდოდა. არჩევანის საშუალება არ მქონია...

იმ ერთი კოცნით დამემშვიდობა და დამიბარა, ხელი ძლიერად მომეჭიდა. მან იცოდა... ალბათ, გული უგრძობობდა... თითქოს მიხვდა, რა გვეულოდა...

უიმისოდ მარტო ვარ. უიმისოდ ნახევარი ვარ, ან უფრო ცოტა — ნახევრის ნახევარი ვარ. რომ შემძლებოდა, ვიქნებოდი მის ადგილზე. რომ შემძლებოდა დროის უკან დაბრუნება, იმ საბუდისნეო ღამეს ვერეს გზაზე არ გადავუხვევდი.

„შორი გზა მოვიაროთ და შინ მშვიდობით მივიდეთ“. არ იყო ეს სამშვიდობო გზა. რა იცოდა — არც მე ვიცოდი...

დრო იარებს არ აშუშებს. ეს ტკივილი მხრებზე სიმძიმედ მანვეს. ჩემი ცხოვრების მდინარე წერილ-წერილ შენაკადებად დანაწევრდა.


ბედია ყველაფერი და არჩევანი. რატომ მე? ან რატომ ის?

დღემდე ვეძებ... ივნისის იმ ღამემ სიყვარული წამართვა. სიხარული ტკივილად გადამიქცია... მოვძებნო...









# შუა საუკუნეების სპარსული პოეზიიდან

## დაყიყი (X)

აქ დიდხანს დავრჩი, ჩამოვლპი ცოცხლად, გულზე ვარამი მანვეს ლოდებად, თუ წყალი დიდხანს დარჩა გუბეში, ჩამყავდება და აგვიყროლდება.

## ომარე მარაველი (X-XI)

ერთ ხანს ქვეყნისთვის თოვლს მოესხა ვერცხლის ზენარი, დღეს კი ზურმუხტი ყელყელაობს ალმა და დაღმა, ქაშმირიანთა ნეგარხანამ\* საგაზაფხულოდ ყველა ნახატი უშურველად გადასცა ბაღნარს.

\*ნეგარხანა — გალერეა, ნახატების გამოფენის ადგილი.

თუ საწუთრომ დაგიყვავა, არ გაცდუნოს მისმა სიტკობომ, რადგან შენებრ ბევრი მოსპო, ვინც თავისი ხელით ზარდა, ეს ქვეყანა გველია და გველს დაეძებს, ვინც მას ელტვის, რა შერჩება მის მაძებარს, ასპიტის და გველის გარდა?!

## ონსორი (X-XI)

შენს ზილფს შენივე გულის ფერი აქვს, მისი სიშავით მუქდება სივრცე, ვერ გადირეცხა უანგი გულიდან, თუმცა, მარადფრთხი ტრფიალი გფიცე, ვეფხვის ზვაობას თუ არ ჩაიხშობ და მძვინვარებას ასპარეზს მისცემ, დამელვენთება გული ცვილივით, შენ კი გექნება გრდემლივით მტკიცე.

## ფაროხი (X-XI)

ახლოდან ვჭვრიტე სამარყანდის ყველა სიამე, ბალი და მდელი, მომჩქეფარი შვების ბადაგი, რადგანაც გროში არ მეზადა, მყისვე აზიდა გულმა იმედის მოედნიდან ლხენის ფარდაგი. „ქავსარის“ წყარო ერთია და სამოთხე რვაო — ასე მსმენია ნაუბარი ყველა ქადაგის, აქ უთვალავი ქავსარი და ედემ-ბალია და ბაგემშრალი გავერიდო, ეშხით ნადაგი? თუ თვალი ლხინს ჭვრეტს და თუ ხელი ცარიელია, ჰგავს, რომ მოჭრილ თავს მიაწოდო თასით ბადაგი.

\*ქავსარი — მუსლიმური ესკატოლოგიის მიხედვით სამოთხის წყარო.

## ემირ მუ'იზი (XI-XII)

სუმბულს წარსტაცა ნანდაურმა სიმშვენიერე, ჩინელ მხატვრებსაც ლამის შურის დაეცათ მეხი, ხელთ იგდო ყველა მემბოხე გული ანაზადად, მუშკის დალაქქემ მოუდრიკა ამაცი კეხი, ღანვზე ზოლები ისე გასდევს, თითქოს დაუდგამს ვარდის ფურცელზე ჯინჭველს მუშკით დასვრილი ფეხი.

ჰე, მექარავნე, ოდენ სატრფოს სადგომთან შედექ! რათა ვიგლოვო სრა და ნაშთი, სიშორის შემდეგ, ნაშთ-ნატამალთა დარდი ცრემლით ჩამოვირეცხო, მიწა დავალტო, რომ ამ ორპირ საწუთროს ვენდე. აივანთაგან მინავლულა სატრფოს სახება და საროსტანა არ ამშვენებს ბაღნართა ხედებს, ის ნალკოტი კი დარჩენილ მგლებს და მელიებს, ზარხმით დაჰკივის მიკოტი ჩამოშლილ კედლებს.

## აბდ ალ-ვასი'ჯაბალი (XII)

ქვეყნად უბადლოვ, არაერთხელ ცრემლად დამღვარე, შენით ვაჟღერებ მონატრების დაფს და ნალარებს, ღანვი ტიტასებრ ალაკრული, მწველი ნარგიზი, თუ ერთ დღეს მტანჯავს, მეორე დღეს ძლიერ მახარებს, ზოგჯერ ტიტასებრ გამიფურჩქნა სახე შეხვედრამ, ზოგჯერ კი გაყრით ნარგიზივით თავი დავხარე.

## ადიბ საბერი (XII)

სელსებლია\* შენი ბაგე, ღანვი-სამოთხე, ჩემს გულზე გადის სამოთხის გზა ყოველ ამო დღეს, შენს მოლოდინში ლამის თვალი ამომიღამდა, თუმც, მხოლოდ თმებით მოიპოვებს კაცი სამოთხეს. შენს მწყაზარ ღანვთან ასპიროზი სხივანკალებია, ყველა სულიერს შურით ლამის სული ამოხდეს. ხარ სილამაზის მისრეთი და ეშხის ბაღდადი, მე კი თვალთაგან ნილოსი და დიჯლა\*\* გადმომნთხევს. კენარი ტანი ლერწმად მექცა, ღანვი — ლილისფრად, და სევდა მიზრობს წუთისოფლის ამ ორ-სამოთხე დღეს.

\*მუსლიმური ესკატოლოგიის მიხედვით სამოთხის წყარო. \*\*დიჯლა-მდინარე ტიგროსის არაბული სახელწოდება.

## სუზანი (XII)

ბროლის ცარგვალის სრბოლას სანამ უნდა დავწამოთ სიკეთის ბროლის გადამსხვრევა, ქიშპი და ჩავგრა, ეს ჩვენ გვჩვევია ბროლისათვის ქვების დაშენა და ყველა მინც ცილსა ვნამებთ ზეცას და ცარგვალს.

შენ რომ გგონია, მასზე მეტი ცოდვა ლოდევით გულზე მანვეს და ვარ ათასგზის გულდაკოდლი, თუკი გარედან ავი ვჩანვარ, შეგნით ბილნი ვარ, გულს დამბჯენია დარდის ყრუ და ცივი როდინი, ადრე ეშმაკი მასწავლიდა ცოდვის ჩადენას, ეშმაკის მწვრთნელი დღეს თავად ვარ, ასგზის ცოდვილი.

## აბდ ორ-რაჰმან ჯამი (XV)

„გაჰარისთანადან“

ფირდოუსი (ალაჰმა შეიწყალოს) წარმოშობით თუსელია. მისი სიდიადე და სრულყოფილება ყველას მოეხსენება. „შაჰ-ნამეს“ შემქმნელ კაცს სხვათა ქება-დიდება რაში სჭირდება. გადმოგვცემენ, რომ ფირდოუსი ერთ-ერთი დეჰყან-თაგანი\* ყოფილა, ვიღაცამ შეავინროვა და მანაც საჩივლელად დაზნაში, სულთან მაჰმუდის სატახტო ქალაქში, გასწია. იქ მისულმა ნახა, სასახლის ბაღში ვიღაც სამი კაცი

ჩამომსხდარიყო და მუსაიფობდნენ. მიხვდა, რომ სულთანის კარის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. თავისთვის ჩაილაპარაკა: „ერთი, ამათთან მივალ და ვნახავ, საქმეს როგორი პირი უჩანსო“. მისი გამოჩენა დიდად არ ეპრიანათ. აქაოდა, ჩვენს თავყრილობას ჩაშლისო, ერთმანეთში ასეთი რამ მოითათბირეს: სჯობს, ვუთხრათ: ჩვენ ფადიმ-აჰის მგოსნები ვართ და, მგოსანთა გარდა, სხვას არ ველაპარაკებთ. სამივე თითო მისრას წარმოვთქვამთ, რომელსაც მეოთხე აკლია, მერე კი ვიტყვი: ვინც მეოთხე მისრით დააბოლოებს, საუბარს მხოლოდ მას გაუზბამთ. თუ ამას შეძლებ, ხომ კარგი, თუ არადა — ჩვენ ბოდიში!

ფირდოუსი მათთან მივიდა თუ არა, სწორედ ისე უთხრეს, როგორც წინასწარ მოეთათბირებინათ.

— აბა, წამიკითხეთ თქვენი მისრები — განაცხადა ფირდოუსიმ.

ონსორიმ წარმოთქვა: — შენს მწყაზარ ღანვთან მთვარის სხივის ნასახიც არ ჩანს.

ფაროხიმ: — ვარდნარსაც ჩრდილავ, შენს მშვენიერას ათასგზის ვაშა!

ასჯადიმ: — შენი წამწამი ორად გაკვეთს უცვეთელ ჯავშანს, ფირდოუსიმ, ეს სამი მისრა რომ მოისმინა, მეოთხე იქვე, სახელდახელოდ შეთხზა და უპასუხა: — ვით ბრძოლის ველზე გვიის შუბი საბრალო ფაშანს.

სახტად დარჩენილმა მსმენელებმა გვიის და ფაშანის ამბავი გამოიკითხეს. მანაც დანერვილებით მოახსენა, მერე კი სულთანის კარზე გამოცხადდა და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა. სულთანმა უთხრა: — შენი გამოჩენით ჩვენი თავყრილობა სამოთხედ აქციე.

ამიტომაც მეტსახელად ფირდოუსი უწოდა. მცირე ხანი რომ გამოხდა, „შაჰ-ნამეს“ გალექსვა დაევალა. ათასი ბეითი შეთხზა, სულთანს მიართვა და დიდი ქება-დიდება დაიმსახურა, სულთანმა ათასი ოქროს დინარიც ფეშქაშად უბოძა. ფირდოუსიმ „შაჰ-ნამეს“ დასრულებას მთელი ოცდაათი წელი შეაღია, სულთანს მიართვა და უწინდელივით იმედოვნებდა, რომ თითო ბეითში თითო ოქროს დინარს მიიღებდა, მაგრამ საქმეში მეშურნეები ჩაერვივნენ და მბრძანებელს მოახსენეს: განა ვიღაც პოეტს ამხელა ჯილდო ეკუთვნისო?!

საბოლოოდ, გასამრჯელოდ სამოცი ათასი დირემი გადასცეს. ფირდოუსიმ ეს ყველაფერი ძალიან განიცადა. გადმოცემის მიხედვით, ფულის მიტანისას აბანოში ყოფილა. იქიდან გამოსულმა ოცი ათასი დირემი მექისეს აჩუქა, ოცი ათასიც-სირაჯს, დარჩენილი ოცი ათასი კი მათ, ვინც ფული მიუტანა, ხოლო სულთანი ორმოცამდე ბეითით გაათახა. აი, მათგან რამდენიმე ბეითი:

შაჰი რომ მეფის მოდგმის იყოს, წესით და რიგით, მე დამადგამდა მყისვე თავის მოოჭვილ გვირგვინს. თუმცა, მის გვარში არვის ეცხო მცირე ღირსებაც და ამიტომაც დიდკაცს როდი შეეთვისება. თუ ხეს უგვანო ფესვები აქვს და არა — სალი, რა ბედენაა მისთვის წმინდა ედემის ბალი. გინდაც სამოთხის წყარო რწყავდეს, ხენემს სრულებით, იქვე მოჩქეფდეს რძის და თაფლის ნაკადულები. კაცსაც ვერ ნახავ საბოლოოდ მისით კმაყოფილს, მწარე იქნება უსათუოდ მისი ნაყოფი.

ამის მერე მიიმალა, რამდენიც არ ეძებეს, ვერსად იპოვეს. კარგა ხნის მერე სულთან მაჰმუდის ვეზირმა, ხოჯა ჰასან მეიმანდომ, ნადირობისას, „შაჰ-ნამედან“ რამდენიმე ბეითი ნაიკითხა. სულთანს ძალიან მოეწონა და ჰკითხა: ვისი ლექსიაო?

— ფირდოუსისა — მიუგო ვეზირმა. სულთანმა საკუთარი საქციელი ინანა და ბრძანა, ფირდოუსისთვის სამოცი ათასი ოქროს დინარი და საპატოო ხალათები მოემზადებინათ და თუსში გაეგზავნათ. მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება: როცა თუსის ერთი ალაყაფიდან სულთანის საბოძვარი შეჰქონდათ, მეორე ალაყაფიდან ფირდოუსის კუბოს მიახვეწებდნენ.

ფირდოუსის ერთი ასული დარჩა. სულთანის საჩუქარი მას მიართვეს, მაგრამ დიდსულოვნება გამოიჩინა და მიღებაზე უარი განაცხადა: თავი რომ ვირჩინო, იმდენი ქონება კი მაზაღია და ეს საბოძვარი არ მჭირდებაო. სულთანის მიერ წარგზავნილმა მოხელეებმა თანხა იმ მხარის ქარვასლათა მოსაპირკეთებლად გამოიყენეს.

ხამს, რომ ვუნყოფეთ ამა ქვეყნად დიდკაცთა ყადრი, თორემ ცარგვალი ინისლება, წყრომით ივსება, წარხდა მაჰმუდის დიდება და ის დარჩა ამბად, რომ ვერ შეიცნო ფირდოუსის დიდი ღირსება.

დეჰყანი — 1. ფეოდალი; 2. მინის მუშაკი.

თარგმნა გიორგი ხულორდავაძე







ზაზა ბიბილაშვილი

მომავალი წიგნიდან — თებროლე და თანანო

მოსვლა

ლამაზ სახლში ცხოვრობდნენ მამიკო და დედიკო. თუმცა სახლი ბოლომდე კმაყოფილი ვერ იყო:

„სახურავიც მახურავს და შპალერიც მაკვრია, თითქოს მაინც რაღაცა ან ვიღაცა მაკლია.

ვინ ან რა უნდა იყოს, ნეტავ, ამისთანაო? იქნებ... იქნებ — თებროლე? ანდა სულაც — თანანო?“

აი, ასე ფიქრობდა, ოღონდ დიდხანს კი არა — ეს აზრები სულ მალე სხვებსაც გაუზიარა.

აზრი გაიზიარეს დედიკომ და მამიკომ და ეს საქმე ორივემ თავის თავზე აიღო.

— მოდი, ნულარ გადავდებთ — რაღას მოუყვადოთო? ოღონდ ერთით დავინყოთ — ჯერ თებროლე ვცადოთო.

მაშ, დავხუროთ სასწრაფოდ დღევანდელი კრებაო, გავეშუროთ, ბავშვები სადაც იშოვებაო!

დაფაცურდა ორივე, დაიბარეს: — დროებით! მოიარეს ბოსტნები, ფურცლეს კომბოსტოები...

ვიდრე დაიჯერებდნენ დედიკოც და მამიკოც — თებრო სადმე თუ იყო — კომბოსტოში არ იყო.

არ ნაუხდათ წირი და არ დაყარეს ფარ-ხმალი, და ძველ მიზანს სამიზნე დაუსახეს ახალი:

— არ ღირს დაღონება და არ ღირს შეყოვნებაო — ჩვენი თებრო უთუოდ წეროს ეყოლებაო.

გავფრინდებით წეროსთან სურვილების ფრთებითო, უთებროოდ არაფრით შინ არ დავბრუნდებითო!


მთელი საწეროეთი მოვლეს-მოითარეშეს და სალამოს დაბრუნდნენ სახლში... თებროს გარეშე.

სახლმა ახედ-დახედა შემოსულებს ცივ-ცივად, მერე შეეცოდა და ბოლოს ბევრი იცინა.

ჰკითხა: — ჩვენთან რომელი ხანიდან ხართ წვეული? იცით, აქეთ რა დროა — წელი ან ასწლეული?

ადამ ჰაპას გაფიცებთ, თუნდაც — ევა ბეზიას: რა დროს კომბოსტოა და რა დროს წეროები?!

რა დროს რომანსეროა... თუმცა ეს სხვა ლექსია, ხოლო ეს სხვა დროა და ამ დროს უმჯობესია —



თუ ნამდვილი მშობლები ნამდვილ თებროს ითხოვთო — თებროხალათიანების ცენტრში მოიკითხოთო.

ოღონდ არ აგერიოთ საბავშვო და სადილო — ბავშვის სამშობიარო კლინიკაში წადითო!

დედიკომ და მამიკომ აღარ აცხელ-აციეს — და საითაც ასწავლეს, ზუსტად იქით გასწიეს.

სულ გავიდა მას მერე ხანი ერთი-ორი და თებრონია-თებროლე ლამაზ სახლში მოვიდა.

თვალი ირგვლივ მოავლო, მერე ცრემლით აივსო და სლუკუნით იკითხა — თანანო სად არისო?!

კიდეც — ჟივილ-ხივილი კიდეც — სიცილ-ხარხარი, თუნდაც — ალიაქოთი, სულაც — აყალმაყალი.

მოკლედ, სახლმა ამბავი დაიმართა მაგარი: თვითონ თავგზა აუბნა, იმის აზრებს — გზა-კვალი,

აურია ღამე დღეს, დილა — საღამოებსა, სახურავის თუშური ქუდი გვერდზე მოექცა,

აბარბაცდა დივანი, კარადა და მაგიდა — ზოგი კედელს აუყვავა, ზოგი ჭერზე ავიდა,

ხოლო სავარაუდოდ ჭერში ნაჩახახები იატაკზე ქვემოდან აეკიდა ჭაღები,



არც ფუმფულა საფენი, არც ქუდი და წინდო — არაფერი არ მინდა — მარტო თანო მინდაო!

გადახედეს ერთმანეთს დედიკომ და მამიკომ. თქვეს: — არ არის სხვა გზაო — რაკი სხვა გზა არ იყო.

დაამშვიდეს თებროლე — მართალი ხარ ცამდო — ცოტა მოითმინეო, ცოტა მოიცადეო,

იყო შენი ბრძანება — იყოს შენი ნებაო, მით უმეტეს, ვისწავლეთ, სადაც იშოვებაო —

მოგიძებნოთ დაიკო, თანაც — იმისთანაო!.. და სულ მალე თებროლეს მოუყვანეს თანანო.


და ის იყო, გაათბო სახლი დების სინაზე... რომ უეცრად ორივე ერთად დადგა ყირაზე,

ატყდა ერთი ამბავი, რუზრუზი და ხმაური, მერე — ბასტიბუბუ და მერე — აურზაური,

შეიცვალა წიგნები დამტვრეული წიგნებით... თუმცა თვითონ ლამაზ სახლს თუკი შეეკითხებით,

მისი ჭერი, კედლები, სათავსი და დარბაზი მხოლოდ იმის მერეა ნათელი და ლამაზი,

რაც ორი დის ტორნადომ დაჰკრა-გადაუარა... ახლა თქვენი საქმეა — დაუჯერებთ თუ არა.







კედლის მხატვრობა

შენ რა იცი, კედლო, ნალებივით თეთრო, რას გიპირებს თანანო, რას გიმზადებს თებრო;

თუ ეგ შენი სითეთრე სულში როგორ ატანს და იქ როგორ აღვიძებს ორ პატარა მხატვარს.

ჯერ რა იცი, თუმცა კი შენც გაიგებ ბოლოს, რისთვის დასტრიალებენ საღებავის კოლოფს.

აბა, ვინ გაგიმხილოს ძნელად გასამხელი — შენკენ რატომ მოინევს ოთხი ციციქნა ხელი,

რად გიღერებს ფლომასტერს, მარკერსა და ფანქარს — ფერით ნალებს არცერთი ოდნავაც რომ არ გავს.

მოდი, გეტყვი... თუმცა კი ახალს გეტყვი მე რას — შენთან ამდენ ლაპარაკს, შენზე ამდენ წერას

რას მაცდიდა ორი და, ერთმანეთზე კობტა? ჰოდა, ამასობაში მოსახდენიც მოხდა

და შენც იცი, კედლო, ცისარტყელას მგვანო, რა ლამაზად მოგთხოუბნეს თებროლემ და თანომ.

კატა ტიას განსაჭირი

კატა ტიას, მთელი დღეა, რაღაც უნდა, ძალიან თან — დაფათურობს, დაფხაკუნობს თუთიყუშის გალიასთან.

თებრომ თანო მიახედა: — როგორ წვალობს, შეხე, ტია — იმ გალიის გისოსებში ვერა და ვერ შეეცტია.

ტიამ წყენით მოაკნავლა: — თებრო, რატომ დამცინიო? აბა, შენთვის ჩაეკეტათ მაცივარში ნაყინიო!

ზალიკო სულაკაურის ნახატები

ორი თუთიყუში

რასაც იტყვის თებრო, იმეორებს თანო.

თუ არ გჯერათ ჩემი, მოუსმინეთ თვითონ:

— დაიყვილე, ცუგა! — დაიკილე, ცუგა!

— დაიყეფე, ჩიტო! — დაიკეფე, ციტო!

— ნამო, ჭერზე ავწვეთ! — ნამო, ჭელზე ავწვეთ!

— აქ გავთხაროთ მეტრო! — აქ გავთალოთ მეტლო!

— ხომ მეძინა გუშინ? — ქო მეძინა გუსინ? —

იმეორებს თანო, რასაც იტყვის თებრო.

გაბუსხული ფიქრობს თუთიყუში კოკა:

„გააჩუმონ წამით ან ისა და ან ეს!

და საერთოდ, თუკი თუთიყუში ჰყავდათ,

მე ამ სახლში, აბა, რისთვის მომიყვანეს?!“



დასასრული

— მოვიდა ნაკოლეონი... ლაიფციგიდან, — თქვა მამამ და თავის ოთახში გავიდა. კახამ თავი ჩალუნა. მამის სიტყვები, ლაიფციგიდანო, ისარივით მოხვდა გულზე. ამით მან დამარცხებაზე მიანიშნა. სიტყვა არავის უთქვამს კახასთვის, მხოლოდ წამოდგენ და თვალცრემლიან, ახლა უკვე ოდნავ მოღიმარ დედას დაემშვიდობნენ. დედამ სტუმრები გააცილა და კარი დახურა. კახა ადგილიდან არ იძვროდა. უნდოდა, მისულიყო, დედას გულში ჩაეკრა და აღარასოდეს არსად გაეშვა, მაგრამ გვერდით უსიტყვოდ გაუარა — კახას ოთახში შევიდა და აბაზანის პირსახოცი გამოიტანა. კახასთან ახლოს მდგარ ტახტზე დადო და სამზარეულოში გავიდა. კახამ პირსახოცი აიღო და აბაზანაში შევიდა. ცხელი წყლის ჭავლმა ძვლები გაუთბო. გამოსვლა აღარ უნდოდა. ვერც კი აეხსნა, რას გრძნობდა ახლა. ერჩივნა, სახლში მისულს ყვირილით, ლანძღვით დახვედროდნენ. ეს დუმილი მეტად აფიქრებდა და გულს უფორიაქებდა. აბაზანიდან გამოვიდა. სამზარეულოსკენ წავიდა. უნდოდა, დედა ენახა და რამე ეთქვა. სამზარეულოში დედა აღარ დაუხვდა. მისთვის სუფრა გაეშალა და საძინებელში გასულიყო. დაჯდა. შიოდა, მაგრამ ლუკმა არ გადასვლია. მხოლოდ ცხელი ჩაი დალია და თავის საძინებელში შევიდა. აქამდე არასოდეს უგრძნია, რა თბილი, ლუნლუნა და სანეტარო ყოფილა საკუთარი სანოლი. საბანში გაეხვია და თველი ვერ მოხუჭა. ისევ ფიქრებში წავიდა: „ხვალდან შევიცვლები. რამდენ რამეს აკეთებენ მშობლები ჩემთვის და ხომ უნდა მივხვდე, რომ კარგი უნდათ. მე კი რისთვის გავიჯახუნე კარი, მეგობრებთან ერთად

ორი დღით წყნეთში ავალ-მეთქი და უარი რომ მივიღე? იქნებ არც ლაზარეს უშვებდნენ თავისი მშობლები?! სახლიდან წასული არ მიმიღეს ოჯახში, მშობლებთან დაბრუნდიო და ეგენი ლაზარეს გამოუშვებდნენ ორი ღამით უფროსების გარეშე? ჰო, შევცდი, მაგრამ ყველაფერში მე არ ვარ დამნაშავე. სულ მაკონტროლებენ, ვგრძნობ ამას და მალიზიანებს. უნდობლობა მალიზიანებს... თუმცა ახლა მართლა მივხვდი, რას ნიშნავს ოჯახი, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. თითქოს ჭერი სიყვარულის, მზრუნველობისა და გვერდით დგომის უხილავ ძაფებს აკავშირებდეს ერთმანეთთან. ამიტომ შევეცდები, ამ ჭერქვეშ რომ სიყვარულია, მას მეც ჩემი ნილი სითბო შევქმნაო და ჩემივე საქციელით ყოველდღე ცივი წყალი არ დავასხა.“

კახამ საათს გახედა — დილის სამი საათი იყო. ოთახის კართან ფეხის ხმა შემოესმა. თვალები დახუჭა, ვითომ ეძინა. კარი გაიღო, ფეხაკრეფით მიუახლოვდა დედა, საბანი შეუსწორა. ცოტა ხანს იდგა და მერე ისევ ფეხაკრეფითვე გაბრუნდა უკან. კართან მისულს კახამ ჩუმად დაადევნა შემკრთალი ხმა:

— დეეე!

დედა შებრუნდა. ღამის სიბნელებში კი უზომოდ თბილი მოეჩვენა დედის მზერა.

— დეეე, მიყვარხარ! — თავისდაუნებურად გულსაკლავად ნაილულულა კახამ. ცოტაც და იტირებდა. დედა ისევ მშვიდი სახით იდგა. არ განძრეულია. სულ რამდენიმე წამით უყურა. მერე ძალიან წყნარად და ჩურჩულით თქვა:

— დაიძინე, ხვალ ვისაუბროთ! — შებრუნდა, კარი გაიკეტა და გავიდა.

ეს იყო ყველაზე გრძელი ღამე კახას ცხოვრებაში...

